



ინდივიდუალური სასწავლო გეგმა



გზამკვლევი მასწავლებლებისთვის



ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

გზამკვლევი
მასწავლებლებისთვის

გზამკვლევზე მუშაობდნენ:
მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი
მარია ზაქარეიშვილი
ქეთევან ფილაური
ჟანა კვაჭაძე

თბილისი
2014



სარჩევი

სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, ევროპისა და ევრაზიის ბიუროს, ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების ოფისის მხარდაჭერით, #114-A-00-06-00104-00 კონტრაქტის ფარგლებში. წარმოდგენილ სახელმძღვანელოში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის მთავრობისა (USG) და ორგანიზაცია გადავარჩინოთ ბავშვების საქართველოს ოფისის (Save the Children in Georgia) შეხედულებებს.

გზამკვლევზე მუშაობდნენ:

- მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი
- მარია ზაქარეიშვილი
- ქეთევან ფილაური
- ჟანა კვაჭაძე

სამეცნიერო რედაქტორი:

თათია პაჭკორია

სტილისტური რედაქტორი:

თამარ ნინიკაშვილი

| | |
|---|----|
| თავი 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლების რეგულირება | 4 |
| თავი 2. ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებისას | 12 |
| თავი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა..... | 24 |
| თავი 4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაცია და შეფასება | 56 |
| თავი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი | 62 |
| თავი 6. გუნდური მიდგომა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას | 69 |
| თავი 7. მიზნების ინტეგრირება სასწავლო პროცესში..... | 83 |
| თავი 8. მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება და პირადი საქმის წარმოება..... | 96 |

თავი I სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირება

1.1. რატომ არის ინკლუზიური განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ყველაზე ეფექტიანი ფორმა

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც საუბარი იყო ინკლუზიურ განათლებაზე, იგულისხმებოდა საგანმანათლებლო პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობისა (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირების ჩართვა. აქცენტი გადატანილი იყო კონკრეტული ჯგუფებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე, მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებაზე. დაგროვილმა გამოცდილებამ თანდათან წინ წამოსწია ახალი პარადიგმა და გააფართოვა ინკლუზიური განათლების ფარგლები. დღესდღეობით ინკლუზიური განათლება გულისხმობს ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ განათლებას, როდესაც ყველა მოსწავლე ჩართულია სასწავლო პროცესში და აქვს თვითრეალიზაციის საშუალება (UNESCO, Guidelines for Inclusion. Ensuring Access to Education for all. Paris, UNESCO 2005). მთავარი პრინციპი, რომელიც სასწავლო პროცესს ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის, არის ინდივიდზე ფოკუსირებული და დიფერენცირებულ ინსტრუქციებზე აგებული მიდგომები – გარემო მხოლოდ ამ შემთხვევაშია ინკლუზიური. განვიხილოთ მაგალითი, როდესაც მოსწავლეს ექმნება მნიშვნელოვანი სირთულეები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მასალის დაძლევაში. თუ იგი აღმოჩნდება გარემოში, სადაც მასწავლებელი კარგად იცნობს კლასში ყველა მოსწავლის საჭიროებას, თითოეული მოსწავლის ან ჯგუფისთვის მომზადებული აქვს განსხვავებული სირთულისა და შინაარსის დავალებები, სასწავლო პროცესი გაცილებით ჰარმონიულად იქნება შერწყმული კონტექსტთან და შედეგის მიღწევაც შესაძლებელი გახდება.

ინკლუზიური განათლების პროცესი ეყრდნობა რამდენიმე ფუნდამენტურ ღირებულებას:

➤ **განსხვავებულობა არის ნორმა** - ინკლუზიური განათლების საფუძველს წარმოადგენს რწმენა, რომ განსხვავებულობა მოსწავლეთა შორის ბუნებრივი მოვლენაა, შესაბამისად, მათ განათლებაც განსხვავებულობის გათვალისწინებით უნდა მიენდობოდეთ. XXI საუკუნის სასკოლო გარემო, პირველ ყოვლისა, ინდივიდთა გამოცდილების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. არ არსებობს ორი მოსწავლე იდენტური სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით, ინტერესებით, განწყობითა თუ აკადემიური უნარებით. შესაბამისად, მოზარდის ინდივიდუალური შემეცნება, პირველ ყოვლისა, მისი განსხვავებულობის აღიარებით იწყება. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს: დიფერენციულ მიდგომასა და ინდივიდუალურ სწავლებას დიდი დრო და ანალიზი სჭირდება, რათა პასუხი გაეცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას – რა არის ის კომპონენტი, რომელიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. კვლევები ადასტურებს, რომ ხშირად სასკოლო გარე

თავი I - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირება

მოში დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზია მოსწავლეთა შორის განსხვავებულობის უგულვებელყოფა და გამოყენებული სასწავლო სტრატეგიებისგან დასწავლის სტილის მნიშვნელოვანი დაშორება (Sandra F.Rief &Julie.A.Heimburge). შესაბამისად, განსხვავებულობის პატივისცემა და სასწავლო პროცესის დიფერენციულობა ინკლუზიური განათლების მთავარი პრინციპია.

➤ **ჯანსაღი საზოგადოების შენების ხელშეწყობა** – ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებულ სასწავლო პროცესს გულისხმობს და ხშირად საშუალებას გვაძლევს, მინიმუმამდე დავიყვანოთ მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვების რისკი. ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესაძლებლობას, ინდივიდუალური გრაფიკი, დამხმარე სპეციალისტები, ადაპტირებული ფიზიკური გარემო თუ სხვა დამატებითი საგანმანათლებლო სერვისები ზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს, უქმნის მას საცხოვრებელ ადგილთან ახლოს განათლების მიღების შესაძლებლობა. ეს ყოველივე განაპირობებს სამომავლოდ საზოგადოების რეალიზებული წევრების ჩამოყალიბებას, რომელთაც ღია შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება შეეძლება.

➤ **დინამიზმი, ინოვაცია და ცვლილებების განხორციელება** – ინკლუზიური განათლება დაუსრულებელი პროცესია. ის უკავშირდება გამუდმებულ ცვლილებებს როგორც საკანონმდებლო, ისე სკოლის დონეზე (UNESCO, Guidelines for Inclusion. Ensuring Access to Education for all. Paris, UNESCO 2005). დინამიზმი ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნას განაპირობებენ. ქვემოთ მოცემულია ცვლადები, რომელთა შერწყმაც ხელს უწყობს ცვლილების განხორციელებას და საგანმანათლებლო კონტექსტში ინკლუზიური განათლების პროცესის ორგანიზებას (Thousand& Villa, 1995).

| მნიშვნელოვანი ცვლადები | | | | | |
|------------------------|-------|---------|-----------|-----------------|--|
| ხედვა | უნარი | სტიმული | რესურსები | სამოქმედო გეგმა | ცვლილება |
| | უნარი | სტიმული | რესურსები | სამოქმედო გეგმა | დაბნეულობა |
| ხედვა | | სტიმული | რესურსები | სამოქმედო გეგმა | შიში, პანიკა |
| ხედვა | უნარი | | რესურსები | სამოქმედო გეგმა | წინააღმდეგობა |
| ხედვა | უნარი | სტიმული | | სამოქმედო გეგმა | იმედგაცრუება |
| ხედვა | უნარი | სტიმული | რესურსები | | განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე შეჩერება |

თავი I - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირება

მოყვანილი ცხრილის მიხედვით, თუკი სასკოლო კულტურა მოიცავს **ხედვას განათლების ინკლუზიურობის** შესახებ, ასევე სკოლაში არის **შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი**, თუ ადმინისტრაციას აქვს მუშაობის **ნახალისებისა და პოზიტიური განმტკიცების** გამოცდილება და ინკლუზიური განათლების განვითარების კონკრეტული **სამოქმედო გეგმა**, შესაძლებელი ხდება პროცესების რეალურად განხორციელება და ცვლილება. როდესაც რომელიმე რელევანტური ცვლადი საერთო პროცესიდან ამოვარდნილია, სასურველი შედეგის მიღწევა რთულდება. მაგალითად, შესაძლოა სკოლას ჰქონდეს კონკრეტული სამოქმედო გეგმა ინკლუზიური განათლების დანერგვასთან დაკავშირებით, მაგრამ არ აღმოაჩნდეს სათანადო რესურსები, რაც ზემოაღნიშნული მატრიცის მიხედვით, იმედგაცრუების განცდას იწვევს. მეორე მხრივ, თუკი არ არის ადეკვატური ხედვა, დანარჩენი ცვლადების არსებობის მიუხედავად, პროცესი ქაოსური და ნაკლებ შედეგიანია.

ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისთვის სკოლას ესაჭიროება შესაბამისი ხედვა, კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტიმული, რესურსები და კვალიფიციური კადრები. ყველა ეს კომპონენტი ხელს უწყობს დიფერენციული მიდგომის შემუშავებას.

1.2. როგორ რეგულირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლება საქართველოში?

საქართველოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მხარდაჭერა კანონით დადგენილი ვალდებულებაა. საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის სიცოცხლის ბოლომდე (ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები. თავი I, მუხლი 3, პუნქტი 2). მე-9 მუხლი („ზოგადი განათლების მიღების უფლება“) ხაზს უსვამს, რომ ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის. 2014 წელს ინკლუზიური განათლების პროცესის შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში, ევროპის ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, არა მარტო დანყებითი, არამედ მთლიანად ზოგადი განათლება უფასოა, რაც ზრდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საჯარო და სპეციალური პროფილის სკოლებში სწავლების შესაძლებლობას (ინკლუზიური განათლების მახასიათებლები საქართველოში. 2014 წელი). საგულისხმოა, რომ სკოლის მიტოვების რისკის შემცირებისა და სკოლის გარეთ აღმოჩენილი სსსმ პირების ზოგადი განათლების სფეროში ჩართვის

თავი I - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირება

მიზნით, კანონში გაჩნდა დამატებითი ჩანაწერი იმ სსსმ და შშმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც იღებდნენ განათლებას სკოლაში და გარკვეული მიზეზების გამო გაუცდათ კლასი ან კლასები (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი I, მუხლი 5, პუნქტი 5¹). მომზადებულია კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც დაარეგულირებს ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი სსსმ და შშმ პირების სწავლების შესაძლებლობას.

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ განმარტებულია ტერმინი „ინკლუზიური განათლება“. დოკუმენტში ამ ტერმინის შეტანა სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი პირველი წინადადგმული ნაბიჯი იყო განათლების ინკლუზიურობის აღიარების გზაზე. ინკლუზიური განათლებასთან დაკავშირებით კანონში წარმოდგენილი ჩანაწერი უფრო მეტად აქცენტს საგანმანათლებლო პროცესში სსსმ და შშმ პირების ჩართვაზე აკეთებს, მაშინ, როცა ინკლუზიური განათლება გაცილებით მეტს მიშნავს და გულისხმობს კარგად ორგანიზებულ საგანმანათლებლო სივრცეს ყველასთვის. სასურველია კანონში ცვლილების ინიცირება ტერმინის შინაარსის გაფართოებისთვის.

ხშირად განხილვის საგანი ხდება, თუ ვინ იგულისხმება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირში: აქვს თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აუცილებლად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?! კანონი განმარტავს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის „პირი, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ან/და სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და განხორციელება (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თავი I, 15.12.2010). სპექტრი საგანმანათლებლო საჭიროებებისა საკმაოდ მრავალფეროვანია და წინამდებარე სახელმძღვანელოს IV თავში აღწერილია, როგორ ხდება ამ საჭიროებათა იდენტიფიცირება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით, შეზღუდული შესაძლებლობა არის რაიმე დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე (გზამკვლევი მასწავლებლებისთვის – ინკლუზიური განათლება. 2011 წ.). შეზღუდული შესაძლებლობა სამედიცინო დიაგნოზზე დაფუძნებული ტერმინია, ხოლო საგანმანათლებლო საჭიროება განპირობებულია სოციალური და ინდივიდუალური ფაქტორებით. ორი მსგავსი სამედიცინო დიაგნოზის მქონე პირს შესაძლოა ჰქონდეს დასწავლის განსხვავებული სტილი, ძლიერი მხარეები, ინტერესები. **ამიტომ, აღნიშნული ტერმინები იდენტური არ არის, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ერთი მოიცავდეს კიდევ მეორეს.**

განვიხილოთ მაგალითი:

ნინო არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. იგი ეტლით მოსარგებლელა (ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზით). ნინო დადის სკოლაში, რომელიც ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლებისთვის და ეუფლება მეხუთე კლასის მასალას.

გეგი ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ისიც ეტლით მოსარგებლელა და აქვს ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზი. გეგი VIII კლასელია. ნინოსგან განსხვავებით, მას უჭირს ქართული ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გააზრება, შედარებით უადვილდება მოკლე ტექსტები, სადაც კონკრეტული ფაქტებია ასახული. მათემატიკაში შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება 10-ის ფარგლებში. ნინოს და გეგის - ორივეს - მსგავსი დიაგნოზი და შშმ პირის სტატუსი აქვთ, თუმცა საგანმანათლებლო საჭიროება ვლინდება მხოლოდ გეგის შემთხვევაში.

მასწავლებლებს და საგანმანათლებლო სივრცეში მომუშავე ნებისმიერ ადამიანს უნდა ახსოვდეთ, რომ კანონში ზოგადი განათლების შესახებ სამუშაო ტერმინად გამოყენებულია **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი**, ასევე ლეგიტიმურია **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი**. დაუშვებელია ინდივიდების ისეთი ტერმინებით მოხსენიება, როგორებიცაა: **ინკლუზიური ბავშვი, შეზღუდული ბავშვი, საკორექციო მოსწავლე** ან სხვა დამაკნინებელი ეპითეტები.

საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ განმარტებულია ტერმინი „სპეციალური მასწავლებელი“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. თავი II¹). იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამხმარე რგოლს სსსმ პირთა განათლების პროცესში. კანონში ჩანანერმა ბიძგი მისცა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტის შექმნას. ამ სტანდარტს ეფუძნება სპეციალური მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ასევე კანონით არის განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქცია (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. თავი I, მუხლი 2), რომელიც ახდენს სსსმ მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას, კონსულტაციას უწევს სკოლებსა და მშობლებს და, ზოგადად, მხარს უჭერს ინკლუზიური განათლების ხარისხის ამაღლებას.

ზოგადი განათლების შესახებ კანონის V თავში განმარტებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზანი და მნიშვნელობა. კანონი ასევე არეგულირებს სსსმ პირებისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას. არის ქვეყნები, სადაც სსსმ და შშმ პირთა სწავლების პროცესი ეროვნულ სასწავლო გეგმას არ ეყრდნობა და მათთვის მუშავდება ცალკეული პროგრამები. კანონში არსებული ჩანაწერით საქართველომ აღიარა, რომ საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოს-

წავლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მიმდინარეობს. ამასთან, განათლების პროცესის მოქნილობის უზრუნველსაყოფად განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც სსსმ და შშმ პირებს აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად (შესაძლებლობის გათვალისწინებით) მიუახლოვდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. **მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ყველა მოსწავლის, მათ შორის სსსმ და შშმ მოსწავლეების სწავლების პროცესში მთავარი ორიენტირია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგები და თვით მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები.**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომების განხორციელების შესაძლებლობას არეგულირებს **ეროვნული სასწავლო გეგმის (2011-2016) V თავი**. მასში განმარტებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მიზანი, მისი შედეგის სპეციფიკა და მითითებულია, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოებისთვის. აღნიშნულ თავში მოცემულია განმარტებები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა აკადემიური შეფასების შესახებ, აღწერილია გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობები, რაც, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საერთო ფორმატის შენარჩუნებას, რასაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება გულისხმობს. **განვიხილოთ მაგალითი:**

ნინო არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. იგი ეტლით მოსარგებლელა (ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზით). ნინო დადის სკოლაში, რომელიც ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლებისთვის და ეუფლება მეხუთე კლასის მასალას.

გეგი ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ისიც ეტლით მოსარგებლელა და აქვს ბავშვთა ცერებრული დამბლის დიაგნოზი. გეგი VIII კლასელია. ნინოსგან განსხვავებით, მას უჭირს ქართული ტექსტის წაკითხვა და შინაარსის გააზრება, შედარებით უადვილდება მოკლე ტექსტები, სადაც კონკრეტული ფაქტებია ასახული. მათემატიკაში შეუძლია არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება 10-ის ფარგლებში.

ნინოს და გეგის – ორივეს – მსგავსი დიაგნოზი და შშმ პირის სტატუსი აქვთ, თუმცა საგანმანათლებლო საჭიროება ვლინდება მხოლოდ გეგის შემთხვევაში.

თავი I - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირება

როგორ უნდა შეფასდეს ლევანის აკადემიური მოსწრება და აქვს თუ არა მას უფლება, გადავიდეს შემდეგ კლასში? ეროვნული სასწავლო გეგმის V თავის 29-ე მუხლი არეგულირებს სსსმ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების, დასწრებისა და გაცდენების საკითხებს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ნებისმიერი სხვა მოსწავლისა (პუნქტი 1), თუმცა „გამონაკლისის შემთხვევაში დასაშვებია, სსსმ მოსწავლეს არ ჰქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას, გადავიდეს მომდევნო კლასში“ (პუნქტი 3). აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერია ლევანის შეფასება შესაბამის საგნებში მიჩნეულ იქნეს საკმარის პირობად მის მომდევნო კლასში გადასაყვანად.

თუკი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლისთვის რომელიმე საგანში ისე არ შედგება, სკოლა თვითნებურად არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. **გადაწყვეტილების მიღება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე.**

ეროვნული სასწავლო გეგმის V თავის 30-ე მუხლი (სსსმ მოსწავლეთა შინსწავლება) საშუალებას იძლევა, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ჩაერთოს შინსწავლების პროცესში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება აღნიშნული გუნდის დასკვნის საფუძველზე განსაკუთრებული დასაბუთების შემთხვევაში, ვინაიდან მთავარი მიზანია, ყველა მოსწავლეს მიეცეს საშუალება, განათლება მიიღოს სახლთან ახლოს მდებარე სკოლაში. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შინსწავლების მინიმალური საათების რაოდენობა, თუმცა მიდგომა აქაც ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მოსწავლის საჭიროებებზე. **უნდა აღინიშნოს, რომ შინსწავლების პროცესში სკოლა რთავს შესაბამისი საგნის პედაგოგებს, საქმეში მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩაეხმება სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ეხმარება საგნის მასწავლებელს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში.**

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და ეროვნული სასწავლო გეგმა ის ძირითადი დოკუმენტებია, რომლებიც არეგულირებენ სსსმ პირთა განათლების პროცესს. არსებობს კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება, თუმცა აქ მათზე არ შევიჩინებთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2014 წელს, როდესაც საქართველომ მოახდინა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ-

თავი I - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების რეგულირება

თა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. კონვენციის 24-ე მუხლი მთლიანად სსსმ და შშმ პირთა განათლების პროცესის ორგანიზებას ეხება და ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, შექმნან მრავალფეროვანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სერვისები. საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“ (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის N76 განკარგულებით), სადაც ინკლუზიური განათლების კომპონენტი ოთხ ძირითად პრიორიტეტს ეყრდნობა და სავსებით შეესაბამება კონვენციის 24-ე მუხლს. კერძოდ, უახლოესი სამი წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების ეფექტიანობის გაზრდისთვის მუშაობა წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- დამატებითი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა;
- სსსმ პირთა განათლების დაფინანსების ადეკვატური სისტემის ჩამოყალიბება;
- სსსმ პირთათვის ხარისხიანი და უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობა განათლების ყველა საფეხურზე; შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფა;
- სსსმ პირთა იდენტიფიკაციის გამართული მექანიზმების შემუშავება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ხარისხიანი, ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სივრცის შექმნისთვის საკმარისი საკანონმდებლო მზაობა არსებობს. უახლოეს წლებში მთავარი ამოცანა იქნება საკლასო პრაქტიკის დახვეწა, რაც უკავშირდება მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დროულ იდენტიფიცირებას, შესაბამისი სასწავლო სტრატეგიების შერჩევას, სკოლაში კვალიფიციური კადრების მუშაობას, საჭირო რესურსების მოძიებას და თანამშრომლობას. ინკლუზიური განათლების პროცესი სრულყოფილი იქნება მაშინ, როდესაც შესაძლებელი გახდება საკლასო პრაქტიკაში საკანონმდებლო დოკუმენტებში ასახული ყველა ნორის მაქსიმალური რეალიზება და თითოეული ინდივიდი მიიღებს ადეკვატურ საგანმანათლებლო სერვისს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სპეციალისტებისთვის საკლასო პრაქტიკის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრატეგიისა და მიდგომის გაცნობა, რაც მასწავლებლებს თუ სკოლის ადმინისტრატორებს დაეხმარება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით დაეგმონ საგაკვეთილო პროცესი და უზრუნველყონ ყველასთვის ხელმისაწვდომი განათლება.

თავი 11 ეროვნული სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლებისას

2.1. ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლების მნიშვნელობა

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელშიც ნებისმიერი მოსწავლე შეძლებს თავისი თავისთვის, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის შექმნასა და უნარ-ჩვევების ათვისებას.

მოსწავლის შესაძლებლობების ყოველმხრივ განვითარებისთვის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ შეიმუშავა განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი – ეროვნული სასწავლო გეგმა. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლეთათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც ისინი თანამიმდევრულად უნდა ეუფლებოდნენ ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში.

ყველა სკოლა სავალდებულოდ მიიჩნევს თითოეული მოზარდის სწავლების პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის სახელმძღვანელოდ გამოყენებას, რადგან აღიარებს ამ დოკუმენტით დასახული მიზნების მნიშვნელობას მოზარდების განვითარებისა და განათლებისთვის.

სასწავლო პროცესის აღნიშნული მიდგომით მართვა სკოლას აძლევს რწმენას, რომ ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ მოზარდი შეძლებს ეზიაროს ქვეყნისთვის ღირებულ პრინციპებს, სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას და სწორი რეაგირება მოახდინოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებზე.

ეროვნული სასწავლო გეგმა ერთგვარი გზამკვლევაა ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისების თანამიმდევრობისა, რომელშიც ყოველი მომდევნო უნარი თუ ცოდნა უკვე შექმნილს ეფუძნება.

სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული ცოდნა და უნარ-ჩვევები განისაზღვრა პროფესიონალთა და დარგის ექსპერტთა სიღრმისეული ანალიზის შედეგად. სასწავლო მიზნები დაზუსტდა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. გაანალიზდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, მოზარდის განვითარების თავისებურებები, ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლების კანონზომიერებები და ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული თითოეული დარგის (საგნის) სპეციფიკა. შესაბამისად, როდესაც საჯარო სკოლა აღიარებს, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, ის თავის სივრცეში მოსწავლეთა განათლების პროცესს აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით გეგმავს. მისი ამოცანაა, მიმდინარე სასწავლო პროცესით შეძლოს ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევა და, შესაბამისად, ფუნქციური ცოდნით აღჭურვოს მოსწავლეები.

გვახსოვდეს: ეროვნულ სასწავლო გეგმაში თავმოყრილია ფასეული მიზნები და თუ სასწავლო პროცესს აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე წარმართავთ, მოზარდებს ფუნქციურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შევძენთ.

2.2. შედეგზე ორიენტირებული განათლება

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსწავლისთვის ფასეული ცოდნა და უნარ-ჩვევები სისტემატიზებულია ყოველი საგნისა და სასწავლო წლისთვის და თანამიმდევრულად არის წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამის სახით. საგნობრივი პროგრამების ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ყოველ საგნობრივ პროგრამაში სასწავლო მიზნები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით, ანუ იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების სახით, რომლებიც უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.“ (შესაბამისად, ჩვენს პუბლიკაციაში ცნებები – სასწავლო მიზნები და სასწავლო შედეგები – სინონიმებად იქნება გამოყენებული.)

საგნობრივი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სასწავლო წლისთვის დადგენილია განსხვავებული ოდენობის სასწავლო შედეგი. მასწავლებლის მიზანია, ისე წარმართოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად მიაღწიონ დასახულ სასწავლო მიზანს. მოსწავლეს კი ევალება, თავისი აქტიურობით (საკლასო აქტივობაში ჩართვით, საშინაო დავალებების შესრულებით, პროექტების განხორციელებით, დისკუსიებში მონაწილეობით და სხვ.) სათანადოდ წარმოაჩინოს შედეგი.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა ობიექტურად შეაფასოს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ განსაზღვრულ შედეგს, ეროვნული სასწავლო გეგმა ყოველი შედეგის შესამოწმებლად გვთავაზობს ინდიკატორებს. ინდიკატორი აზუსტებს და აკონკრეტებს მოსწავლის მოსალოდნელ ქცევას: იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გამოავლენს სათანადო ქცევას/ქცევებს, მასწავლებელს აქვს ობიექტური საფუძველი ივარაუდოს, რომ შედეგი მიღწეულია.

„ინდიკატორების რაოდენობა არ არის შეზღუდული და 2-დან 20-მდე მერყეობს“. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ინდიკატორები შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც მაგალითი ან ჩამონათვალი (არასრული) მოსალოდნელი აქტივობებისა, რომლებიც მოსწავლემ უნდა გამოავლინოს კონკრეტული შედეგის მიღწევის დასადასტურებლად. „ინდიკატორები სხვადასხვა სირთულისაა, შესაბამისად, დასაშვებია მათი არა სრულად (ე. ი. არა ყველა ინდიკატორის), არამედ ნაწილობრივ დაფარვა“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი XI). მოსწავლის მიერ შედეგის მიღწევის დონეს მასწავლებელი ინდიკატორების საფუძველზე განსაზღვრავს. ის ანალიზებს, რომელი ინდიკატორის (მაღალი დონის ანუ რთული თუ შედარებით დაბალი დონის ანუ იოლი) შესაბამისი ქცევა გამოავლინა მოსწავლემ და სათანადოდ აფასებს მას.

მოსწავლეები ეროვნულ სასწავლო მიზნებს განსხვავებულად აღწევენ, რამდენადაც მოზარდები ერთი ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან შესაძლებლობების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისების ტემპისა და სიღრმის მიხედვით. არსებობენ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მათი თანატოლები, რომელთაც შესაძლებელია ექმნებოდეთ აშკარად გამოხატული სირთულეები სწავლის პროცესში.

მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები განსხვავებულ შედეგებს აღწევენ. მოსწავლეებს სხვადასხვა დრო, ძალისხმევა და სწავლების განსხვავებული სტრატეგია დასჭირდებათ სასწავლო მიზნის მისაღწევად. საშუალო ან კარგი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე წარმატებით დაასრულებს განათლების პროცესს და სრულყოფილად გამოავლენს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარებს, დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს შეიძლება მეტი დრო დასჭირდეს იმავე შედეგის მისაღწევად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლემ კი შედეგს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოსწავლეთა შედეგები თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება მათი განათლებისა და განვითარებისთვის.

განვიხილოთ მაგალითი:

ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I კლასი) კითხვის მიმართულებისთვის ადგენს ასეთ შედეგს:

შედეგი:
მოსწავლეს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება (ქართ. I.6).

ინდიკატორი:

1. თავისუფლად ცნობს ორმოცდაათამდე სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს;
2. ადარებს სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიულ ხატებს, პოულობს საერთო მარცვლებს, ასოებს;
3. ნაცნობ სიტყვებში ცნობს და წარმოთქვამს ასოებს;
4. სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს წინასწარ მითითებულ ასოს, მარცვალს;
5. ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს – სიტყვებად;
6. სიტყვაში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ასოებს;
7. ასოებისგან, მარცვლებისგან აწყობს სიტყვას;
8. ცნობს ანბანის ყველა ასოს;
9. აკავშირებს ბეჭდურ ასოებს არაბეჭდურ ასოებთან.

მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებმა საუკეთესო შედეგს მიაღწიონ. შესაბამისად, მას ექნება მოლოდინი და სურვილი, მოსწავლეებმა შეძლონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობის თვალსაჩინოდ და ნათლად გამოვლენა.

კლასში შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელიც პირველი სასწავლო წლის ბოლოს გამოავლენს ყველა (ცხრავე) ინდიკატორის შესაბამის ქცევას. ამავდროულად, კლასში შეიძლება სწავლობდეს მოზარდი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორის შესაბამის აქტივობას განახორციელებს.

| მოსწავლემ შეძლო | მოსწავლემ ვერ შეძლო |
|---|--|
| (8) ყველა ასოს ცნობა; | (1) ორმოცდაათამდე სიტყვის ორთოგრაფიული ხატის თავისუფლად ამოცნობა; |
| (9) ბეჭდური ასოების შესაბამის არაბეჭდურ ასოებთან დაკავშირება; | (2) სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიული ხატების შედარება, საერთო მარცვლებისა და ასოების პოვნა; |
| (4) სიტყვათა ჩამონათვალში წინასწარ მითითებული ასოს, მარცვლის პოვნა; | (5) ასოების მარცვლებად და მარცვლების სიტყვებად გამთლიანება; |
| (3) ნაცნობ სიტყვებში ასოების ცნობა და წარმოთქმა. | (6) სიტყვაში მარცვლების, მარცვლებში ასოების გამოყოფა და წარმოთქმა; |
| | (7) ასოებისგან, მარცვლებისგან სიტყვის აწყობა. |

მიუხედავად მოსწავლეებს შორის თვალსაჩინო განსხვავებისა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ორივემ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია, თუმცა მიღწევის დონე განსხვავებულია. პირველმა მოსწავლემ უკეთესი შედეგი აჩვენა და ის, შესაბამისად, უკეთეს შეფასებასაც იმსახურებს. მეორე მოსწავლემ შედარებით ნაკლები სირთულის უნარ-ჩვევის გამოვლენა შეძლო, რაც მის შეფასებაში აისახება. მიუხედავად დაბალი შეფასებისა, მის მიერ შედეგის მიღწევა მაინც უნდა ვაღიაროთ.

მოსწავლეები, თავიანთი შესაძლებლობებიდან და მიღწევის დონიდან გამომდინარე, შესაძლოა, უფრო მეტადაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. განვიხილოთ კიდევ ერთი შემთხვევა:

ზემოთ მოცემული შედეგის მიღწევისას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ შეიძლება წლის ბოლოს მხოლოდ მერვე ინდიკატორის შესაბამისი უნარ-ჩვევა გამოავლინოს სრულად (ცნობდეს ანბანის ყველა ასოს) ან ნაწილობრივ (ცნობდეს მხოლოდ 16 ასოს). მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსწავლის მოსწრება კიდევ უფრო დაბალია, მიღწეული შედეგი მისთვის მაინც ფასეული იქნება. შესაძლებელია, ეს მოსწავლისთვის, მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საუკეთესო შედეგიც კი იყოს.

მართალია, მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგი საგრძნობლად იყო დაშორებული ეროვნულ სასწავლო გეგმაში მისი ასაკობრივი ჯგუფისთვის (კლასისთვის) განსაზღვრულს, მაგრამ ის იმავე მიზანზე იყო ორიენტირებული და, შესაბამისად, მნიშვნელოვან ცოდნას ეუფლებოდა.

მიუხედავად მოსწავლეთა განსხვავებულობისა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებზე ორიენტირება ყველა მათგანისთვის მნიშვნელოვანია. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნები ფასეული და აქტუალურია ყველა მოზარდისთვის, მიუხედავად მათი განვითარების დონისა და სწავლის თავისებურებისა. დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის დაგეგმვა გამიზნულია მხოლოდ მაღალი და საშუალო მოსწავლის მოსწავლეებისთვის და შეუსაბამოა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისთვის, რადგან, ერთი შეხედვით, სასწავლო მიზნები მათთვის შეიძლება დაუძლეველი მოგვეჩვენოს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვა თანაბრად მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლისთვის, შეუძლებელია და, ამავე დროს, გაუმართლებელიც, სასწავლო პროცესი ყველა მათგანისთვის იდენტური იყოს. იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს მიაღწიოს (თუნდაც ნაწილობრივ), აუცილებელია სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მოსწავლის თავისებურების გათვალისწინებით და მისთვის ინდივიდუალურად განისაზღვროს მისაღწევი სასწავლო შედეგები.

მასწავლებელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს და განსაზღვრავდეს თითოეული მოსწავლის მიღწევის დონეს, ანუ რა შედეგს მიაღწია მან. ამას მასწავლებელი ინდიკატორების საფუძველზე უნდა ახორციელებდეს.

განვიხილოთ მაგალითი:

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს ზეპირმეტყველების მიმართულებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (II კლასი):

შედეგი:
 მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტები და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება (ქართ. II. 2).

ინდიკატორი:

1. ილუსტრაციების მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ;
2. გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
3. აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ თხრობას;
4. ასათაურებს ტექსტს;
5. ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათ გარეგნობას, თვისებებს);
6. გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედებისადმი (მომწონს/არ მომწონს, კარგად მოიქცა/ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.);

7. ისმენს ტექსტს და ასახელებს შესაბამისი თემატიკის მულტიფილმს, საბავშვო ფილმს; იხსენებს მსგავსსა და განსხვავებულ ადგილებს ამ მულტიფილმებიდან და საბავშვო ფილმებიდან;
8. აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან;
9. გამოხატავს კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (მაგ., გამაკვირვა, შემეცოდა და ა. შ.);
10. მონაწილეობს პერსონაჟის, ობიექტის ან მოვლენის ჯგუფურ დახასიათებაში;
11. ქმნის ტექსტის ცალკეული ეპიზოდის/ეპიზოდების ილუსტრაციებს, ასათაურებს და გადმოსცემს მათ შინაარსს.

მეორე კლასის ბოლოს მასწავლებელს მოლოდინი ექნება, რომ მოსწავლეები შეძლებენ ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელებას. სავარაუდოდ, მოსწავლეები მართლაც გამოავლენენ აღნიშნულ უნარებს მეტ-ნაკლები განსხვავებით და სიმტკიცით, თუმცა კლასში შეიძლება შეგვხვდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც ამ შედეგის შესაბამის უნარ-ჩვევებს ვერ გამოავლენს, მაგრამ განახორციელებს ცხრილში მოცემული აქტივობებს:

- მოსწავლე შეძლებს:**
1. კითხვის დასმას და/ან პასუხის გაცემას მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით;
 2. ილუსტრაციების დაკავშირებას მოსმენილ ტექსტთან და მათ მოქმედებათა თანამიმდევრობით განლაგებას;
 3. პერსონაჟის ემოციური მდგომარეობის (მხიარული, მოწყენილი, გაკვირვებული და ა. შ.) ამოცნობას;
 4. მოსმენილის შეფასებას (მომეწონა/არ მომეწონა);
 5. პერსონაჟის და მისი საქციელის შეფასებას (კეთილია/ბოროტია; კარგად მოიქცა/ცუდად მოიქცა და ა. შ.);
 6. მოსმენილის მსგავსი ამბის გახსენებას.

მასწავლებელი თუ კარგად გააანალიზებს მოსწავლის მიერ გამოვლენილ სასწავლო აქტივობებს (ამავდროულად, ექნება ზუსტი წარმოდგენა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაზე), აღმოაჩენს, რომ მოსწავლემ თვალსაჩინოდ გამოავლინა არა მეორე კლასის ზემოთ მოყვანილი შედეგი, არამედ პირველი კლასის ზეპირმეტყველების მიმართულების შედეგი: მოსწავლემ შეძლო მოესმინა და გაეგო ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტი და გამოეხატა თავისი დამოკიდებულება (ქართ. I. 4). აღნიშნული შედეგის მიღწევას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მოსწავლემ შეძლო პირველი კლასის შედეგის შესაბამისი აქტივობის გამოვლენა.

შესაბამისად, მიუხედავად მასწავლებლის სურვილისა, ყველა მოსწავლეს საუკეთესო სასწავლო შედეგი ეჩვენებინა, ეს ზოგიერთისთვის შეუძ-

ლებელი აღმოჩნდა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მეორე კლასის მოსწავლემ, რომელზეც ახლა ვსაუბრობდით, მხოლოდ პირველი კლასის სასწავლო შედეგის მიღწევა შეძლო. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მას ეს მიღწევა დაუთვალა.

დაუშვებელია, შედეგად გულგრილობა გამოიჩინოს და არ დაუფასოს მოსწავლეს მიღწეული შედეგი იმ მიზეზით, რომ აღნიშნული შედეგი პირველი კლასისთვის არის დადგენილი.

მასწავლებელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს ყველა მოსწავლის მიერ გამოვლენილ აქტივობებს და აანალიზებდეს მათ საგნობრივ პროგრამასთან და შედეგთან კავშირში. ობიექტური მსჯელობის შედეგად, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, რომელი შედეგის ინდიკატორია მოსწავლის მიერ გამოვლენილი აქტივობა. მასწავლებელმა უნდა დაასკვნას, რომელ შედეგს მიაღწია მოსწავლემ და დაადგინოს მიღწევის დონე. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომდევნო შედეგისა და სწავლების მიდგომების განსაზღვრისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ მიჰყვება სასწავლო პროგრამით დადგენილ ტემპს და წლის ბოლოს ვერ აღწევს გათვალისწინებულ შედეგს, მასწავლებელს სრული უფლება აქვს, მომდევნო სასწავლო წელსაც მიუბრუნდეს აღნიშნულ მიზანს და მხოლოდ მისი სრულად ან ნაწილობრივ მიღწევის შემდეგ გადავიდეს მომდევნოზე ეტაპზე.

შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელს დაეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი თავისებურება: ერთი და იგივე შედეგი შესაძლებელია განსაზღვრული იყოს სხვადასხვა სასწავლო წელს, განსხვავებული ინდიკატორებით: ქვედა კლასებში – შედარებით მარტივი, ზედა კლასებში კი – გართულებული ინდიკატორებით.

განვიხილოთ ზეპირმეტყველების მიმართულების შედეგები პირველი და მეორე კლასისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში:

| შედეგი | შედეგი |
|--|--|
| ქართ. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში . | ქართ. II. 1. მოსწავლეს შეუძლია ადეკვატურად რეაგირება მარტივ სამეტყველო სიტუაციებში . |
| ინდიკატორი შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს; • სვამს კითხვებს უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად; | ინდიკატორი შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: • ამოიცნობს სამეტყველო სიტუაციის ადრესანტს (ვინ ლაპარაკობს), ადრესატს (ვის ელაპარაკებიან) და საუბრის თემას; |

| | |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობს სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში და, საჭიროების მიხედვით, ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უსმენს სხვებს, სვამს/პასუხობს კითხვებს); • ამოიცნობს და იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმებას, დამშვიდობებას, ბოდიშის მოხდას, მაღლობის გადახდას და ა. შ.). | <ul style="list-style-type: none"> • სამეტყველო სიტუაციისა და ადრესატის გათვალისწინებით შეარჩევს მართებულ გამონათქვამს (როგორ ხარ?/როგორ ბრძანდებით?); • ადრესატის გათვალისწინებით წარმართავს ეტიკეტურ დიალოგებს ნაცნობ თემებზე (მიპატიჟება, თავაზიანი თხოვნა ან უარი და ა. შ.). |
|---|--|

მოყვანილი ცხრილი ნათლად ასახავს, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირმეტყველების მიმართულების შედეგი თითქმის მეორდება პირველ და მეორე კლასში (შედეგები, რომლებიც საერთოა პირველი და მეორე კლასისთვის მოცემულ ცხრილში გამოუქებულია). ამავდროულად, ცხრილი ნათლად აჩვენებს, რომ აღნიშნული შედეგისთვის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომლებიც ზედა კლასებში გადასვლასთან ერთად რთულდება.

პირველი კლასის ბოლოს მოსწავლეს უნდა შეეძლოს მოისმინოს მარტივი ინფორმაცია, მაგალითად: მასწავლებლის ინსტრუქცია – გადაშალე წიგნი, ამოიღე რვეული; თანატოლების თხოვნა – აიღე, დაიმაღე, გავიქცეთ. ამავდროულად, მოსწავლემ უნდა შეძლოს დასვას კითხვები მისთვის გაუგებარი სიტყვების ასახსნელად; მიესალმოს, დაემშვიდობოს მოსაუბრეს და ა. შ. (იხ. **ქართ. I. 1. ინდიკატორები**).

მეორე კლასის ბოლოს ვერბალური ინფორმაციის აღქმისა და მასზე სათანადო რეაგირების უნარის განვითარება ისევ ბავშვისთვის ნაცნობი, მარტივი სამეტყველო გარემოთი შემოიფარგლება. თუმცა, მოსწავლემ აღნიშნული ეტაპისთვის დამატებით უნდა შეძლოს სამეტყველო სიტუაციის ადრესატის და სასაუბრო თემის ამოცნობა, ზრდილობიანი ფორმის გამოყენება მოსაუბრის ასაკის გათვალისწინებით და დიალოგის წარმართვა (იხ. **ქართ. II.1. ინდიკატორები**).

სწავლების პროცესში მასწავლებელს ექნება მოლოდინი, რომ მოსწავლეები მეორე სასწავლო წელს იმავე შედეგის მიღწევის დასტურად უფრო მაღალი დონის უნარ-ჩვევებს წარმოაჩენენ. თუ მეორე სასწავლო წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე აღნიშნული შედეგის მიღწევის ინდიკატორების შესაბამის უნარებს ვერ გამოავლენს, მასწავლებელს შეუძლია იგი კვლავ პირველი კლასისთვის განსაზღვრულ შედეგზე ავარჯიშოს, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მოსწავლეებთან ამავდროულად უფრო რთული აქტივობების განხორციელება მოუწევს.

2.3. შედეგის/შედეგების განსაზღვრა მოსწავლის თავისებურების გათვალისწინებით

შედეგზე ორიენტირებული განათლების განხორციელებისას, მნიშვნელოვანია მოსწავლე, პირველ ყოვლისა, ეუფლებოდეს იმ სასწავლო შედეგს/შედეგებს, რაც მის შესაძლებლობებს შეესაბამება და რის საშუალებასაც მისი განვითარებისა და განათლების დონე გვაძლევს. მოსწავლის სწავლებისას სულაც არ არის აუცილებელი, მექანიკურად ვიყოთ ორიენტირებული იმ კლასისთვის განსაზღვრულ შედეგზე/შედეგებზე, რომელშიც მოსწავლე ირიცხება. ასეთი მიდგომა კონკრეტული მოსწავლისთვის შეიძლება სრულიად გაუმართლებელი იყოს. შეცდომა იქნება, მოსწავლე, თანაკლასელების მსგავსად, ორიენტირებული იყოს სასწავლო გეგმით დადგენილ კონკრეტულ შედეგზე მაშინ, როცა მას ამ შედეგის მისაღწევად საჭირო ფუნდამენტური უნარ-ჩვევები ჯერ არ აქვს განვითარებული. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება განათლებისა და განვითარების კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც განვითარების ყოველი მომდევნო ეტაპი წინამორბედი ეტაპის წარმატებით გავლას გულისხმობს.

ბევრად მნიშვნელოვანია საგნობრივი პროგრამიდან იმ შედეგის/შედეგების მიმართულებით ვიმუშაოთ, რომელიც ადეკვატური და მისაწვდომია კონკრეტული მოსწავლისთვის. შესაბამისი უნარების განვითარებით უნდა შეექმნათ წინაპირობა მომავალში გაცილებით რთული მიზნების მისაღწევად.

როგორც ვხედავთ, მისაღებია, რომ მასწავლებელმა კონკრეტული მოსწავლისთვის წლის ბოლოს მისაღწევ შედეგად თანაკლასელებისგან განსხვავებული მიზნები და/ან მიზნის მიღწევის უფრო მარტივი დონე განსაზღვროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ მოსწავლე ვერ აღწევს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს და ვერ ძლევს სასწავლო წლისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ბარიერს (იქნება ეს ერთ, რამდენიმე ან ყველა საგანში), იქმნება ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრის აუცილებლობა.

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრის პროცესში მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი ნუსებით:

- ❖ მისაღწევი შედეგი/შედეგები შერჩეული უნდა იყოს მოსწავლის განვითარებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით;
- ❖ უნდა არსებობდეს შედეგის წარმატებით მიღწევის დიდი ალბათობა;
- ❖ შერჩეული მიზანი მოსწავლისთვის ფასეული უნდა იყოს მომავალში მისი ფუნქციური გამოყენების თვალსაზრისით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და მიზნების განსაზღვრის აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება მოსწავლის საფუძვლიანი შეფასების შედეგად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეფასებამ დაადასტურა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა (მოსწავლის შეფასების პროცედურა განხილულია წინამდებარე პუბლიკაციის IV თავში – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაცია და შეფასება“).

2.4. გამონაკები ინდივიდუალურად განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირებისას

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთან, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელია სასწავლო შედეგების დიფერენცირებულად განსაზღვრა, თუმცა ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვან გამონაკებთან არის დაკავშირებული და მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესის დაგეგმვას მოითხოვს.

ჩვეულებრივ, სწავლების პროცესში მასწავლებელი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის ყველა შედეგზე და მათ მისაღწევად მოცემული კლასისთვის და საგნობრივი პროგრამისთვის შერჩეული შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოთი – მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნებით ხელმძღვანელობს. თუ პედაგოგი მასწავლებლის წიგნით სწავლებისას ითვალისწინებს მოცემულ სასწავლო ინსტრუქციებსა და აქტივობებს, უცილობლად სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე იქნება ორიენტირებული.

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლება კი (თუ ისინი სასწავლო შედეგების ინდივიდუალურად განსაზღვრას საჭიროებენ) შეუძლებელია მიზანმიმართული დაგეგმვის გარეშე. მასწავლებელმა სასწავლო შედეგები კონკრეტული მოსწავლისთვის (თავად ან სპეციალისტის დახმარებით) ინდივიდუალურად უნდა განსაზღვროს: თავადვე შეარჩიოს სასწავლო აქტივობები, სასწავლო სტრატეგიები, რისთვისაც მასწავლებლის წიგნი, იქ მოცემული ინსტრუქციებით, საკმარისი ველარ იქნება.

განვიხილოთ მაგალითი: თუ მასწავლებელს მეექვსეკლასელი მოსწავლის სასწავლო შედეგები მეოთხე კლასის საგნობრივი პროგრამიდან აქვს განსაზღვრული, მეექვსე კლასის მასწავლებლის წიგნს სასწავლო სტრატეგიებისა და აქტივობების განსაზღვრისათვის ვერ გამოიყენებს. მას ადეკვატური სასწავლო აქტივობების შერჩევისას მეოთხე კლასის მასწავლებლის წიგნი და/ან თავისი კრეატიულობა უფრო გამოადგება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის ადეკვატურად დაგეგმვის მიზნით და შედეგის მისაღწევად მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- მოსწავლის შესაძლებლობების, განვითარების და დასწავლის თავისებურებების გათვალისწინება;
- საგნობრივი პროგრამის ფარგლებში მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრა;
- სასწავლო აქტივობებისა და სტრატეგიების სწორად შერჩევა (მასწავლებლის წიგნის შემოქმედებითად გამოყენება);
- მოსწავლის სახელმძღვანელოების (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) კრეატიულად გამოყენება.

კონკრეტულ შედეგებზე მუშაობა, რასაკვირველია, მოითხოვს გარკვეული სასწავლო მასალის და დამხმარე/დამატებითი რესურსების გამოყენებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს გრიფის მინიჭების პროცესს იმ სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული და სხვ. რესურსები), რომლებიც თავისი სასწავლო აქტივობებით, შინაარსითა და თემებით ორიენტირებულია კონკრეტულ სასწავლო შედეგებზე. (ამავდროულად, განათლების სამინისტრო სასწავლო მიზნების რეალიზებისთვის არ გამოორიციხავს დამხმარე მასალის დამატებით რესურსად გამოყენებას.)

გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების გამოყენება მასწავლებლისთვის სასწავლო შედეგებზე მუშაობის პროცესს მეტად მოსახერხებელს ხდის. თუმცა საგნობრივ პროგრამებში მოცემულია სასწავლო შედეგები, რომელთა მიღწევაც დამოკიდებული არ არის კონკრეტულ სახელმძღვანელოსა და მის შინაარსზე.

განვიხილოთ კითხვის მიმართულების შედეგი ქართული ენისა და ლიტერატურაში პირველი კლასისთვის:

შედეგი: მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურის აღქმა (I.11)

ინდიკატორი: შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ❖ ტექსტში ამოიცნობს აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისსა და დასასრულს;
- ❖ ითვლის ტექსტში აბზაცების რაოდენობას, აბზაცში – სტრიქონებისას, სტრიქონში – სიტყვებისას, სიტყვებში კი – ასოებისას;
- ❖ მთლიანობაში აკვირდება ტექსტის კომპოზიციურ აგებულებას და ასახელებს ტექსტის მარჯვნივებელ ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, წარწერას, აბზაცს, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.);
- ❖ პოულობს სასვენ ნიშნებს (მაგ., წერტილს, კითხვის ნიშანს და სხვ.).

შედეგისა და ინდიკატორების ყურადღებით გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ აღნიშნული შედეგის მიღწევა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახელმძღვანელოებისა და რესურსების გამოყენებით. ამისთვის პირველი კლასის სახელმძღვანელოს ნაბიჯ-ნაბიჯ გავლა გადამწყვეტი არ არის.

შესაბამისად, დასაშვებია, რომ მესამე კლასის მოსწავლე, რომელსაც აღნიშნული შედეგები ინდივიდუალურად აქვს განსაზღვრული, თანაკლასელების მსგავსად მესამე კლასის სახელმძღვანელოთი სარგებლობდეს – ეცნობოდეს იმავე თემებს, რომლებსაც მისი თანატოლები, მაგრამ ორიენტირებული იყოს პირველი კლასის სასწავლო აქტივობებზე და შედეგებზე. მასწავლებლის მიერ სახელმძღვანელოს გონივრულად და, ამავე დროს, კრეატიულად გამოყენება ხშირ შემთხვევაში ამის საშუალებას იძლევა. პედაგოგს უნდა შეეძლოს სტანდარტული სახელმძღვანელოს გამოყენებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე განსხვავებული შედეგის მიღწევაზე ამუშაოს. ეს ერთი შეხედვით რთული საკითხი შეიძლება მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესს აიოლებდეს კიდევ. ერთი სახელმძღვანელოთი სწავლების დროს, სხვადასხვა შედეგებზე ფიქრის პარალელურად, მას დამატებით აღარ სჭირდება სხვადასხვა თემების განსაზღვრა. იგი იმავე სასწავლო მასალით, მაგრამ განსხვავებული სასწავლო აქტივობებით ცდილობს შედეგების მიღწევას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან.

გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აქვთ უფლება, მიიღონ მათი ასაკის შესაბამისი განათლება და ინფორმაცია. გამართლებული და რეკომენდებულია, მოსწავლე იმავე სახელმძღვანელოთი (მოსწავლის წიგნით, მოსწავლის რვეულით) სარგებლობდეს, რომლითაც მისი თანაკლასელები.

თუ შედეგი სპეციფიკურ შინაარსთან არ არის დაკავშირებული, მასწავლებელმა უნდა შეეძლოს მეოთხეკლასელ ბავშვთან მეორე კლასის სასწავლო შედეგზე თემების შეუცვლელად იმუშაოს (ხშირად ასეც ხდება). მაგალითად, როცა მასწავლებელი მეოთხეკლასელ მოსწავლეს ტექსტში არსებითი სახელების ამოცნობაში ავარჯიშებს (რაც მეორე კლასის სასწავლო შედეგია), მას შეუძლია გამოიყენოს არა მეორე კლასის, არამედ მეოთხე კლასის სახელმძღვანელო, რადგან ეს აქტივობა კონკრეტულ ტექსტთან არ არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, მას საშუალება ექნება ერთი მოსწავლე საგნისა და მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვის ამოცნობაში ავარჯიშოს, სხვა მოსწავლეებს კი იმავე ტექსტის გამოყენებით ნაცვალსახელების სახელთან მისადაგება ასწავლოს.

გვახსოვდეს, მთელ კლასთან ერთსა და იმავე ტექსტზე მუშაობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვას და, მეორე მხრივ, უმარტივებს მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვასა და წარმართვას.

თავი III ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლისთვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს და მიზნის მიღწევის გზებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის და გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის. მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს მის მოთხოვნებს.

მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისას შეიძლება ხელმძღვანელობდეს მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (ისგ), თუ მოსწავლისთვის ყველა საგნობრივ პროგრამაში სასწავლო მიზნები ინდივიდუალურად არის განსაზღვრული. ამავდროულად, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გამოიყენებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ერთად, თუ მოსწავლე არ მოითხოვს ყველა სასწავლო მიზნის ინდივიდუალურად შემუშავებას. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მხოლოდ შეავსებს და დააზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმას და საგნობრივი პროგრამის/პროგრამების ფარგლებში მოცემულ მიზნებს.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ შეძლოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ან გეგმის ფარგლებში ინდივიდუალურად განსაზღვრული მიზნების მიღწევა, აუცილებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება სასწავლო პროცესში და თავად სასწავლო გეგმაში. ცვლილებები მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს: შესაძლოა, ეს ეხებოდეს სასწავლო შედეგს, სასწავლო შედეგის მიღწევის ან სასწავლო აქტივობისთვის განსაზღვრულ დროს, სასწავლო მასალას, შეფასების სქემას, სწავლების ფორმას (ჯგუფური, ინდივიდუალური [შინ სწავლება]), სწავლების სტრატეგიებს და სხვ.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოქნილობა შესაძლებლობას გვაძლევს, აღნიშნული კომპონენტები ისე ვცვალოთ, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული მოსწავლის საჭიროებები. სასწავლო გეგმის ნებისმიერ ცვლილებას გეგმის ადაპტაცია ჰქვია. ბუნებრივია, ადაპტაცია თითოეული მოსწავლისთვის განსხვავებული ტიპისა და ხარისხის იქნება. განვიხილოთ ადაპტაციის ძირითადი მიმართულებები:

- სასწავლო გეგმის აკომოდაცია;
- სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია;
- სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შეტანა.

3.1. სასწავლო გეგმის აკომოდაცია

აკომოდაცია არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილება, რომელიც ამცირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შეზღუდვებს და ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას. აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე. ის საშუალებას იძლევა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, მათი **შინაარსისა და სირთულის დონის შეცვლის გარეშე**; სხვადასხვა შემთხვევაში ცვლილება შეეხება:

- სკოლისა და კლასის ფიზიკურ გარემოს;
- საათობრივ ბადეს;
- დღის გრაფიკს, აქტივობების ხანგრძლივობას;
- სასწავლო მასალას;
- სწავლების სტრატეგიას;
- შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას (ტესტირებას, წერილთ დავალებას, ზეპირ დავალებას და ა. შ.).

თითოეული ამ ტიპის ცვლილების მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც გაზრდის მიზნის (შედეგის) მიღწევის შესაძლებლობას, მისი შეცვლის გარეშე.

ბექა, 9 წლის

ბექა IV კლასშია. მის ძირითად სირთულეს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოადგენს, რის გამოც ბავშვი სათვალეს ატარებს; მას უჭირს ვიზუალური ინფორმაციის სწრაფად გადამუშავება; შესაბამისად, კითხულობს ნელა და მისი კითხვის უნარი ჩამორჩება ასაკით გათვალისწინებულს. გარდა ამისა, ბექა მალე იღლება, განსაკუთრებით, დღის მეორე ნახევარში და უჭირს გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა. მე-4 და მე-5 გაკვეთილზე მისი ქცევა ხელს უშლის თავად მასაც და თანაკლასელებსაც.

კითხვის პროცესში შექმნილი სირთულეები ზღუდავს ბექას შესაძლებლობას, მიიღოს მისი ასაკისათვის/კლასისთვის შესაფერისი ინფორმაცია, რის გამოც იგი ჩამორჩება პროგრამას; სხვადასხვა ცვლილებები სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნად შეამცირებს ბექას შეზღუდვის ხარისხს. ბექას შეუძლია წარმატებით გამოიყენოს:

- დიდი ზომის შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი;
- ადეკვატური განათება და კონტრასტი;

- დამხმარე გამადიდებელი საშუალებები, მაგ., ლუბა, გამადიდებელი ეკრანი და სხვ.;
- ადაპტირებული ტექსტი, რომელიც მარტივი წინადადებებით და სიტყვებით გადმოსცემს **იმავე შინაარსს**;
- მულტისენსორული სწავლება, მაგ.: აუდიონიგნები, გაკვეთილის ჩანაწერი, ყველაფრის გახმოვანება, რაც იწერება დაფაზე ან წარმოდგენილია თვალსაჩინოების სახით და ა. შ.

გარდა ამისა, ბეჯა მალე იღლება, რაც ზღუდავს მის შესაძლებლობას, დაესწროს მე-4 და მე-5 გაკვეთილს; შეზღუდვის შემცირების მიზნით, გაკვეთილების ცხრილში შეიძლება დაიგეგმოს ცვლილებები:

- მე-4 გაკვეთილზე ჩატარდეს მეცადინეობა, რომელიც ნაკლებად სტრუქტურირებულია და/ან არ მოითხოვს მერხთან წყნარად ჯდომას, კითხვას, ყურადღების ხანგრძლივი დროით კონცენტრირებას და ა. შ. ასეთი გაკვეთილი შეიძლება იყოს სპორტი, ხელოვნება და სხვა.
- მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს რესურსოთახით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც მე-4 გაკვეთილზე დაისვენებს [შესაძლოა ამ დროს დაიგეგმოს კითხვის უნარის გაუმჯობესებისკენ მიმართული მოკლენიანი სავარჯიშოები] და მე-5 გაკვეთილზე კვლავ ჩაერთვება სასწავლო პროცესში.

გიორგი, 11 წლის

გიორგი VI კლასშია. მას კომუნიკაციასთან დაკავშირებით ექმნება სირთულეები, რის გამოც ყოველთვის ვერ ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციას; მასზე უარყოფითად მოქმედებს გარკვეული ინტენსივობის სმენითი გამლიზიანებელი, რომლისგან თავის არიდების მიზნით მოსწავლე იწყებს ხმამაღლა ლაპარაკს ან ზუზუნს; ამგვარი ქცევით ცდილობს გარე სმენითი გამლიზიანებლის ჩახშობას. გიორგი შედეგიანად მეცადინეობს სახლში და სწავლობს ყველა საგანს.

ინსტრუქციის შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, იგი ვერ ერთვება გაკვეთილში. ამ პროცესიდან ამოვარდნას ხელს უწყობს აგრეთვე სმენით გამალიზიანებელზე მომატებული მგრძობელობა; კლასში ხმაურის მატებასთან ერთად, გიორგი იწყებს ხმამაღლა ლაპარაკს ან ზუზუნს, რაც ხელს უშლის არა მხოლოდ მას, არამედ მთელ კლასს.

პრობლემით გამონვეული შეზღუდვის შემცირების, ანუ გაკვეთილზე ჩართულობის გაზრდის მიზნით, შესაძლებელია შეიცვალოს:

- ფიზიკური გარემო: (სწორი ადგილის შერჩევა, გვერდზე მჯდომი მოსწავლეების შერჩევა, მერხების განლაგება);

- ინსტრუქციის მიცემის პირობები;
- კლასის მართვის იმგვარი სტრატეგიის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ხმაურის შემცირებას.

ფიზიკური ცვლილებების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ პრობლემური მოსწავლის ადგილი კლასში და ის მოსწავლეები, რომლებიც მის გვერდით დასხდებიან. გიორგისთვის ადგილი ისე უნდა შეირჩეს, რომ მის გვერდით რაც შეიძლება ცოტა მოსწავლე აღმოჩნდეს. მაგ., თუ გიორგის დავსვამთ შუა რიგის შუა მერხზე, მის გარშემო რვა მოსწავლე იჯდება (იხ. სქემა: გიორგის ადგილი აღნიშნულია G ასოთი), ხოლო თუ მას ადგილს ფანჯრიდან პირველი ან მეორე რიგის პირველ მერხზე მივუჩინებ, შესაძლებელი გახდება ამ გარემოცვის 5-მდე შემცირება. გარდა ამისა, ბავშვი მასწავლებელთან უფრო ახლო აღმოჩნდება. ასევე მნიშვნელოვანია, სწორად შეირჩეს ის მოსწავლეები, რომლებიც გიორგის მეზობლად სხედან. ბუნებრივია, კარგი იქნება, თუ მის გვერდით შედარებით წყნარ ბავშვს დავსვამთ, მას, ვინც ყოველთვის იცავს წესრიგს. არანაკლებ მნიშვნელოვანია დისტანციის დარეგულირება რიგებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ საკლასო ოთახი განიერია, მიზანშეწონილია გაიზარდოს დისტანცია იმ რიგებს შორის, სადაც გიორგი იჯდება. რეკომენდებული ადგილები მონიშნულია ქვედა ხაზით.

| | | | |
|---|----|-----------|-----------|
| X | XX | XX | XX |
| X | XX | XX | XX |
| X | XG | XX | XX |
| X | XX | <u>XX</u> | <u>XX</u> |

ინსტრუქციის მიცემისას საჭიროა გავითვალისწინოთ და გავაკონტროლოთ შემდეგი ფაქტორები:

- ინსტრუქციის მიცემამდე მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს კლასში სიჩუმე, მაგ.: სთხოვოს მოსწავლეებს, დამშვიდდნენ და შემდეგ მისცეს ინსტრუქცია გიორგის;
- დისტანცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის: მასწავლებელი უნდა მიუახლოვდეს მას იმ მანძილზე, რომ მოსწავლის მხედველობის ველში მოხვდეს;
- წინასწარი მინიშნება: ინსტრუქციის მიცემამდე შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს მისი ყურადღების მიპყრობა მხარზე ან თავზე ხელის შეხებით, მიმართვით;

- გამეორება: თუ გიორგი პირველ ჯერზე ინსტრუქციაზე არ რეაგირებს, შეიძლება რამდენჯერმე (2-3-ჯერ) გამეორება;
- ინსტრუქციის დეტალიზაცია: გამარტივებული ინსტრუქცია გაზრდის მისი აღქმისა და მასზე რეაგირების ალბათობას; თუ ეს შესაძლებელია, მასწავლებელი იყენებს ვიზუალურ მინიშნებას, მაგ., აჩვენებს, საიდან უნდა გააგრძელოს კითხვა და სად უნდა დაამთავროს; აფარებს სუფთა ქაღალდს იმ ადგილს, რომელიც არ უნდა ნაიკითხოს, ხაზს უსვამს იმ ადგილს, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს და ა. შ.

საგანმანათლებლო სივრცეში გამოყენებული აკომოდაციები შეიძლება დაიყოს იმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის რომელ კომპონენტს ეხება ესა თუ ის ცვლილება; ძირითადად განიხილავენ ოთხი ტიპის აკომოდაციას:

- **ინსტრუქციის აკომოდაცია:** ახალი მასალის მიწოდებისა და ახსნის სტანდარტული მეთოდებისა და საშუალებების ცვლილება (შრიფტის გაზრდა, აუდიოჩანაწერის გამოყენება და ა. შ.);
- **შეფასების აკომოდაცია:** საშინაო დავალების, გამოცდის ჩაბარების ფორმატისა და მეთოდის შეცვლა (წერიტი დავალება თხრობის ნაცვლად, ტესტირება წერის მაგივრად, კალკულატორის გამოყენება, შეფასების ინდივიდუალური პროცედურა და ა. შ.);
- **გარემო პირობების აკომოდაცია:** სკოლასა და კლასის სივრცეში ავეჯის განლაგების, განათების, მოსწავლეთა განთავსების ცვლილებები; სწავლების ადგილისა და/ან ფორმის ცვლილება (შინ სწავლება, ინდივიდუალური გაკვეთილი, მცირე ჯგუფში მუშაობა და ა. შ.);
- **დროისა და გრაფიკის აკომოდაცია:** დასწრების ინდივიდუალური გრაფიკის შემუშავება, საათობრივი ბადით გათვალისწინებული საათების შემცირება/გაზრდა (დამატებითი დრო, შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი, და ა. შ.).

ცხრილში მოყვანილი აკომოდაციები ასახავს შესაძლო, მაგრამ არა ყველა ტიპის ცვლილებას, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებულია საგანმანათლებლო სივრცის მისანვდომობის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

| ინსტრუქციის აკომოდაცია | შეფასების აკომოდაცია |
|---|---|
| <ul style="list-style-type: none"> - შესტების ენა; - ბრაილის ანბანი; - მოქმედებების დაგეგმვა; - კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ბარათებით კომუნიკაცია); - ტექსტის ლექსიკის გამარტივება; - ვიზუალური მინიშნება; - ვიზუალური ცხრილი; - ფონტის გაზრდა; - მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; - ინსტრუქციის პერიფრაზირება; - ინფორმაციის გამეორება; - აუდიომასალა და ა. შ. | <ul style="list-style-type: none"> - წერიტი გამოცდა ზეპირის ნაცვლად; - ტესტირება წერიტი ან ზეპირი გამოცდის ნაცვლად; - დაბეჭდვა; - ვერბალური პასუხის ჩანაწერის გაკეთება (შემდგომში დეკოდირება); - ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს; - გამადიდებელი; - ხმის გამაძლიერებელი; - კალკულატორი და ა. შ. |
| გარემო პირობების აკომოდაცია | დროის/გრაფიკის აკომოდაცია |
| <ul style="list-style-type: none"> - საკლასო ოთახის მდებარეობა; - მერხების განლაგება; - მოსწავლეთა განთავსება; - განათება; - ადაპტირებული ავეჯი, სივრცე; - შინ სწავლება; - ინდივიდუალური გაკვეთილი; - მცირე ჯგუფში გაკვეთილი და ა. შ. | <ul style="list-style-type: none"> - დროის გაზრდა; - შეფასების (გამოცდის) ეტაპობრივად ჩატარება; - დროის დაგეგმვა; - დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; - შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი და ა. შ. |

აკომოდაციების შერჩევა და გადანყვეტილება მათი გამოყენების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების სრულფასოვან შეფასებას; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფში უნდა განიხილოს კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება, მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მხოლოდ ობიექტური ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადანყვეტილება (ინფორმაცია ისგ ჯგუფის ფუნქციებსა და დანიშნულებაზე დეტალურად იქნება განხილული წინამდებარე სახელმძღვანელოს VI თავში - „გუნდური მიდგომა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას“).

- რეკომენდაციები აკომოდაციის შერჩევისა და გამოყენებისთვის:
- ✓ მიიღეთ გადანყვეტილება არა დავალების გამარტივების ან მოსწავ-

ლისთვის პირობების გაუმჯობესების, არამედ საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით. გამორიცხეთ მოსწავლისთვის უპირატესობის მინიჭება;

- ✓ აკომოდაციები თითოეული სფეროს/საგნისთვის ინდივიდუალურად შეარჩიეთ; გამორიცხეთ ერთ სფეროში ეფექტურად მოქმედი აკომოდაციის ავტომატური გადატანა სხვა სფეროში;
- ✓ დააკვირდით, უპასუხებს თუ არა თქვენ მიერ შერჩეული აკომოდაცია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს; დარწმუნდით, რომ არ ხდება აკომოდაციის მექანიკური შერჩევა (მაგ., მხედველობის პრობლემის შემთხვევაში მოსწავლის წინა მერხზე გადასმა);
- ✓ განსაზღვრეთ და დააკონკრეტეთ აკომოდაციის გამოყენების დრო, ადგილი, პასუხისმგებელი პირი;
- ✓ პერიოდულად გადააფასეთ აკომოდაციების გამოყენების საჭიროება. ერთხელ შერჩეული ეფექტური აკომოდაცია, შესაძლოა, გარკვეული დროის შემდეგ არაეფექტური აღმოჩნდეს;
- ✓ გამოიყენეთ შერჩეული აკომოდაციები სისტემატურად;
- ✓ თუ ეს შესაძლებელია, მოიპოვეთ ინფორმაცია აკომოდაციის ეფექტიანობის შესახებ თავად მოსწავლისგან.

3.2. სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია

მოდიფიკაცია არის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება, რომელიც, შესაძლოა, გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, მათ გამარტივებას ან გართულებას.

სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობისა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის ხშირად საკმარისი არ არის მხოლოდ აკომოდაციების გამოყენება და საჭირო ხდება გარკვეული რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილებების შეტანა სასწავლო მიზნებში; ვინაიდან წინამდებარე სახელმძღვანელო, ძირითადად, ორიენტირებულია იმ მოსწავლეების საჭიროებებზე, რომლებსაც სირთულეები ექმნებათ სასწავლო პროცესში, დეტალურად განვიხილავთ მიზნების მხოლოდ შემცირებისა და გამარტივების შემთხვევებს.

3.3. სასწავლო მიზნების რაოდენობრივი ცვლილება

რაოდენობრივი ცვლილება ყველაზე ხშირად შედეგებისა და/ან ინდიკატორების შემცირებით ხორციელდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე შეიძლება ორიენტირებული იყოს კლასის საგნობრივი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ არა ყველა შედეგზე, არამედ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე. ეს მიდგომა დასაშვებია მაშინაც, როდეს-

აც მოსწავლე ორიენტირებულია თავისი კლასის შესაბამის შედეგებზე და მაშინაც, როდესაც მოსწავლე ქვედა კლასის/კლასების სასწავლო მიზნებს ეუფლება. აღნიშნული მიდგომით ხელმძღვანელობისას მნიშვნელოვანია, მასწავლებელი არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას იღებდეს და ასაბუთებდეს, რატომ არის მიზანშეწონილი მოსწავლის კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე შედეგზე და არა ყველაზე. ამავდროულად, მასწავლებელმა მიზნად უნდა დაისახოს მოსწავლის რაც შეიძლება მეტ შედეგზე ორიენტირება: ბავშვს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უნდა უწევდეს შედეგებს შორის არჩევანის გაკეთება. გამართლებული არ იქნება, მასწავლებელი ერთ საგნობრივ პროგრამაში მხოლოდ ერთ შედეგს არჩევდეს და ყველა დანარჩენზე უარს ამბობდეს. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მათემატიკის სწავლების თავისებურება პირველ კლასში: მათემატიკის საგნობრივი პროგრამა დაწყებით საფეხურზე აერთიანებს სამი მიმართულების (რიცხვები და მათზე მოქმედებები, კანონზომიერება და ალგებრა, გეომეტრია და სივრცის აღქმა) მიხედვით დაჯგუფებულ სასწავლო მიზნებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებელმა შეიძლება პრიორიტეტულად მიიჩნიოს თვლის, რიცხვებისა და ანაგრიშის სწავლება, შესაბამისად, მხოლოდ „რიცხვებისა და მათზე მოქმედებების“ მიმართულებიდან შეარჩიოს მიზანი; დანარჩენი ორი მიმართულება კი, როგორც ნაკლებად პრიორიტეტული, სამომავლოდ გადადოს. ცხადია, ანგარიში ერთ-ერთი საბაზისო აკადემიური უნარ-ჩვევაა, ის სხვა უამრავი უნარისა და ცოდნისა შექმნის წინა საფეხურია, რაც, ერთი შეხედვით, ლოგიკურს ხდის მასწავლებლის მსჯელობას. თუმცა სრულიად გაუმართლებელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება სათანადო დასაბუთების გარეშე.

შედეგის გამოტოვება დასაშვებია, თუ ის მოსწავლისთვის, მისი განვითარებისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით, შეუსაბამოდ იქნება მიჩნეული; როცა არსებობს დიდი ალბათობა, რომ შედეგის მიღწევის დონის გამარტივების პირობებში (დაბალი დონის ინდიკატორების გათვალისწინებით), სწავლების განსხვავებული სტრატეგიების გამოყენებითა და სწავლებისთვის გამოყოფილი მეტი დროის გათვალისწინებით, მოსწავლე მაინც ვერ დაეუფლება და ვერ შეძლებს მის გამოყენებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებებისა და პრიორიტეტების ანალიზის საფუძველზე, ისე ჯგუფს უფლება აქვს მშობელთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრამიდან ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული რომელიმე საგნის ამოღების შესახებ; ყოველი ასეთი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის სიღრმისეული შეფასების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებებისა და პრიორიტეტების ანალიზს; პრაქტიკაში ყველაზე ხშირად ვხვდებით პროგრამიდან უცხო ენის ამოღების შემთხვევებს, განსაკუთრებით იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომლებსაც მეტყველე-

ბისა და კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანი სირთულეები ექმნებათ; ასეთ შემთხვევაში, მშობელთან შეთანხმებით, მასწავლებელმა და სკოლის დამხმარე სპეციალისტმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება და მოსწავლის რესურსები მხოლოდ მშობლიურ ენაზე კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ მიმართონ. ხდება ისეც, რომ მშობელი ითხოვს სპორტის გაკვეთილის ჩანაცვლებას ინდივიდუალური მუშაობით, რაც ზოგჯერ, მაგ., კომპლექსური მოტორული პრობლემების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, შეიძლება მიზანშეწონილიც კი იყოს; თუმცა დაუშვებელია მსგავსი გადაწყვეტილების მექანიკურად, მხოლოდ პრობლემების დადგენის საფუძველზე მიღება; თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ განხილვას მოითხოვს: პედაგოგებმა და დამხმარე მასწავლებლებმა მშობელთან ერთად უნდა განიხილონ მოსწავლის საერთო აქტივობებში ჩართვის ყველა შესაძლებლობა; თუ მოტორული პრობლემების გამო მოსწავლეს მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს მობილობაში, სპორტის გაკვეთილზე შეიძლება ისეთი აქტივობები დაიგეგმოს, რომლებიც მიმართული იქნება სხვადასხვა უნარების განვითარებაზე. მაგ., მოსწავლე, რომელიც გადაადგილდება ეტლით, შეიძლება ვერ ჩაებას ფეხბურთის თამაშში, მაგრამ მასწავლებელმა თვლის აქტივობებში ჩართოს (დათვალოს ბავშვების, ჯარიმების, გატანილი გოლების რაოდენობა და ა. შ.).

ამგვარად, სასწავლო გეგმის რაოდენობრივი ცვლილება/შემცირება შესაძლოა ეხებოდეს როგორც ცალკეულ შედეგებსა და ინდიკატორებს, ისე მთლიანად საგანს, თუმცა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარეობდეს მოსწავლის საჭიროებიდან.

3.4. სასწავლო მიზნების თვისებრივი ცვლილება

არსებობს სასწავლო მიზნების თვისებრივი ცვლილების ორი გზა: სასწავლო მიზნების გამარტივება ან მათი წინა/სხვა საფეხურიდან შერჩევა. ცხადია, შესაძლებელია მათი გართულება ან მომდევნო საფეხურიდან შერჩევა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემულ სახელმძღვანელოში მხოლოდ გამარტივების შემთხვევებს განვიხილავთ.

3.4.1. მიზნის (შედეგის) გამარტივება საფეხურის ფარგლებში

მიზნის საფეხურის ფარგლებში გამარტივება გულისხმობს შედეგების განსხვავებული უნარით წარმოჩენას, შედეგში ასახული შინაარსის ცოდნის განსხვავებული სიღრმით/დონით დემონსტრირებას (იხ. ბლუმის ტაქსონომია). შესაძლებელია შინაარსის მოცულობის შემცირებაც. მაგალითისთვის განვიხილოთ ბუნებისმეტყველების საგნობრივი პროგრამის ერთ-ერთი შედეგი.

ბუნ. IV.7. მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმაზე მსჯელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს დედამიწის სხვადასხვა გამოსახულებას, კოსმოსიდან გადაღებულ სურათებს და საუბრობს დედამიწის ფორმაზე;
- ადარებს სხვადასხვა ხალხის ადრინდელ წარმოდგენებს დედამიწის ფორმის შესახებ;
- აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას მოგზაურებზე, მსჯელობს ამ მოგზაურების წვლილზე დედამიწის ფორმის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში;
- დაიტანს კონტურულ რუკაზე გამოჩენილი მოგზაურების მარშრუტებს.

აღნიშნული შედეგი მოსწავლისგან მსჯელობას მოითხოვს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ მოსწავლე შეძლებს შედეგით გათვალისწინებული ცოდნის ათვისებას, მაგრამ გაუჭირდება მსჯელობა, შეიძლება გაამარტივოს მიზანი და დამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს, თუ მოსწავლე მხოლოდ აღწერს დედამიწის ფორმას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში შეიცვლება ყველა ან რამდენიმე ინდიკატორი.

მიზანი: მოსწავლე აღწერს დედამიწის ფორმას.

ინდიკატორები:

- იყენებს დედამიწის სხვადასხვა გამოსახულებას, კოსმოსიდან გადაღებულ სურათებს და ასახელებს მის ფორმას;
- მოკლედ აღწერს ერთ-ერთ ძველ წარმოდგენას დედამიწის ფორმის შესახებ;
- აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას რომელიმე მოგზაურზე, უპასუხებს კითხვებს მის წვლილზე დედამიწის ფორმის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში;
- დაიტანს კონტურულ რუკაზე ერთი გამოჩენილი მოგზაურის მარშრუტს.

ბუნებისმეტყველების აღნიშნული შედეგის გამარტივებულ ვარიანტში შეცვლილია ყველა ინდიკატორი: პირველ ინდიკატორში შეცვლილია მხოლოდ ცოდნის დემონსტრირების ფორმა, მეორე და მესამე ინდიკატორებში შეცვლილია როგორც ფორმა, ისე შინაარსი, ხოლო მეოთხე ინდიკატორში – მხოლოდ შინაარსი [შინაარსობრივი ცვლილებები ცხრილში გამოყოფილია ქვედა ხაზით, ხოლო ცოდნის დემონსტრირების ფორმის ცვლილებები გამოყოფილია მუქი ფონტით].

3.4.2 მიზნის შერჩევა წინა საფეხურიდან

იმ შემთხვევაში, როცა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი უნარების განვითარება და კონკრეტულ საგანში დაგროვილი ცოდნა არ იძლევა მიზნის იმავე საფეხურიდან შერჩევის შესაძლებლობას, მიზანშეწონილია მისთვის მიზნების წინა საფეხურიდან განსაზღვრა. შესაბამისად, მოსწავლე სწავლის პროცესში ორიენტირებული იქნება არა ასაკისა და კლასის შესაბამის შედეგებზე, არამედ ქვედა კლასის/კლასების შედეგებზე.


სასწავლო შედეგის/შედეგების ჩანაცვლებისას მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, ზუსტად განსაზღვროს მოსწავლის მიღწევის არსებული დონე და საგნობრივი პროგრამიდან შეარჩიოს მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისი შედეგი/შედეგები. ეს არ გამოირიცხავს, რომ მასწავლებელმა აღნიშნულ შედეგზე მუშაობა მოსწავლესთან გარკვეული დროის შემდეგ წამოიწყოს, მაშინ, როცა მოსწავლე ამისათვის მზად იქნება, თუნდაც მისი თანაკლასელები უკვე სხვა მიზნებზე იყვნენ ორიენტირებული.

მაგალითისთვის განვიხილოთ III კლასის მოსწავლის შემთხვევა:

ელენე, 8 წლის, III კლასის მოსწავლე

ელენე მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდება სწავლის პროცესში და უჭირს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული III კლასის მასალის დაძლევა მათემატიკაში. სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების მიუხედავად, ელენემ ვერ შეძლო აეთვისებინა გამრავლებისა და გაყოფის ოპერაციები (მათ. III.3). ელენეს განვითარების აქტუალური დონის შეფასების შედეგად მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ მოზარდს სრულყოფილად მეორე კლასის შედეგებიც კი არ აქვს მიღწეული, უჭირს განახევრება-გაორმაგების მოქმედებების შესრულება და მათი დაკავშირება შეკრება-გამოკლებასთან (მათ. II.3.).

ცხადია, გამრავლება-გაყოფის ოპერაციების ათვისებაზე (მათ. III.3) მუშაობა იქამდე არ მოიგანს შედეგს, ვიდრე წინა უნარები არ განმტკიცდება. იმისთვის, რომ ელენემ აღნიშნული ოპერაციების წვდომა და განხორციელება შეძლოს, მას, პირველ ყოვლისა, უნდა ჰქონდეს შეკრება-გამოკლების ოპერაციების შესრულების (მათ. I.3) და რაოდენობის განახევრება-გაორმაგების უნარი (მათ. II.3). იხ. სქემა:



ამიტომ მასწავლებელმა გადანყვიტა, აღარ იმუშაოს ელენესთან გაყოფისა და გამრავლების ოპერაციებზე, ვიდრე მეორე კლასის სასწავლო მიზნები არ განმტკიცდება.

არ არის გამორიცხული, მოსწავლე გარკვეულ შედეგებს თავისი კლასის შესაძლების საგნობრივი პროგრამიდან ეუფლებოდეს, ნაწილს კი – სხვა კლასის პროგრამიდან.

მასწავლებელმა შეიძლება მიზნად დაისახოს არა წინა საფეხურის მიზანი, არამედ ისეთი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც კონკრეტული მიზნის მისაღწევად არის საჭირო, მაგრამ არ არის მოცემული კონკრეტული მიმართულების შედეგებში. მაგალითისთვის ისევ მათემატიკის III.3-ის შედეგს განვიხილავთ: შესაძლოა, ელენეს შემთხვევაში სწავლის პროცესში შექმნილი სირთულეები განპირობებული იყოს არა განახევრება-გაორმაგების პრობლემით, არამედ მათი სიმბოლოების დამახსოვრებით. ასეთ შემთხვევაში მასწავლებლის მიზანი (მოკლევადიანი) უნდა იყოს, ასწავლოს ელენეს გამრავლებისა და გაყოფის სიმბოლოები და მათი დაკავშირება შესაბამის ოპერაციებთან.

შედეგების და ინდიკატორების სპირალისებური სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს სსსმ მოსწავლისთვის და კლასისთვის დასახოს/შეარჩიოს ერთი შედეგი (გრძელვადიანი მიზანი) განსხვავებული ინდიკატორებით. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის II. 7, III. 3 და IV. 4 შედეგები და შესაბამისი ინდიკატორები ორიენტირებულია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე; შედეგები ცოდნის კონსტრუირების (სპირალისებური) პრინციპით არის დალაგებული; საწყის ეტაპზე მოსწავლის ცოდნა გრამატიკაში ამოიწურება წინადადებისა და სიტყვების დანიშნულების იდენტიფიკაციით (საგნის აღმნიშვნელი, მოქმედების აღმნიშვნელი), მესამე კლასში მას უკვე მოეთხოვება კავშირების, ნაცვალსახელების, სიტყვათა გააზრებული გამოყენება და ა. შ. ცხადია, ეს ისეთი უნარ-ჩვევაა, რომელიც ვერ იქნება დაკავშირებული კონკრეტულ ტექსტთან, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მეოთხეკლასელ ბავშვთან მიზნად მეორე კლასის შედეგის მიღწევა დაისახოს.

მეოთხე კლასში, ერთსა და იმავე ტექსტზე მუშაობისას, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს შეუძლია, მიზნად დაისახოს ერთ მოსწავლესთან მეორე კლასის სტანდარტის მიხედვით სახელებისა და მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ამოცნობაზე (ქართ. II.7. შედეგის მე-3 ინდიკატორი) მუშაობა, მეორე მოსწავლესთან – სხვადასხვა ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურების (კავშირების, ნაცვალსახელების, ზმნისა და პირის) შეთანხმებულ გამოყენებაზე (ქართ. III.3.); ეს იმ დროს, როცა მთლიანი კლასი V.4. შედეგის მისაღწევად სპეციფიკურ ლექსიკაზე, სემანტიკური კავშირების გამოყენებაზე და ა. შ. მუშაობს (იხ. ქართ. V. 4. ინდიკატორები).

ქართ. II.7. მოსწავლეს შეუძლია მარტივი ტექსტის არსებითი ენობრივ-გრამატიკული ნიშნების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას;
- განარჩევს და ასახელებს პერსონაჟის/ობიექტის დამახასიათებელ სიტყვებს შინაარსობრივი თვალსაზრისით (საგნის, პიროვნების აღმნიშვნელ სიტყვებს, მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელ ლექსიკას...);
- ადარებს და კითხვის დასმის საშუალებით აჯგუფებს სიტყვებს (სახელებსა და მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებს; ვინ და რა ჯგუფის სიტყვებს).

ქართ. III. 3. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სასაუბრო თემებისთვის (მაგ., „წელიწადის დროები“, „ცხოველები“, „ქალაქი“, „სოფელი“ და ა. შ.) იყენებს შესაბამის ლექსიკას;
- სიტყვათა შესაკავშირებლად გააზრებულად იყენებს კავშირებსა და სიტყვა-კავშირებს (ან, თუ, ვინც, რაც, როგორც, როცა/როდესაც...);
- სწორად იყენებს პირის, ჩვენებით, კითხვით და უარყოფით ნაცვალსახელებს;
- სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს სიტყვებს: ყველა, ზოგი (ზოგიერთი), არც ერთი და სხვ.;
- მართებულად სვამს კითხვებს (ვინ...? რა...? როგორი...? რომელი...? რამდენი...?) და კითხვით წინადადებაში – მახვილს კითხვით სიტყვებზე;
- სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში;
- განარჩევს და სწორად იყენებს ჩვეულებრივ და თავაზიანობის გამომხატველ ზმნურ ფორმებს („მოდი – მობრძანდით“; „აიღე – ინებეთ“, „დაჯექი – დაბრძანდით“ და სხვ.).

ქართ. IV. 4. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ყოფითი სიტუაციების აღწერისას მეტყველებაში სათანადოდ რთავს სპეციფიკურ ლექსიკას;
- მასწავლებლის მიერ მითითებული ნიმუშების მიხედვით შემოქმედებითად იყენებს სიტყვათა სემანტიკურ კავშირებს (სინონიმს, ანტონიმს...);

- სათანადო კონტექსტებში სწორად ჩაანაცვლებს სახელებს (არსებითს, ზედსართავს, რიცხვითს) ნაცვალსახელებით (ეს, ის, ასეთი, ამდენი...) და მარტივი ზმნიზედებით (აქ, იქ, მაშინ, ამიტომ...);
- კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის გრამატიკული დროის ფორმებს (მაგ., შარშან დავისვენეთ – გაისად დავისვენებთ და ა. შ.);
- მეტყველებისას იცავს ბრუნვისა და პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლმეტყველების წესებს (მაგ., ვვარჯიშობ, ვუთხარი, თბილისს, ქათამმა, კარგად ვარ და ა. შ.);
- სწორად უთანხმებს ზმნას არსებით სახელებსა და ნაცვალსახელებს პირსა და რიცხვში;
- სწორად ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგის თვისებრივი შეცვლა – როგორც გამარტივება, ისე წინა საფეხურიდან შერჩევა – მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვროს მისაღწევი მიზანი; მას შეუძლია დააკონკრეტოს, გაამარტივოს და ახალი ინდიკატორები ჩამოაყალიბოს. ნებისმიერი ტიპის ცვლილების შემთხვევაში, ინდიკატორების შერჩევისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ლოგიკური კავშირი ინდიკატორსა და შედეგს შორის, ყურადღება მიაქციოს, რომ **ინდიკატორმა შედეგის განმსაზღვრელი ფუნქცია შეასრულოს.**

მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პრაქტიკაში იშვიათია ადაპტაციის მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენება; როგორც წესი, სსსმ მოსწავლეთა უმრავლესობა საჭიროებს სასწავლო გეგმის როგორც აკომოდაციას, ისე მოდიფიკაციას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ალტერნატიული მიზნების შემუშავებას.

3.5. სასწავლო გეგმაში ალტერნატიული მიზნების შეტანა

ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წარმატებისთვის, გარდა სხვა საფეხურის მიზნის შერჩევისა ან შესაბამისი საფეხურის მიზნის მოდიფიკაციისა (გამარტივება/გართულება), საჭირო ხდება სხვა ალტერნატიული მიზნების შემუშავება. ალტერნატიული მიზნების საჭიროება ჩნდება მაშინ, როდესაც მოსწავლეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მინიმალური ბარიერის გადალახვა კი არ შეუძლია. ალტერნატიული მიზანი არ არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმით. მისი შერჩევა ხდება ინდივიდუალურად და სპეციფიკურია კონკრეტული სსსმ მოსწავლისთვის.

ალტერნატიული მიზნების შემუშავება განსაკუთრებით აქტუალურია მრავალმხრივი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის. მათ შემთხვევაში, მძიმე ინტელექტუალური დარღვევის გამო, ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. ასეთ ვითარებაში შეიძლება მოსწავლეებისთვის, მათი დამოუკიდებლობისთვის, ბევრად უფრო მიზანშეწონილი იყოს ყოველდღიური სასიცოცხლო ფუნქციური უნარ-ჩვევების გამომუშავება, თუნდაც თვითმომსახურების უნარ-ჩვევებისა. ამ სფეროში ერთ-ერთი ალტერნატიული მიზანი ასეთი იქნება: **„მოსწავლეს საპირფარეოს გამოყენების შემდეგ დამოუკიდებლად შეუძლია ხელების საპირფარეოს დაბანა და გამშრალება“**. იმ საგნებში, რომლებსაც მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლე სწავლობს, შეიძლება აქცენტი გაკეთდეს არა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, არამედ ისევ და ისევ მოსწავლის ყოველდღიურ სასიცოცხლო უნარებზე, მაგ., საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ერთ-ერთ მიზნად შეიძლება განისაზღვროს: **„მოსწავლეს შეუძლია ტანსაცმლის შერჩევა ამინდისა და სეზონის ცვლილების ან ადგილის შესაბამისად“**.

ისეთი მიზნების განსაზღვრა, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ არის მოცემული, საჭიროა სენსორული დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვისაც; მაგ., მხედველობის დარღვევის მქონე მოზარდებისთვის აუცილებელია, სკოლაში წარმართოს მუშაობა მოსწავლის სივრცეში ორიენტაციასა და მობილობაზე. იგივე შეიძლება ითქვას იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც კომუნიკაციის პროცესში ექმნებათ სირთულეები: მათთვის საჭირო ხდება კომუნიკაციის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება და, შესაბამისად, ალტერნატიული მიზნების დადგენა – მაგ., **„მოსწავლეს შეუძლია საკომუნიკაციო წიგნის გამოყენება და საკუთარი სურვილებისა და საჭიროებების გამოსატყობა“**.

3.6. მიზნების ფორმულირება

პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიზანი, როგორც უნდა იყოს ის და ვისთვისაც უნდა იყოს დასახული, ემსახურება გარკვეული ცოდნის შექმნას, უნარის და ქცევის ჩამოყალიბებას და/ან დამოკიდებულების გამომუშავებას. შესაბამისად, მიზანი ფორმულირებული უნდა იყოს მოსწავლის **შედეგებში** და ნათლად, მკაფიოდ აღწერდეს იმ ცოდნას, უნარს, ქცევას თუ დამოკიდებულებას, რომელსაც იძენს მოსწავლე კონკრეტული მიზნის მიღწევისას. იმისთვის, რომ მიზანში ნათლად აისახოს მოსალოდნელი შედეგი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მიზნის ფორმულირებას.

სასურველია, მიზანი ფორმულირებული იყოს პოზიტიური ტერმინებით და აწყდეს დროში: მაგ., „მოსწავლე აღწერს ადამიანს თვალსაჩინო გარეგ-

ნული ნიშნების მიხედვით, აჯგუფებს ორგანიზმებს მცენარეებად და ცხოველებად (ესგ. ბუნ. I.2)“.

ის ხუთი ძირითადი მახასიათებელი, რომლებიც უნდა ჰქონდეს ყველა მიზანს, აღინიშნება ინგლისური აბრევიატურით – SMART (Specific, Measurable, Achievable, Relevant, and Timebound) და ნიშნავს: **სპეციფიკური, გაზომვადი, რეალისტური ანუ მიღწევადი, რელევანტური და დროში განერილი**.

სწორად ფორმულირებული მიზნის მახასიათებლები:

- **სპეციფიკური** – ჩამოყალიბებულია ნათლად, მარტივი ენით, თვალსაჩინოდ არის აღწერილი მოსწავლის მოსალოდნელი ქცევა, მისი შესრულების კრიტერიუმები და, საჭიროების შემთხვევაში, პირობები;
- **გაზომვადი** – იძლევა მოსწავლის მიღწევების ზუსტად შეფასებისა და მონიტორინგის საშუალებას;
- **მიღწევადი** – რეალისტურია, მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- **რელევანტური** – შეესაბამება მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს;
- **დროში განერილი** – მათი მიღწევა შესაძლებელია დროის კონკრეტულ მონაკვეთში.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მიზანი უნდა იყოს სპეციფიკური – სპეციფიკურია მიზანი, რომელიც ნათლად აღწერს, რა შედეგს მიაღწევს, ანუ რა კონკრეტულ ცოდნას, უნარს, დამოკიდებულებას თუ ქცევას შეიძენს და რის გაკეთებას შეძლებს მოსწავლე. სპეციფიკური მიზანი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: **„სალომე ჯგუფური აქტივობის დროს იცავს რიგს, სვამს კითხვებს, გამოთქვამს თავის მოსაზრებებს“**. რაც შეეხება მიზანს – **„სალომე გააუმჯობესებს სოციალურ უნარებს“** – ის არასპეციფიკური და ბუნდოვანია, რადგან ნათლად არ ჩანს, რას უნდა მოველოდეთ სალომესგან მიზნის მიღწევის შემდეგ.

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი:

| ბუნდოვანი მიზანი | სპეციფიკური მიზანი |
|---|---|
| „ბაჩანას შეუძლია უფროსებთან და თანატოლებთან ვერბალური კომუნიკაცია“. | „ბაჩანა უფროსებთან და თანატოლებთან საუბრისას გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს, სურვილებს და საჭიროებებს“. |

| | ბუნდოვნი | სპეციფიკური |
|---------------|---|---|
| მიღწევის დონე | პაპუნა სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა სკოლის პროგრამას. | პაპუნა თავისი საშინაო დავალებების მხოლოდ მესამედს ასრულებს რეგულარულად. ის ინყებს დავალების შესრულებას, მაგრამ, ორგანიზაციული უნარის სირთულის გამო, არ შეუძლია დავალების ბოლომდე მიყვანა. |
| მიზანი | პაპუნას დამოკიდებულება სკოლის მიმართ გაუმჯობესდა. | პაპუნა რეგულარულად და დროულად ასრულებს ყველა საშინაო დავალებას. |
| მიღწევის დონე | ლიკას ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტი აქვს. | დამოუკიდებელი საკლასო სამუშაოს შესრულების დროს ლიკა ხელს უშლის სხვა მოსწავლეებს მუშაობაში (საათში დაახლოებით 5-ჯერ). ეს მაშინ ხდება, როდესაც მას მასწავლებლის დახმარება სჭირდება. |
| მიზანი | გაიზარდა ლიკას ყურადღების კონცენტრაციის დონე საკლასო დავალებებზე. | დამოუკიდებელი საკლასო მუშაობის დროს ლიკა მასწავლებლისგან ითხოვს დახმარებას ყოველთვის, როდესაც მას ეს სჭირდება. |

პირველ სვეტში მოყვანილი მიზნები ზოგადია და არ გვაძლევს საშუალებას, ნათლად დავინახოთ, კონკრეტულად რა ქცევას უნდა მოველოდეთ მოსწავლისგან, რა შეუძლია მას. მეორე სვეტში მოყვანილი მიზნები კი გასაგებად აღწერს, რას უნდა ველოდეთ მოზარდისგან, მაგ.: სხვებთან ურთიერ-

თობისას მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს თავისი მოსაზრებები, გადმოსცეს სურვილები და საჭიროებები და სხვა. სპეციფიკური მიზნების ფორმულირება ხდება იმ მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების გამოყენებით, რომლებიც ახდენენ ცოდნის, უნარ-ჩვევის ან დამოკიდებულების დემონსტრირებას. (იხ. ცხრილი.)

| ტერმინები, რომლებიც გამოყენებული უნდა იყოს სპეციფიკური მიზნის შემუშავებისას | | |
|---|--|--|
| ცოდნა | უნარ-ჩვევა | დამოკიდებულება |
| <ul style="list-style-type: none"> - ასახელებს - აღწერს - წერს - ჩამოწერს - ჩამოთვლის - ხსნის - იმეორებს - ამოიცნობს - ირჩევს - გადმოსცემს - ადარებს - მიუთითებს - აჯგუფებს - აკავშირებს და ა. შ. | <ul style="list-style-type: none"> - ასრულებს - ახდენს დემონსტრირებას - ამზადებს - აწყობს - ზომავს - იყენებს სახაზავს - წარმოადგენს | <ul style="list-style-type: none"> - გამოხატავს ინტერესს - გამოხატავს დამოკიდებულებას - სვამს კითხვას |

ზოგჯერ სასწავლო მიზანი იმგვარად არის ფორმულირებული, რომ აღწერს შედეგს და, ამავდროულად, რაოდენობრივად ასახავს მიღწევის ხარისხს, მაგ.: „თეონა ჯგუფურ აქტივობაში მინიმუმ ორჯერ იცავს რიგს“; ან: „პაპუნა გაკვეთილზე იგებს და ასრულებს 2 და 3-საფეხურიან ინსტრუქციებს 5-დან 3 შემთხვევაში“.

მოსწავლისთვის, რომელსაც უფრო კომპლექსური საჭიროებები აქვს, მიზანი შეიძლება კიდევ უფრო სპეციფიკური იყოს და აღწერდეს არა მხოლოდ ცოდნას, უნარს ან ქცევას, არამედ პირობებს და პროგრესის მაჩვენებელს, მაგ.: „ბექა საუზმის დროს უფროსის ვერბალური მინიშნებითა (პირობა) და საკომუნიკაციო წიგნის ფოტოების გამოყენებით (პირობა), 4 ცდიდან 3 შემთხვევაში (პროგრესის მაჩვენებელი) მიუთითებს, რისი მირთმევა სურს“.

მნიშვნელოვანია:
როდესაც ვსაუბრობთ მიზნის სპეციფიკურობაზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის რისკი, რომელიც მიზნის ამ მახასიათებელს უკავშირდება, კერძოდ, სპეციფიკურად ფორმულირებულმა მიზანმა არ უნდა შეზღუდოს უფროსების ხედვა მოსწავლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

მაგალითად, როდესაც მოსწავლეს საუბრის დროს საკომუნიკაციო ნიგნის გამოყენებით სასურველი კერძის არჩევას ვასწავლით, ამით ვმუშაობთ მისი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და უნარზე, თავად გააკეთოს არჩევანი. შესაბამისად, პედაგოგი იქნება ეს, ფსიქოლოგი თუ მშობელი, არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საკვების არჩევით: მან უნდა დაისახოს სხვა მიზნებიც, რომლებიც მოსწავლეს სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა სიტუაციაში ასწავლის არჩევანის გაკეთებას. ზემოთ აღწერილი მიზნის მიღწევის შემდეგ, ან მის პარალელურად, საჭიროა იმავე მიზანზე გაგრძელდეს მუშაობა არამხოლოდ სამზარეულოში, არამედ კაფეში, სკოლის სასადილოში, რესტორანში, სტუმრად ყოფნისას და ა. შ. შეიძლება იმავე საკომუნიკაციო ნიგნის გამოყენებით ვასწავლოთ მოსწავლეს, აირჩიოს, რისი ჩაცმა, ყიდვა, სწავლა სურს და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა შექმნილი ცოდნის და უნარ-ჩვევების გადატანა (გენერალიზება) სხვადასხვა სიტუაციაში და გარემოში.

არის შემთხვევა, როდესაც მასწავლებელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმიდან შერჩეული მიზნის/შედეგის გამარტივება ან დაკონკრეტება უხდება.

შედეგების დაკონკრეტებისას მასწავლებლები რამდენიმე გზას მიმართავენ:

- შედეგი კონკრეტდება მოსწავლის დამოუკიდებლობის დონის მიხედვით;
- შედეგში აისახება ინდიკატორები.

ინდიკატორის საშუალებით შედეგის დაკონკრეტების შემდეგ მასწავლებელს ექმნება უფრო ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. შესაბამისად, მან შეიძლება შედეგი შემდეგნაირად განსაზღვროს:

| მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო | |
|---|---|
| ბუნ. II.4. მოსწავლეს შეუძლია სეზონური მოვლენების დახასიათება. | ბუნ. II.4. მოსწავლეს შეუძლია სეზონების და თვეების თანამიმდევრულად ჩამოთვლა, ნელინადის დროებს შორის განმასხვავებელი ნიშნების მითითება, სეზონების მიხედვით ადამიანის საქმიანობისა და ცხოველების ქცევის შესახებ მაგალითების მოყვანა, წლის მნიშვნელოვანი დღესასწაულების სეზონებთან დაკავშირება. |

| | |
|---|---|
| <p>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამიმდევრობით ჩამოთვლის სეზონებსა და თვეებს; • ერთმანეთს ადარებს სეზონებს, საუბრობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, აკეთებს კოლაჟებს, ჩანახატებს და სხვა; • აღწერს იმ ცვლილებებს, რომლებსაც განიცდიან მცენარეები და ცხოველები სეზონების მიხედვით (მაგ., ფოთოლცვენა, ყვავილობა, ბენვის ფერის ცვლა); • ჩამოთვლის მაგალითებს სეზონების მიხედვით ადამიანის საქმიანობისა და ცხოველების ქცევის შესახებ (მაგ., ხვნა, თესვა, ფრინველების გადაფრენა); • ახარისხებს ტანსაცმელს სეზონების მიხედვით; • ჩამოთვლის მისთვის მნიშვნელოვან დღესასწაულებს და აკავშირებს სეზონებთან. | <p>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> • თანამიმდევრობით ჩამოთვლის სეზონებსა და თვეებს; • ერთმანეთს ადარებს სეზონებს, საუბრობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე; • აღწერს იმ ცვლილებებს, რომლებსაც განიცდიან მცენარეები და ცხოველები სეზონების მიხედვით, სურათების დახმარებით (მაგ., ფოთოლცვენა, ყვავილობა, ბენვის ფერის ცვლა); • ჩამოთვლის მაგალითებს სეზონების მიხედვით ადამიანის საქმიანობისა და ცხოველების ქცევის შესახებ (მაგ., ხვნა, თესვა, ფრინველების გადაფრენა); • ჩამოთვლის მისთვის მნიშვნელოვან ზოგიერთ დღესასწაულს, აღწერს მათ და აკავშირებს სეზონებთან. <p>(აღნიშნულ ინდიკატორებში მოცემულია დაზუსტებები კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით).</p> |
|---|---|

უდავოა, რომ პირველ სვეტთან შედარებით, მეორე სვეტში წარმოდგენილი შედეგი უფრო კონკრეტულია. ინდიკატორებით დაზუსტებული შედეგი, რომელშიც განსაზღვრულია, კონკრეტულად რა მიზანს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ, მასწავლებლისთვის მეტად მკაფიო ორიენტირია. ასეთი მიდგომა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო გეგმის შემუშავებისას, ხშირად ამართლებს.

თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ზოგადად ფორმულირებული შედეგი (როგორც ეს პირველ სვეტშია მოცემული) მასწავლებლისთვის მრავალმხრივი ორიენტირია – ის არ ზღუდავს პედაგოგს და არ აქცევს კონკრეტული აქტივობების ჩარჩოში. ამ ტიპის შედეგზე ორიენტირებული პედაგოგი არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული მიზნით, რაც მოსწავლეს მრავალმხრივი განვითარების საშუალებას აძლევს. შედეგი უფრო მეტია, ვიდრე ინდიკატორი, ან თუნდაც ერთად აღებული ყველა

ინდიკატორი, ამიტომაც შედეგისა და ინდიკატორის გაიგივება არ არის გამართლებული. ინდიკატორი მხოლოდ შედეგების შესამოწმებელი საშუალებაა. ერთი შედეგი შეიძლება ბევრი ინდიკატორით გადამოწმდეს, ეროვნული სასწავლო გეგმა კი მხოლოდ ზოგიერთ მათგანს გვთავაზობს.

როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისას სპეციფიკურად ფორმულირებულ სასწავლო შედეგებს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაბალანსებული მიდგომა. სასურველია, მასწავლებელი უფრო მეტ შედეგზე იყოს ორიენტირებული, ვიდრე ერთი კონკრეტული ინდიკატორის შესაბამისი ქცევის გამოვლენა.

მიზანი უნდა იყოს გაზომვადი – მიზანი ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ ნებისმიერ ადამიანს შეეძლოს შეფასება (დანახვა, მოსმენა, დათვლა...), რამდენად არის მიღწეული შედეგი და მიღწეულია თუ არა საერთოდ, ანუ მიზანი უნდა იყოს გაზომვადი.

მისი ეს მახასიათებელი პირდაპირ არის დაკავშირებული სპეციფიკურობასთან. ძალიან ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, გაზომო ბუნდოვანად ფორმულირებული მიზნები და პირიქით, მაგ.: მიზანი – „**გაიზარდა თორნიკეს დამოუკიდებლობის ხარისხი**“ – ბევრად უფრო ძნელი გასაზომია, ვიდრე – „**თორნიკე დამოუკიდებლად, სხვათა დახმარების გარეშე ასრულებს საშინაო და საკლასო დავალებებს**“. ამ შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი ნათელია და, შესაბამისად, შესაძლებელია იმის შეფასებაც, რამდენად მიაღწია მოსწავლემ შედეგს.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ზოგი მიზანი იმდენად სპეციფიკურია, რომ მასშივეა მოცემული რაოდენობრივი მახასიათებლები. ასეთი მიზნის გაზომვა კიდევ უფრო ადვილია. მაგ.: „**ა/წ მაისის ბოლოსთვის, დღეში ხუთჯერ, 10 წუთის განმავლობაში, ლუკა შეძლებს საერთო სათამაშოებით თამაშს, სულ ცოტა, 2 ბავშვთან**“;

„**მოსწავლეს შეუძლია სურათზე გამოსახული მარტივი სცენების (მდინარეზე, პარკში და ა. შ.) დასათაურება და ჩანერა, საკუთარი გამოცდილების სამი ორსიტყვიანი წინადადებით გადმოცემა (ჩანერა), გმირის თვისებების ჩამოწერა**“. (ქართ. II.11)

მიზანი უნდა იყოს რეალისტური ანუ მიღწევადი – მიუხედავად იმისა, რომ მშობელს ან მასწავლებელს სურვილი აქვს, რაც შეიძლება მეტი რამ ასწავლოს ბავშვს, მიზნის შერჩევა ბრმად არ ხდება. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლისთვის შეირჩეს ისეთი მიზნები, რომელთა მიღწევა შესაძლებელი იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ დროში. თუ ამ დროის მანძილზე არ მოხერხდა მიზნის მიღწევა, მაშინ ინდივიდუალური სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა უნდა იმსჯელოს, მიზანი იყო არა-

რეალური თუ წარუმატებლობა სხვა გარეშე ფაქტორებმა გამოიწვია (მაგ.: შეუსაბამო სტრატეგიები და სხვ.).

მიზანი რეალისტური და მიღწევადი იქნება მაშინ, თუ ის ეფუძნება მოსწავლის შესაძლებლობების ხანგრძლივ და სიღრმისეულ შეფასებას, კერძოდ, დეტალურ ინფორმაციას მოცემულ სფეროში (რომლისთვისაც მიზანი ფორმულირდება) მოსწავლის განვითარების აქტუალური დონისა და საჭიროების შესახებ. შესაბამისად, მიზნის ფორმულირებისას ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს:

1. ფლობს თუ არა მოსწავლე იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებზეც შეიძლება „დაშენდეს“ სხვა, ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევა?
2. რა სირთულე ხვდება მოსწავლეს და რა უშლის ხელს დასახული შედეგის მიღწევაში?
3. რას ვერ შეძლებს მოსწავლე მოცემულ ეტაპზე (ან საერთოდ) და, შესაბამისად, რისი გაკეთება არ უნდა მოვთხოვოთ მას?

განვიხილოთ მაგალითები:

მაგალითი 1. გიორგი IV კლასის მოსწავლეა, მას ექმნება სირთულეები კითხვაში, კერძოდ: ის ცნობს ასოების უმეტესობას და დამოუკიდებლად კითხულობს ცალკეულ მარტივ და ნაცნობ სიტყვებს, თუმცა მოცულობითი ტექსტისა და უცხო სიტყვების კითხვის დროს დეკოდირება უჭირს. ამ სირთულის გამო მისთვის კითხვის პროცესი საკმაოდ გართულებული და შენელებულია. გიორგის არ შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს მეოთხე კლასისთვის განკუთვნილი ტექსტი. თანაკლასელებისგან განსხვავებით, მას ამისთვის ორჯერ მეტი დრო სჭირდება. სამაგიეროდ გიორგის კარგად აქვს განვითარებული სმენითი აღქმა, ადვილად იგებს და იმახსოვრებს სხვის წაკითხულს; შეუძლია გააკეთოს ჩანიშვნები და გამოიტანოს დასკვნები მოსმენილი ტექსტიდან, რომელიც IV კლასის დონეს შეესაბამება.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია მიზანი, რომელიც შემუშავდა გიორგის განვითარების აქტუალური დონისა და სირთულეების გათვალისწინებით:

| მიღწევის აქტუალური დონე | სირთულე | მიზანი |
|---|---|--|
| ცნობს ასოებს; კითხულობს მარტივ და ნაცნობ სიტყვებს; შეუძლია მოსმენილი ტექსტიდან ჩანიშვნების გაკეთება და დასკვნების გამოტანა. | დეკოდირება მოცულობითი ტექსტებისა და უცხო სიტყვების კითხვისას. | გიორგის შეუძლია ხმამაღლა წაიკითხოს 5-7 მარტივი წინადადებისგან შემდგარი ტექსტი, რომელშიც 3 უცხო სიტყვაა, შეუძლია ჩანიშვნების გაკეთება და დასკვნების გამოტანა. |

ცხრილში ჩანს, რომ გიორგისთვის განსაზღვრული მიზანი ეფუძნება იმ უნარებს, რომლებსაც ავლენს მოსწავლე კითხვისას და ითვალისწინებს მის სირთულეებს. ის ფაქტი, რომ გიორგის უჭირს მოცულობითი ტექსტების და უცხო სიტყვების წაკითხვა, ჯგუფისთვის ერთგვარი ორიენტირია: ნათელი ხდება, რომ მუშაობა ამ სირთულის დაძლევისკენ უნდა იყოს მიმართული, მაგრამ არ შეიძლება მიზნად უცხო სიტყვების შემცველი ვრცელი და რთული ტექსტების კითხვა დავსახოთ; ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს ისეთი მიზანი, რომლის მიღწევაში გიორგის დაეხმარება მისი განვითარების აქტუალური დონე, კერძოდ ის, რომ მოსწავლეს შეუძლია მარტივი და ნაცნობი სიტყვების კითხვა, მოსმენილი ტექსტიდან დასკვნების გამოტანა და ჩანიშვნების გაკეთება.

შესაბამისად, **მარტივი ტექსტის კითხვა, რომელშიც 3 უცხო სიტყვაა, ჩანიშვნებისა და დასკვნების გაკეთება** არის სწორედ ის მიზანი, რომელშიც გათვალისწინებულია გიორგის საჭიროება და განვითარების აქტუალური დონეც.

როდესაც მიზნის რეალისტურობაზე ვსაუბრობთ, ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: თავისთავად მიზანი შეიძლება იყოს მიღწევადი, მაგრამ ერთდროულად ბევრი მიზნის მიღწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დროში შეიძლება არარეალური იყოს. შესაბამისად, საჭირო ხდება მიზნების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება და მათი სხვადასხვა დროს მიღწევა.

მიზანი უნდა იყოს რელევანტური – მიზანი ზუსტად უნდა პასუხობდეს მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას. მაგ.: თუ მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრება და სწავლის პროცესში შექმნილი სირთულეები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში განპირობებულია კითხვის უნარის დარღვევით, მაშინ მთავარი ამოცანა ამ პრობლემაზე მუშაობა იქნება. შესაბამისად, მიზნები მუშავდება კითხვის უნარის გაუმჯობესებისთვის და ორიენტირებულია იმ სირთულეზე, რომელიც საფუძვლად უდევს კითხვის პრობლემას. თუ მოსწავლეს უჭირს რთული, 3- და 4-საფეხურიანი ზეპირი თუ წერილობითი ინსტრუქციების გაგება და შესრულება გაკვეთილზე, ბუნებრივია, ეს მას დიდ დაბრკოლებას შეუქმნის სწავლის პროცესში. ასეთ შემთხვევაში მოსწავლისთვის რელევანტური მიზანი იქნება რთული ზეპირი და წერილობითი ინსტრუქციების გაგება და შესრულება.

რელევანტური უნდა იყოს არა მხოლოდ წლიური მიზნები, არამედ მოკლევადიანი მიზნებიცა და მიზნის მიღწევის სტრატეგიებიც. შესაძლებელია თავისთავად გრძელვადიანი მიზანი იყოს რელევანტური, მაგრამ თუ მოკლევადიანი მიზნები, რომლებიც გრძელვადიანი მიზნისკენ მიმავალ საფეხურებს წარმოადგენენ და სტრატეგიები, რომლებსაც ირჩევს მასწავლებელი ამ მიზნების მისაღწევად, არ შეესაბამება გრძელვადიან მიზანს და, შესაბამისად, მოსწავლის საჭიროებას (არ არის რელევანტური), ცხადია, არ მოხდება რელევანტური მიზნის მიღწევა.

მიზნის ზემოთ განხილულ ორ მახასიათებელთან (მიღწევადობა და რელევანტურობა) დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი

საკითხის გათვალისწინება: ზოგჯერ მიზანი, რომელსაც ისე ჯგუფი ირჩევს მოსწავლისთვის, ნამდვილად შეესაბამება მის საჭიროებას, მაგრამ მოსწავლის რესურსიდან (ცოდნა, უნარი და ა. შ.) გამომდინარე, შეუძლებელი ხდება მისი მიღწევა. შესაბამისად, მიზანი, რომელიც სწორი სტრატეგიების და ძალისხმევის მიუხედავად არ იქნება მიღწევადი, ხდება არარელევანტური. მაგ., ყველასთვის ნათელია, რომ კითხვის უნარი არის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი ფუნქცია როგორც პიროვნების განათლების, ისე მისი დამოუკიდებლობისთვის. შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე ღირებული, რაც შეიძლება მასწავლებელმა ასწავლოს მოსწავლეს, კითხვაა. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები (მაგალითად, განვითარების მრავალმხრივი დარღვევა), როდესაც მოსწავლისთვის, კომპლექსური სირთულეების გამო, შეუძლებელი ხდება კითხვის უნარის დაუფლება; შეიძლება მოსწავლემ მოახერხოს ყველა ასოს ან ცალკეული სიტყვების ხატის დამახსოვრება და მისი დაკავშირება შინაარსთან, მაგრამ ვერასდროს შეძლოს ასოების მარცვლებად, მარცვლების სიტყვებად და სიტყვების წინადადებად გაერთიანება, წაკითხვა და წაკითხულის აზრის გაგება – მან პედაგოგთან ერთად შეიძლება წლები მოანდომოს ისეთ ფუნდამენტურ უნარზე მუშაობას, როგორც მარტივი ნაცნობი სიტყვების კითხვა და გაგება, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიოს. ამგვარ ვითარებაში მიზანი, ცხადია, მიუღწეველია და, შესაბამისად, ის მოსწავლის მომავლისთვის, მისი სწავლისთვის და დამოუკიდებლობისთვის არარელევანტურად მიიჩნევა. ბევრად გონივრული იქნება, თუ ჯგუფი შეარჩევს ისეთ მიზნებს, რომლებსაც მოსწავლე განსაზღვრულ დროში მიაღწევს და რომლებიც მას დაეხმარებინან დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაში. ასეთი შეიძლება იყოს ფუნქციური წერა-კითხვა, მაგ., ვასწავლოთ მოსწავლეს საკუთარი სახელის, გვარისა და მისამართის დაწერა, სხვადასხვა წარწერების და ნიშნების ამოცნობა, იქნება ეს წარწერა აფთიაქის, მაღაზიის, სკოლის სასადილოს, კლასის, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკის კარზე თუ საკლასო ოთახის კედელზე – ასეთია ცხრილი, საკლასო წესები და სხვ.; ისეთი ინფორმაციული თუ გამაფრთხილებელი წარწერების კითხვა, როგორიცაა: შესასვლელი, გასასვლელი, შესვლა აკრძალულია, ცეცხლსაშიშია და სხვ. მსგავსი ტიპის წარწერების და ნიშნების ამოცნობას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მოსწავლემ გარემოში დამოუკიდებლად შეძლოს ორიენტაცია, უფრო მეტიც – ხშირად ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანის უსაფრთხოებას უკავშირდება.

მიზანი უნდა იყოს დროში განერილი – მიზანზე მუშაობა არ გრძელდება უსასრულოდ: როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში დავინახეთ, ის ყოველთვის დროშია განერილი. ნიმუშად მოვიყვანთ ეროვნულ სასწავლო გეგმას: მისი ყოველი მიზანი განიხილება დროსთან კავშირში. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია წლიური მიზნები (მიზნები, რომლებსაც მოსწავლე აღწევს ყოველი კლასის ბოლოს) და საფეხურებრივი მიზნები (მიზნები, რომლებსაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაშიც მიზნის დადგენის პარალელურად განსაზღვრულია, რა დრო დასჭირდება მის მიღწევას. მაგალითად, გრძელვადიანი (წლიური) მიზნების მისაღწევად რეკომენდებულია ერთი სასწავლო წელი. თუმცა, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა შეიძლება ის განსაკუთრებული შემთხვევებიც განიხილოს, როდესაც მოსწავლეს მიზნის მისაღწევად ერთ წელზე მეტი ან ნაკლები დრო სჭირდება.

ცხადია, არა მხოლოდ წლიური მიზანი, არამედ მოკლევადიანი მიზნებიც დროსთან კავშირში განიხილება, თუმცა ამ შემთხვევაში ის, თუ რა დროში იქნება შესაძლებელი მიზნის მიღწევა, დამოკიდებულია თავად მიზნის სირთულეზე და მოსწავლის შესაძლებლობებზე.

მნიშვნელოვანია, მიზნის შერჩევისას, ისე როგორც ზოგადად ისგ-ის შედგენისას, გათვალისწინებული იყოს მოსწავლე, როგორც პიროვნება და არ მოხდეს მისი საჭიროებებისა თუ სწავლის პროცესში შექმნილი სიძნელეების სეგმენტირება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური გეგმა და ინდივიდუალური მიზნები განიხილებოდეს მომავლის პერსპექტივაში. ჯგუფს, რომელიც ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე მუშაობს, უნდა ახსოვდეს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას ყველაზე ღირებული მიზნების რიცხვში შედის მომავალიში ამ მოზარდების დამოუკიდებლობის დონე, პროდუქტიულობა და ცხოვრების მაღალი ხარისხი. ამის გარეშე მიზანიც და ინდივიდუალური გეგმაც მექანიკურია, რადგან არ ეფუძნება სამომავლო ხედვას.

3.7. რამდენი მიზანი შეიქმნა შეუშავდეს მოსწავლისთვის?

მიზნთა რიცხვი და სახეები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსწავლის სასწავლო საჭიროებების სირთულესა და ხასიათზე. იმ სფეროში, სადაც მოსწავლეს შეუძლია ასაკისთვის შესაბამისი მიზნების მიღწევა, ცხადია, ინდივიდუალური (ალტერნატიული) მიზნების შედგენა საჭირო არ არის. მაგ., ზოგიერთი მოსწავლისთვის ალტერნატიული მიზნები დგება კითხვის უნარის ათვისებასთან დაკავშირებით და, შესაძლოა, მოცემული სფეროს განვითარებისთვის მას 5-6 მიზნის განსაზღვრაც კი დასჭირდეს; ზოგიერთ მოსწავლეს ინდივიდუალური მიზნები სჭირდება სოციალური კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის; ზოგს შეიძლება ყველა, ან თითქმის ყველა სფეროში სჭირდებოდეს ინდივიდუალური მიზნები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც მიზნის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, არის პრიორიტეტები. კერძოდ, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფმა უნდა გადანყვიტოს, რომელი მიზანი/მიზნებია პრიორიტეტული, რას ასწავლის და რომელი უნარების შეძენაში დაეხმარება მოცემულ წელს მოსწავლეს. ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მიზანი/მიზნები პრიორიტეტული იყოს მშობლისთვის და გონივრული –

მოსწავლის მომავლისთვის. როდესაც ლაპარაკია პრიორიტეტებზე, აქ იგულისხმება არა მხოლოდ მშობლის სურვილი და მოლოდინი, არამედ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები.

3.8. მიზნების სირთულე და ქრონოლოგია

მიზნების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს უნარების განვითარების თანამიმდევრობა. გაუმართლებელია ამა თუ იმ უნარზე მუშაობა, თუ მისი წინმსწრები უნარი სათანადოდ არ არის განვითარებული.

მაგალითად, არ შეიძლება დავინწყოთ კითხვაზე ან არითმეტიკული უნარების განვითარებაზე მუშაობა და მიზნების დასახვა ისე, რომ არ გავითვალისწინოთ კითხვის და არითმეტიკის წინმსწრები უნარები: მოსწავლეს ვერ ასწავლით არითმეტიკულ ოპერაციებს ციფრებით (მაგ., 10-ის ფარგლებში ანგარიში), თუ მას არ აქვს გააზრებული რაოდენობის ცვლილების (ზრდა, შემცირება) ცნება, მიმართება ციფრსა და რაოდენობას შორის. თუ ბავშვმა არ იცის, რომ ნივთების გარკვეული გროვისთვის სხვა გროვის მიმატება იწვევს ნივთების რაოდენობის ზრდას და გამოკლება პირიქით – შემცირებას, მაშინ ის ვერ გაიგებს ციფრებით მიმატების და გამოკლების ოპერაციებს. შესაბამისად, არ შეიძლება ჯერ მიმატება-გამოკლების ოპერაციებზე დავინწყოთ მუშაობა და შემდეგ ვიმუშაოთ (ან საერთოდ არ ვიმუშაოთ) ისეთ ცნებებზე, როგორცაა რაოდენობა ან რიგითობა.

მაგალითად, თუ ჩვენი მიზანია თეონას ვასწავლოთ 10-ის ფარგლებში არითმეტიკული ოპერაციების შესრულება, მიზნები ქრონოლოგიურად და სირთულის მიხედვით შემდეგნაირად უნდა დალაგდეს:

1. თეონა ახორციელებს ოპერაციებს ობიექტების რაოდენობის, სიდიდის, მოცულობის გაზრდის ან შემცირების მიზნით;
2. 3-ის ფარგლებში თეონა თითების, ჩხირებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით ასრულებს მიმატება-გამოკლების ოპერაციებს და პოულობს მიღებულ ციფრს ბარათზე.
3. თეონა 10-ის ფარგლებში ასრულებს მიმატება-გამოკლების ოპერაციებს და ჩაინერს მიღებულ ციფრს.

შეჯამება

მიზნის დადგენისას სპეციალისტებმა უნდა განსაზღვრონ:

- რის გაკეთებას შეძლებს მოსწავლე მიზნის მიღწევის შედეგად;
- პირობები, რომელშიც მოსწავლე გამოავლენს მიღწეულ შედეგს;
- რესურსი და მხარდაჭერა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლემ მიაღწიოს მიზანს;
- დრო, რომელშიც მიზანი იქნება მიღწეული.

3.9. გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები – ამოცანები და ინდიკატორები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის განსაზღვრული სასწავლო მიზანი, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შედეგის მოდიფიკაციას ან ალტერნატივას წარმოადგენს, სპეციალურ ლიტერატურაში გრძელვადიანი მიზნის სახელწოდებით იხმარება.

გრძელვადიანი (წლიური) მიზანი არის დებულება, რომელსაც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ და რომლის მიღწევასაც სასწავლო წლის დასრულებისას მოელიან მოსწავლის საჭიროებების, მიღწევის დონის, ძლიერი მხარეებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

თუ განვითარების აქტუალური დონე არის ის ათვლის წერტილი, საიდანაც მოსწავლე იწყებს მიზანზე მუშაობს, ხოლო წლიური მიზანი – საბოლოო შედეგი, რომელსაც უნდა მიაღწიოს, მათ შორის შეიძლება განისაზღვროს და გაიწეროს მიზანმდე მისასვლელი გზები, ე. წ. საფეხურები, იგივე მოკლევადიანი (შუალედური) მიზნები ან ამოცანები. მოკლევადიანი მიზნების მიღწევა არის აუცილებელი იმისთვის, რომ მოსწავლემ საბოლოო შედეგს მიაღწიოს. მსგავსი მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა ეხმარება მოსწავლეს, ეტაპობრივად დააგროვოს ცოდნა და გამოცდილება, რომელიც დასახულ მიზანმდე მიიყვანს. ეს დახმარებას უწევს მასწავლებელსაც – მას შეუძლია ეტაპობრივად შეაფასოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე მიზნის მიღწევითვის აუცილებელი ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას.

მოკლევადიანი მიზნები, რომლებსაც გრძელვადიანი მიზნებისკენ მიყვავართ, უფრო კონკრეტული და სპეციფიკურია და მათი მიღწევა უფრო მოკლე პერიოდში არის მოსალოდნელი. მათი მიღწევა შესაძლებელია ორ კვირაში, ერთ ან ორ თვეში. მოკლევადიანი მიზნები იმ აუცილებელ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს მოიცავს, რომლებიც გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად არის საჭირო.

მაგალითი:

| | |
|---------------|---|
| მიღწევის დონე | გიორგი ასრულებს საშინაო დავალებების ნახევარზე ნაკლებს. ის იწყებს დავალების შესრულებას, მაგრამ ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სირთულეების გამო, არ შეუძლია დაწყებული დავალება განსაზღვრულ დროს დაასრულოს. |
| წლიური მიზანი | გიორგი ყველა საშინაო დავალებას ასრულებს რეგულარულად და დროულად. |

იმისთვის, რომ გიორგიმ მიაღწიოს დასახულ გრძელვადიან მიზანს, საჭიროა შეიძინოს გარკვეული ცოდნა და უნარები, რომლებსაც ისე ჯგუფი განსაზღვრავს და განწერს მოკლევადიანი მიზნების სახით.

რამდენიმე მოკლევადიანი მიზანი ამ დავალებისთვის ასეთი იქნებოდა:


გიორგი დამოუკიდებლად იყენებს წინასწარ გამზადებულ ორგანიზაციულ მოდელს, სადაც მითითებულია დავალების დროულად დასრულებისთვის საჭირო აქტივობების თანამიმდევრობა.

გიორგი დამოუკიდებლად შეიმუშავებს და იყენებს ორგანიზაციულ მოდელს.

განვიხილოთ ზემოთ აღწერილი მოკლევადიანი მიზნები დამოუკიდებლად და გრძელვადიან მიზანთან კავშირში.

მოცემულ შემთხვევაში, გიორგის ძლიერი მხარე (განვითარების აქტუალური დონე) ის არის, რომ მას შეუძლია დაინყოს დავალების შესრულება. სირთულე ორგანიზაციული უნარ-ჩვევების დეფიციტია, რაც ხელს უშლის დავალებების დასრულებაში. შედეგად, გიორგის არასოდეს აქვს მზად საშინაო დავალება.

წლიური მიზანი, რომელსაც გიორგიმ უნდა მიაღწიოს, არის საშინაო დავალებების რეგულარულად და დროულად მომზადება („გიორგი ამზადებს საშინაო დავალებებს რეგულარულად და დროულად“). თუმცა, ვიდრე საბოლოო მიზანს მიაღწევს, გიორგიმ უნდა მიაღწიოს შუალედურ მიზნებს: პირველ ყოვლისა, ისწავლოს მასწავლებლის მიერ წინასწარ გამზადებული მოდელის გამოყენება, სადაც მითითებულია, რა ქმედებები უნდა განახორციელოს დავალების დროულად შესასრულებლად, რა თანამიმდევრობით და რა დროში. მაგ., მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას გიორგის გამოადგება შემდეგი სახის მოდელი:



მასწავლებელი მოდელის გამოყენების სწავლებით გიორგის თავად აწვდის სქემას (ამ შემთხვევაში, ამოცანის ამოხსნისთვის საჭირო ქმედებების თანამიმდევრობას), რადგან ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული სირთულეების გამო, გიორგის დამოუკიდებლად არ შეუძლია მსგავსი სქემის შემუშავება. მასწავლებელი ამ შემთხვევაში ელის, რომ მსგავსი მოდელის ხშირი გამოყენების შედეგად მოხდება სქემის გათავისება (ინტერიორიზაცია) და მომავალში გიორგი დამოუკიდებლად, ყოველგვარი სქემის გარეშე შეძლებს საჭირო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას.

მაშასადამე, პირველი მოკლევადიანი მიზანი საბოლოო მიზანთან შედარებით ბევრად მარტივია და დამხმარე სქემის (მზა ტემპლებების) გამოყენებით დავალების დროულად შესრულებას ითვალისწინებს.

მომდევნო მოკლევადიანი მიზანი – ამოცანა, ანუ საფეხური – პირველთან შედარებით რთული და კომპლექსურია. ამ საფეხურზე გიორგიმ უნდა ისწავლოს საკუთარი თავისთვის დამხმარე სქემის (მოდელის) დამოუკიდებლად შემუშავება და, შესაბამისად, ამ სქემის გამოყენებით დავალების შესრულება.

საბოლოო საფეხური გახლავთ გრძელვადიანი მიზანი. ამ საფეხურზე მასწავლებელი ელის, რომ მოხდება სქემის ინტერიორიზაცია და გიორგი უკვე დამოუკიდებლად, დამხმარე სქემის გამოყენების გარეშე, რეგულარულად და დროულად შეძლებს ყველა იმ აქტივობის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც დავალების ბოლომდე შესასრულებლად არის საჭირო.

ხანდახან მოკლევადიანი მიზანს ან მიზნებს წარმოადგენს ინდიკატორი. როგორც ზემოთ იყო განხილული, ყოველი მიზანი ეროვნულ სასწავლო გეგმაში ფასდება ინდიკატორებით. ეს არის იმ ცოდნისა და უნარების ჩამონათვალი, რომლითაც განისაზღვრება, მიღწეულია თუ არა კონკრეტული მიზანი. განვიხილოთ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნისა და ინდიკატორების მაგალითი.

დანყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი მიზანი ასეთია:

ქართ. I. 2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
 - მინიშნებებზე, ილუსტრაციებზე და ა. შ. დაყრდნობით გადმოსცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
 - აღწერს ილუსტრაციას (აღწერს მოქმედებას, ასახელებს საგნებს, სწორად აღწერს საგანთა განლაგებას: წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ);
 - მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს (თხრობას, შეკითხვას, თხოვნას, ბრძანებას) და შესაბამის ინტონაციას;
 - წინასწარ მიცემული გეგმის/ინსტრუქციის მიხედვით გადმოსცემს ფაქტებს.

ჩამოთვლილი პუნქტები არის ინდიკატორები. იმისთვის, რომ მიზნის მიღწევის დონე შევადაროთ, უნდა განვსაზღვროთ, ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორებიდან რომელს და რამდენად მიაღწია მოსწავლემ. მოცემული ინდიკატორებიდან რომელიმე (ან ყველა) შეიძლება გახდეს მოკლევადიანი მიზანი. მაგ., შეიძლება მოკლევადიანი მიზნად დავისახოთ მინიშნებებზე და ილუსტრაციებზე დაყრდნობით მოსმენილი ტექსტის შინაარსის გადმოცემა ან, თუნდაც, ილუსტრაციების აღწერა და ა. შ.

ზოგჯერ გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, ინდიკატორებში აღწერილი ცოდნისა და ჩვევების გარდა, საჭირო ხდება დამატებითი ჩვევის ან ცოდნის შექმნა.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი:

მოცემულ ეტაპზე მოსწავლეს შეუძლია ყველა ასოს ცნობა და დასახელება, სიტყვის პირველი და ბოლო ბგერის დასახელება, განსაზღვრა, არის თუ არა კონკრეტული ბგერა დასახელებულ სიტყვაში; ოთხი ბგერის გაერთიანება, თუ ბგერების მიწოდება მოხდება სწრაფად (გრძელი სიტყვის ან ბგერების ნელა მიწოდების შემთხვევაში ბგერებისგან სიტყვას ვერ ამთლიანებს, არ შეუძლია ჩამოთვლილი ბგერების გამეორება).

გრძელვადიანი მიზანი: მოსწავლეს შეუძლია სიტყვა დაშალოს მარცვლებად, ბგერებად და პირიქით – მარცვლებისგან, ბგერებისგან და ასოებისგან ააწყოს სიტყვა.

აღნიშნული გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი მოკლევადიანი მიზნების მიღწევა:

1. მოსწავლე იმეორებს 5-6 ელემენტისგან შემდგარ ჩამონათვალს (ბგერას, სიტყვას);
2. სიტყვათა ჩამონათვალში პოულობს წინასწარ მითითებულ ასოს, მარცვალს (ინდიკატორი, როგორც მოკლევადიანი მიზანი);
3. წინასწარ განსაზღვრული ასოებისგან აწყობს სიტყვას [აატკ – კატა];
4. ირჩევს დასახელებულ ასოებს და აწყობს სიტყვას [ბგაადგკტ];
5. ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს – სიტყვებად;
6. სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ასოებს;
7. ასოებისაგან და მარცვლებისაგან აწყობს სიტყვას.

საყურადღებოა, რომ ყველა ეს მოკლევადიანი მიზანი (გარდა პირველისა [1]) ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგის ინდიკატორებია; მოსწავლეს შეუძლია გააერთიანოს მაქსიმუმ 4 ბგერისაგან შემდგარი სიტყვა – ეს არის მისი განვითარების აქტუალური დონე; ცხადია, მოცულობასთან დაკავშირებული პრობლემის დაძლევის გარეშე შეუძლებელი იქნება გრძელვადიანი მიზნის მიღწევა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა რაოდენობის ბგერებისგან შემდგარი სიტყვის დაშლას და აწყობას; აქედან გამომდინარე, ისგ-ზე მომუშავე ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა, ზუსტად განსაზღვროს, რა არის საჭირო მიზნის მისაღწევად [არ მოხდეს ინდიკატორების ავტომატური გადატანა მოკლევადიანი მიზნებში] და მოკლევადიანი მიზნად დაისახოს.

ამავე მაგალითზე შეგვიძლია განვიხილოთ მოკლევადიანი მიზნებს შორის მიმართება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკლევადიანი მიზნები გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საფეხურებია; ის უნარები და ცოდნა, რომლის ათვისებაც მოკლევადიანი მიზნების მიღწევით ხერხდება, საბოლოოდ გვაძლევს გრძელვადიანი მიზნის შესაბამის კომპლექსურ ცოდნას ან უნარებს; ცხადია, ზოგიერთი მოკლევადიანი მიზნის მიღწევა შეუძლებელია მისი წინმსწრები უნარის ან ცოდნის შეძენის გარეშე, მაგ.: მოსწავლე ვერ შეარჩევს საჭირო ასოებს და ვერ ააწყოს სიტყვას, ვიდრე იმავე დავალებას არ შეასრულებს მხოლოდ იმ ასოებისაგან, რომლებიც საჭიროა მოცემული სიტყვისათვის (მე-3 და მე-4 მოკლევადიანი მიზანი). ამავე დროს, იგი ვერ შეძლებს სიტყვის აწყობას, თუ არ შეუძლია სიტყვაში ასოს მოძებნა (მე-2 მოკლევადიანი მიზანი); ეს მიზნები (მე-2, მე-3 და მე-4) ერთმანეთთან საფეხურებრივ, იერარქიულ კავშირშია; რაც შეეხება პირველ მიზანს, მისი მიღწევა არ არის სხვა რომელიმე მიზანზე დამოკიდებული. მისი მიღწევა შესაძლებელია დამოუკიდებლად. ასევე, შესაძლებელია მე-2, მე-3 და მე-4 მოკლევადიანი მიზნების მიღწევა მის გარეშე; მე-5, მე-6, მე-7 მიზნების მიღწევა კი შეუძლებელი გახდება, თუ მოსწავლე ვერ შეძლებს პირველი მიზნის შესაბამისი უნარის დემონსტრირებას. პირველი მოკლევადიანი მიზანი მე-2, მე-3 და მე-4 მიზნებთან პარალელურ კავშირშია, ისინი გრძელვადიანი მიზნის კომპონენტები არიან, ხოლო მე-5, მე-6, მე-7 მიზანთან – იერარქიულ კავშირშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიზნებზე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება პირველი მოკლევადიანი მიზნის მიღწევა.

ამგვარად, მოკლევადიანი მიზნები შეიძლება წარმოადგენდნენ გრძელვადიანი მიზნის საფეხურებს ან კომპონენტებს; საფეხურებრივი ანუ იერარქიული მიმართების შემთხვევაში, მიზნებზე მუშაობა მოითხოვს თანამიმდევრობის დაცვას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ერთი/ან რამდენიმე მოკლევადიანი მიზანი სხვა მიზანთან/ებთან ერთად გრძელვადიანი მიზნის კომპონენტია ანუ პარალელურ კავშირშია მათთან, შესაძლებელია ნებისმიერი თანამიმდევრობით ან სხვა მიზნებთან ერთად პარალელური მუშაობა.

3.10. რესურსები და სტრატეგიები

სტრატეგია არის იმ ტექნიკისა და მიდგომათა ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ისე-ით განსაზღვრული მიზნის/ების მიღწევაში.

თუ მიზანი აღწერს იმას, რისი გაკეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ, სტრატეგია აღწერს, რა უნდა გააკეთოს უფროსმა (მასწავლებელმა თუ სხვამ), მოსწავლეს დასახული მიზნის მიღწევაში რომ დაეხმაროს.

სტრატეგიების აღწერა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას საჭირო მასალის, ადამიანური რესურსების, გარემოებების და იმ ადგილის შესახებ, სადაც სწავლება ხორციელდება. მომდევნო თავში განვიხილავთ ადაპტირებული გაკვეთილის ნიმუშს, რომელშიც აღწერილია საჭირო სტრატეგიები და რესურსები.

ისე ჯგუფმა თითოეული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნისთვის უნდა განსაზღვროს საჭირო მასალა (მაგ.: ადაპტირებული ტექსტი), მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი (ვინც არის პასუხისმგებელი ტექსტის ადაპტირებაზე, ამობეჭდვაზე და მოსწავლისთვის მიწოდებაზე), ადგილი, სადაც მიმდინარეობს მიზანზე მუშაობა (საკლასო ოთახი, რესურსოთახი, სახლი) და კონკრეტული სტრატეგიის/აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი (მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, მშობელი).

3.11. მიზნების შერჩევის პროცედურა

მიზნების შერჩევა, ცხადია, ხდება მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებელი უკვე იცნობს მოსწავლის შეფასების ანგარიშებს და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით განიხილავს მოცემული კლასისა და საგნის თითოეული შედეგის მიღწევის შესაძლებლობას; იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლე წლის ბოლოს ვერ შეძლებს კონკრეტული შედეგის იმ ფორმით მიღწევას, როგორც ეს ეროვნულ სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი, იგი იწყებს მსჯელობას/ფიქრს მის მოდიფიკაციაზე (რაოდენობრივი, თვისებრივი); ცხადია, მასწავლებლის მიზანია, მოსწავლის წლიური მიზნები მაქსიმალურად ითვალისწინებდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ამიტომ, პირველ ყოვლისა, ფიქრობს მიზნის გამარტივებაზე, ანუ ცდილობს მიზანი იმავე საფეხურიდან შეარჩიოს; საფეხურის მიზნების შენარჩუნება შესაძლებელია აგრეთვე მათი რაოდენობის შეცვლით (მიზნების/ინდიკატორების შემცირებით). იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის პოტენციური შესაძლებლობების გათვალისწინებით არ ხერხდება მიზნის იმავე საფეხურიდან შერჩევა, მასწავლებელი მას ქვედა საფეხურიდან არჩევს, მაგ.: თუ IV კლასის შედეგების მიღწევა მათი ცვლილებების შემდეგაც შეუძლებელია, მასწავლებელი ცდილობს მიზნები III კლასის სტანდარტს შეუსაბამოს: განიხილავს მიზნების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისა და აკომოდაციების გამოყენების შესაძლებლობას და იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტს, რომ მოსწავლე ვერც III კლასის მიზნების მიღწევას შეძლებს, ირჩევს კიდევ უფრო დაბალ საფეხურს და ა.შ. ცხადია, მიზნის ადეკვატური შერჩევა დამოკიდებულია მასწავლებლის გამოცდილებაზე და კომპეტენციაზე. პედაგოგთა უმრავლესობას შეუძლია მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვროს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე, მას არ სჭირდება თითოეული ქვედა საფეხურის თანამიმდევრული განხილვა. მაგ.: თუ VII კლასის სსსმ მოსწავლეს შეუძლია 10-ის ფარგლებში ანგარიში, ცხადია, მისი მიზნების VI ან V კლასის საგნობრივ სტანდარტში ძიება საღ აზრს მოკლებულია; ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი პირდაპირ I ან, შესაძლოა, II კლასის სტანდარტიდან დაიწყებს მიზნების შერჩევას.

თაპი IV სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა


სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა მოხდება მათი საგანმანათლებლო სივრცეში მოხვედრამდე (სკოლაში შესვლამდე) ან სასწავლო პროცესის ნებისმიერ მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ სკოლა ინფორმირებულია მოსწავლის პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ, სკოლის პერსონალმა, მშობელთან შეთანხმებით, უნდა დაიწყოს ინფორმაციის შეგროვება ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით და, აუცილებლობის შემთხვევაში, შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ზოგჯერ პრობლემები მოგვიანებით იჩენს თავს; მასწავლებელმა შესაძლოა იფიქროს, რომ მოსწავლე არ არის სათანადოდ ჩართული სასწავლო პროცესში და მისი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნიოს სხვადასხვა ცვლილებების შეტანა; ასეთ შემთხვევაში, ვიდრე მასწავლებელი/დამრიგებელი მშობელს დაუკავშირდება, სასურველია, დაკვირვებისა და კოლეგებთან თანამშრომლობის გზით მოიპოვოს ინფორმაცია იმ სირთულეებისა და საჭიროებების შესახებ, რომლებიც მოსწავლეს სწავლის პროცესში ექმნება; კარგი იქნება, თუ მშობელთან შეხვედრამდე მასწავლებელს დაზუსტებით ეცოდინება, რომელი საგნის ათვისება უჭირს მოსწავლეს? კონკრეტულად რა ტიპის სირთულეები ექმნება? რა შემთხვევაში იჩენს ეს სირთულეები თავს და ა. შ.

მნიშვნელოვანია, მშობელთან შეხვედრა არ შედგეს მხოლოდ პრობლემების დეკლარირების მიზანით: სასურველია, ისინი განვანყოთ თანამშრომლობისთვის. ინფორმირების მიზანია მშობელთან თანამშრომლობა და არა მშრალი ინფორმაციის მიწოდება და მხოლოდ პრობლემებზე ლაპარაკი.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოხდეს არა მხოლოდ პრობლემის დეკლარირების, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვისა და სწავლის ხარისხის გაზრდის მიზნით.

სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების დადგენისა და მშობლებთან შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს მოსწავლის შეფასება; სრულფასოვანი, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება სასწავლო პროცესში ადეკვატური ცვლილებების განხორციელების წინაპირობას ქმნის. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ინფორმაციის შეგროვება ეყრდნობოდეს სხვადასხვა წყაროსა და შეფასების მეთოდებს – დაკვირვებას, ინტერვიუებას, ფორმალურ და არაფორმალურ ტესტირებას.



მოსწავლის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ოჯახის წევრებზე, სკოლის პერსონალსა და სხვა მნიშვნელოვან წყაროზე დაყრდნობით.

ოჯახის წევრებს განსხვავებულ ვითარებაში უხდებათ ბავშვთან ურთიერთობა, შესაბამისად, განსხვავებული ცნობების მოწოდება შეუძლიათ; გარდა ამისა, მშობლები ფლობენ ინფორმაციას ბავშვის ადრეული განვითარების, სამედიცინო ისტორიისა და საჭიროებების, ემოციური და სოციალური უნარ-ჩვევებისა და სირთულეების შესახებ.

მნიშვნელოვანი წყაროა თავად მოსწავლე, განსაკუთრებით მაღალ კლასებში ან/და ისეთ შემთხვევებში, როდესაც საკუთარ თავზე დაკვირვებისა და ანგარიშგების უნარი შესწევს; მოსწავლეს შეუძლია მოგვანოდოს ინფორმაცია საკუთარი ინტერესების, სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ.

მოზარდის საჭიროებების კრიტიკული ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო დაწესებულების პერსონალისგან მოპოვებულ ინფორმაციას სკოლაში მისი ქცევის შესახებ. მასწავლებლები ფლობენ ინფორმაციას სხვადასხვა საგნების სწავლებისას გამოყენებული მეთოდების ეფექტიანობის შესახებ; გარდა ამისა, მათ საშუალება აქვთ, განიხილონ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და მოგვანოდონ ინფორმაცია მოზარდის შესაძლებლობების შესახებ მის ასაკობრივ კატეგორიასთან შეფარდებით.

ინფორმაციის მოპოვება შეიძლება მოსწავლის პირადი საქმის შესწავლით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სხვა სკოლიდან არის გადმოსული და არ ხერხდება წინა კლასის მასწავლებლებთან შეხვედრა.

მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას შეიცავს იმ სპეციალისტთა ჩანაწერები და რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ

მოსწავლესთან ან შეფასებული ჰყავთ იგი; ეს შეიძლება იყოს ბავშვის ექიმი, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, პედაგოგი და ა. შ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია მისი მოპოვების შესაძლო წყაროსთან. აღნიშნულ ჩამონათვალს, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ემატება ან აკლდება რომელიმე პუნქტი/პუნქტები. ჩამონათვალი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც შესამოწმებელი სია შეფასების პროცესში.

| წყარო | ინფორმაცია |
|------------------|---|
| ოჯახი | <ul style="list-style-type: none"> დემოგრაფიული მონაცემები; სოციალური ისტორია; საგანმანათლებლო ისტორია; სამედიცინო ისტორია; განვითარების თავისებურებები; ქცევის თავისებურებები; ინტერესები; პრიორიტეტები; განხორციელებული შეფასება/ინტერვენცია. |
| მოსწავლე | <ul style="list-style-type: none"> ინტერესები; აკადემიური და შემეცნებითი უნარები; დამხმარე სტრატეგიები; ხელშემშლელი ფაქტორები; დასწავლის სტილი; პრიორიტეტები; საყვარელი საქმიანობა. |
| სკოლა | <ul style="list-style-type: none"> საგანმანათლებლო ისტორია; აკადემიური მიღწევები; აკადემიური სირთულეები; სწავლასთან დაკავშირებული ქცევა; სოციალური და ემოციური განვითარების თავისებურებები; გამოყენებული ინტერვენციების ეფექტიანობა. |
| სხვა სპეციალისტი | <ul style="list-style-type: none"> პრობლემის ისტორია და დინამიკა; გამოყენებული ინტერვენციების ტიპი, ინტენსივობა და ეფექტიანობა; რეაგირება ინტერვენციაზე, პროგრესი; განვითარების თავისებურებები; სპეციალური რეკომენდაცია (რეჟიმთან, კვებასთან, მედიკამენტების მიღებასთან დაკავშირებით). |

მოსწავლის საჭიროებების შესწავლისა და მათზე ადეკვატური რეაგირების მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამომწურავი, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებას. მიუხედავად ამისა, შეფასების გუნდმა ან შეფასების პროცესში მონაწილე სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ და მოიპოვონ მხოლოდ რელევანტური ინფორმაცია, რომელიც შემდგომში დახმარებას გაუწევს სკოლის პერსონალს და თავად მოსწავლეს. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მშობელი/მეურვე ინფორმირებული იყოს არა მხოლოდ შეფასების საჭიროებაზე, არამედ თავად პროცესზე და, სურვილის შემთხვევაში, თავადაც შეეძლოს მასში მონაწილეობის მიღება. მშობელი უფლებამოსილია:

- იცოდეს შეფასების რა მეთოდების (დაკვირვების, ტესტირების, ინტერვიუს) გამოყენებას გეგმავს ესა თუ ის სპეციალისტი და რა დანიშნულება აქვს თითოეულს;
- ინფორმირებული იყოს სკოლის გარეთ სხვა სპეციალისტთან ვიზიტის შესახებ და მოითხოვოს მისი გაუქმება ან თანამონაწილეობა ამ პროცესში;
- სურვილის შემთხვევაში, დაესწროს მოსწავლის ტესტირების პროცესს;
- გაეცნოს მისი შვილის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას და, სურვილის შემთხვევაში, უარი თქვას მის მთლიანად ან ნაწილობრივ გასაჯაროებაზე.

შეფასება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშობლის/მეურვის თანხმობის შემთხვევაში.

რა ტიპის ინფორმაციის მოპოვებაა საჭირო?

შეფასების შედეგად უნდა მოხდეს მხოლოდ მოსწავლისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება.

მოსწავლის შესახებ სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მოპოვებაზე პასუხისმგებელი თითოეული პირი ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრებასა და დეკლარირებაზე. დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის დეკლარირება და ანგარიშგება, რომელიც არ არის დაკავშირებული მოსწავლის საგანმანათლებლო სივრცესთან, მის საგანმანათლებლო საჭიროებებთან და ვერ იქნება გამოყენებული მის ან მის გარშემომყოფთა სასიკეთოდ. მოსწავლის შეფასების ანგარიში არ უნდა შეიცავდეს:

- ინფორმაციას ისეთი სამედიცინო დიაგნოზის შესახებ, რომელიც არ არის კავშირში საგანმანათლებლო საჭიროებებთან;
- პირადი ან ოჯახური მდგომარეობის დეტალებს;
- სხვადასხვა სპეციალისტის შეფასების ანაგარიშს, რომელიც არ არის აქტუალური;
- ტესტირებისას მიღებულ ქულებს ინტერპრეტაციის გარეშე;

– ნებისმიერი ტიპის პრობლემებს (აკადემიური, ემოციური, ქცევითი), რომლებიც აღარ არის აქტუალური.

შეფასების მიზანია ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება მოსწავლის შესახებ შემდეგ სფეროებში:

- აკადემიური უნარები: კითხვა, წერა, ანგარიში, თხრობა;
- შემეცნებითი უნარები: ყურადღება, აღქმა, მეტყველება, მეხსიერება, აზროვნება;
- საგნის ცოდნა;
- სწავლასთან დაკავშირებული ქცევა: სწავლის მოტივაცია, მერხთან ჯდომა, ინსტრუქციის შესრულება და ა. შ.;
- ფუნქციური უნარ-ჩვევები: მობილობა, კომუნიკაცია, უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ა. შ.

ამ ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება:

✓ **მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები:** სასურველია, მოსწავლის შეფასების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს სფეროების მიხედვით (აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური უნარ-ჩვევები) და თითოეული სფეროსთვის განისაზღვროს ძლიერი და სუსტი მხარეები.

✓ **სხვადასხვა სფეროში არსებული სირთულეების გავლენა მოსწავლის აკადემიურ მიღწევაზე:** გარდა იმისა, რომ შეფასების პროცესში მოხდება სირთულეების იდენტიფიცირება, მნიშვნელოვანია აღნიშნული სირთულეების სასწავლო პროცესთან დაკავშირება და იმის განსაზღვრა, თუ რა სირთულეს უქმნის კონკრეტული პრობლემა მოსწავლეს სასწავლო პროცესში, მაგ.: უჭირს კითხვა, შესაბამისად, ვერ ითვისებს მისი ასაკის შესატყვისი სირთულის ტექსტებს.

✓ **საგანმანათლებლო პრიორიტეტები:** მრავალფეროვანი საჭიროებების არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო პრიორიტეტები, მაგ.: რომელი მიზნის მიღწევა დააკმაყოფილებს მოსწავლის საჭიროებებს, რომელ საგანს ისწავლის, რომელ უცხო ენას დაეუფლება, კომუნიკაციის ალტერნატიულ მეთოდებს ათვისებს თუ მეტყველების განვითარებას დაუსახავენ მიზნად და ა. შ.

✓ **საგანმანათლებლო საჭიროებები:** პრიორიტეტების შერჩევის შემდეგ უნდა განისაზღვროს, როგორ არის შესაძლებელი მოსწავლის პრობლემების (სუსტი მხარეები) გამო სწავლის პროცესში შექმნილი სირთულეების შემცირება; როგორი სასწავლო გარემო და სასწავლო სტრატეგიები სჭირდება მოსწავლეს თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებისთვის. მაგ.: თუ მოსწავლეს კითხვის სწავლისას ექმნება სირთულეები და ამის გამოც უჭირს ასაკის შესატყვისი ტექსტის წაკითხვა და გააზრება, მას დიდ დახმარებას გაუწევს აუდიოვიზუალიზაცია, ადაპტირებული ტექსტები, ტექსტებში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა და ა. შ.

✓ **მიღწევის აქტუალური დონე:** მიღწევის აქტუალური დონე განსაზღვრავს, კონკრეტულ სფეროში ან საგანში რა ცოდნა და უნარ-ჩვევები აქვს მოსწავლეს მოცემულ ეტაპზე (რა იცის, რისი გაკეთება შეუძლია). მიღწევის აქტუალური დონის განსაზღვრის მიზნით, შეფასების პროცესში მო-

პოვებული ინფორმაციიდან უნდა შეირჩეს კონკრეტულად ის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება სასწავლო მიზანს. მისი საშუალებით ვიგებთ, რა იცის მოსწავლემ და რა შეუძლია მოცემულ მომენტში კონკრეტული მიმართულებით. მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონე გვიჩვენებს საწყის წერტილს, საიდანაც იწყება მუშაობა მიზნის მისაღწევად; მაგ.:

| მიღწევის აქტუალური დონე | გრძელვადიანი მიზანი |
|--|--|
| შეუძლია შეასრულოს ორსაფეხურიანი ინსტრუქცია ვერბალური დახმარებით. | შეუძლია შეასრულოს სამ- და ოთხსაფეხურიანი ინსტრუქცია დამოუკიდებლად. |
| შეუძლია 10-მდე დათვლა. | შეუძლია 100-მდე დათვლა. |

4.1. ვინ არის პასუხისმგებელი შეფასებასა და ინფორმაციის შებროვებაზე?

პასუხისმგებელ პირებს სკოლის ადმინისტრაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სკოლის რესურსებიდან გამომდინარე განსაზღვრავს; ამის გათვალისწინებით ინფორმაციის შეგროვებაზე პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს:

- სკოლის დამხმარე სპეციალისტს: ფსიქოლოგს, სპეციალურ მასწავლებელს, ინკლუზიური განათლების კოორდინატორს, საგნის პედაგოგს;
- კლასის დამრიგებელს – იმ შემთხვევაში, თუ სირთულეები სწავლაში მხოლოდ ერთ საგანში ვლინდება.

რაც შეეხება შეფასებას: ცხადია, მასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს ყველა იმ სფეროს შეფასებას, რომელიც აუცილებელია მოსწავლის საჭიროებების დეტალური ანალიზისთვის; იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი, ისინი უზრუნველყოფენ აკადემიური და შემეცნებითი უნარების შეფასებას. მათი არარსებობის შემთხვევაში, სკოლას შეუძლია მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს.

| სფერო | მეთოდი | პასუხისმგებელი პირი |
|-------------------------|---|---|
| აკადემიური უნარ-ჩვევები | <ul style="list-style-type: none"> • დაკვირვება • ტესტირება | <ul style="list-style-type: none"> • მასწავლებელი • დამხმარე სპეციალისტი • მულტიდისციპლინური გუნდი |

თავი V - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი

| | | |
|--------------------------------|--|---|
| შემცნებითი უნარები | <ul style="list-style-type: none"> ტესტირება დაკვირვება გაკვეთილის დროს | <ul style="list-style-type: none"> დამხმარე სპეციალისტი მულტიდისციპლინური გუნდი დაკვირვება გაკვეთილის დროს მასწავლებელი |
| საგნის ცოდნა | <ul style="list-style-type: none"> წერილობითი დავალება ზეპირი გამოკითხვა ტესტირება | <ul style="list-style-type: none"> საგნის მასწავლებელი იმავე საგნის მასწავლებელი წინა წელს მომიჯნავე საგნის მასწავლებელი (ფიზიკა-მათემატიკა) |
| სწავლასთან დაკავშირებული ქცევა | <ul style="list-style-type: none"> დაკვირვება კითხვარი ინტერვიუ (მასწავლებელთან) | <ul style="list-style-type: none"> მასწავლებელი დამხმარე სპეციალისტი მულტიდისციპლინური გუნდი |
| ფუნქციური უნარ-ჩვევები | <ul style="list-style-type: none"> დაკვირვება კითხვარი ინტერვიუ (მშობელთან, მასწავლებელთან) | <ul style="list-style-type: none"> მასწავლებელი დამხმარე სპეციალისტი მულტიდისციპლინური გუნდი |

**თავი V
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი**

5.1. პირველი ეტაპი: საციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრა

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ მოსწავლეს სირთულეები ექმნება სწავლის პროცესში, კლასის დამრიგებელი ან საგნის მასწავლებელი, მშობელთან შეთანხმებით, აღნიშნულის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ატყობინებს. ადმინისტრაცია გეგმავს და უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის (ისგ ჯგუფის) პირველ შეხვედრას, რომლის ორგანიზებასა და მონაწილეთა ინფორმირებაზე პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროს კლასის დამრიგებელს ან სკოლის დამხმარე სპეციალისტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პირველ შეხვედრას ესწრებიან სსსმ მოსწავლის დამრიგებელი, ყველა მასწავლებელი, ადმინისტრაცია, სკოლის დამხმარე სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მშობელი და თავად მოსწავლე (თუ ეს შესაძლებელია). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობელის მონაწილეობა, რაც სა-

შუალებას მისცემს მას, პროცესის დაწყებიდანვე საქმის კურსში იყოს; სკოლას კი შეეძლება გაიზიაროს და გაითვალისწინოს მშობლის პოზიცია.

ამ ეტაპზე ისგ ჯგუფის წევრების ამოცანაა, აღწერონ და შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარონ მოსწავლის ქცევასთან და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, მისი ძლიერი მხარეები, საჭიროებები, რომელთა საფუძველზეც ჯგუფი გადაწყვეტილებას მიიღებს მოსწავლის სიღრმისეული შეფასების აუცილებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ისგ ჯგუფის წევრები გადაწყვეტენ, რომ სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები არ არის დროებითი ხასიათის და სასწავლო პროცესში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ბავშვი გაცილებით ეფექტიანად შეძლებს ჩართვას, ჯგუფი იძლევა სიღრმისეული შეფასების რეკომენდაციას. მშობლის თანხმობის შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფლებამოსილია, დაიწყოს შეფასების პროცესი (შეფასების პროცესი დეტალურად არის აღწერილი IV თავში „სსსმ მოსწავლის იდენტიფიკაცია და შეფასება“).

შეფასების პროცესის დასრულებისთანავე იგეგმება შემდეგი შეხვედრა.

ამ ეტაპზე ისგ ჯგუფის შეხვედრის მიზანია, შეფასების შედეგების მიმოხილვისა და ჯგუფში მსჯელობის საფუძველზე განსაზღვროს მოსწავლის ძირითადი საჭიროებები და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია, ამ შეხვედრას ესწრებოდეს და განხილვაში მონაწილეობდეს ყველა სპეციალისტი, ვინც მოსწავლის შეფასებისა და სწავლების პროცესში მონაწილეობს; შეხვედრაზე განისაზღვრება:

- ისგ ჯგუფის შემადგენლობა და მის მუშაობასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები (რა სიხშირით, სად და როდის შედგება ჯგუფის შეხვედრები; რა ფორმით მოხდება წევრების ინფორმირება მიმდინარე საკითხებისა და ჯგუფის შეხვედრების შესახებ);
- მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები;
- აღნიშნული საჭიროებების დაძლევის გზები.

მოსწავლის შეფასების ანგარიშის მიმოხილვის შემდეგ ისგ ჯგუფმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თაობაზე; გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა განიხილონ თითოეული საგნის მასწავლებლის მოსაზრება, რომელსაც პედაგოგები დოკუმენტის სახით წარმოადგენენ (იხ. „მოსწავლის პირადი საქმის წარმოება“), ასევე სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მიერ წარმოდგენილი შეფასების ანგარიშები (იხ. სსსმ მოსწავლის იდენტიფიკაცია და შეფასება).

შეხვედრაზე თითოეული წევრი წარმოადგენს მისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას და გამოთქვამს მოსაზრებას ინდივიდუალური გეგმის საჭიროების თაობაზე; [იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, შეხვედრას უძღვება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, რომელიც ისგ ჯგუფის წევრებს აწვდის ინფორმაციას სსსმ მოსწავლის სწავლების პროცედურების შესახებ].

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე, სხვადასხვა სტრატეგიისა და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების მიუხედავად, ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პროგრამას, გუნდი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. ამასთან ერთად განისაზღვრება, რომელ საგანში საჭიროებს გეგმას და რომელში – არა. ისგ ჯგუფის შემადგენლობაში რჩებიან ის მასწავლებლები, რომელთა საგნებშიც მოსწავლეს სჭირდება გეგმის შედგენა. იმ შემთხვევაში, თუ მოზარდის საგანმანათლებლო საჭიროება (ზოგიერთი) განპირობებულია ქცევითი პრობლემებით, რომლებზე მუშაობაც ერთიან შეთანხმებულ სტრატეგიას მოითხოვს, ჯგუფში რჩება უკლებლივ ყველა მასწავლებელი, მიუხედავად საგანში არსებული მიღწევებისა.

შემდეგი გადაწყვეტილება ეხება ეროვნული გეგმის ადაპტაციის ფორმებს. მოსწავლის საჭიროებების დასაძლევად სტრატეგიების შერჩევასა ჯგუფი, პირველ ყოვლისა, განიხილავს აკომოდაციების გამოყენების შესაძლებლობას; იქ, სადაც აკომოდაციების გამოყენება არ იქნება საკმარისი და ეფექტიანი, გეგმის მოდიფიკაციის გადაწყვეტილებას იღებს; თუ ჯგუფი მიიჩნევს, რომ შესაძლო აკომოდაციები და მოდიფიკაცია ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს, განიხილავს ალტერნატიული მიზნების შემუშავების აუცილებლობას.

ამგვარად, მოსწავლის იდენტიფიკაციისა და შეფასების შემდეგ იკრიბება ისგ ჯგუფი და თანხმდება:

- სჭირდება თუ არა მოსწავლეს ისგ?
- რა საგნებში სჭირდება?
- რა ტიპის აკომოდაციების გამოყენება შეიძლება და რა ფორმით?
- საჭიროებს თუ არა ისგ მოდიფიკაციას და რომელ საგანში?
- საჭიროებს თუ არა მოსწავლე ალტერნატიული მიზნების შემუშავებას?

ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განხილული საკითხები კონფიდენციალურია. თითოეული წევრი ვალდებულია იღებს, კონკრეტულ მოსწავლესთან დაკავშირებული საკითხები განიხილოს მხოლოდ ჯგუფის წევრებთან.

მოცემულ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს შემდგომი მუშაობის მიმართულებას.

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საკმარისია აკომოდაციების გამოყენება, ჯგუფი თანხმდება აკომოდაციის ფორმაზე, სიხშირეზე, ადგილზე, დროზე და ა. შ.; გეგმავს შემდგომ შუალედურ შეხვედრას მონიტორინგისთვის. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სასწავლო მიზნების მოდიფიკაცია ან ალტერნატიული მიზნების შემუშავება, ჯგუფს უფრო ხანგრძლივი სამუშაოს შესრულება უნევს, რისთვისაც ერთი შეხვედრა საკმარისი არ არის; ისგ ჯგუფის თითოეული წევრის

გრაფიკის გათვალისწინებით, ხშირი და ინტენსიური შეხვედრების ორგანიზებაც საკმაოდ რთულია. ამიტომაც მიზანშეწონილია, მეორე შეხვედრის შემდეგ, რომელზეც ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ისგ-ის შედგენაზე და განსაზღვრავს ადაპტაციის ფორმას, ჯგუფის წევრებმა მუშაობა თავიანთი საგნების ფარგლებში ინდივიდუალურად გააგრძელონ.

თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ან დამხმარე სპეციალისტთან ერთად (მათ შეუძლიათ დახმარებისთვის მულტიდისციპლინურ გუნდს მიმართონ) შეარჩევს და შეიმუშავებს კონკრეტული მოსწავლისათვის წლის ბოლოს მისაღწევ მიზნებს (იხ. ქვეთავი „მიზნის შერჩევა“).

შერჩეულ მიზნებს მასწავლებელი აყალიბებს გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებად (მიზნების ფორმულირება დეტალურად არის განხილული შესაბამის თავში); ამავდროულად, განსაზღვრავს მიღწევის გზებს, სტრატეგიებს, მეთოდებსა და აქტივობებს (გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიზნების შერჩევა და შესაბამისი სამუშაოების დაგეგმვა საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი საქმეა, ამიტომ მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, შერჩეული მიზნებიდან კონკრეტულად რომელ მიზანზე იქნება მისი მუშაობა ორიენტირებული პირველი სემესტრის ან უახლოესი ერთი თვის განმავლობაში და მხოლოდ ამისთვის შეიმუშაოს სტრატეგიები).

5.2. მეორე ეტაპი: სასწავლო მიზნებისა და სტრატეგიების შეთანხმება

მიზნები:

- საგნების მიხედვით სასწავლო მიზნებისა და სტრატეგიების შეთანხმება;
- საერთო მიზნების იდენტიფიცირება და შეთანხმება;
- მიზნის შესაბამისი აქტივობებისა და მასზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

ამ ეტაპზე ისგ ჯგუფის შეხვედრაზე მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს ის მიზნები, რომლებსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში.

ისგ ჯგუფის მუშაობის მეორე ეტაპზე (შესაძლოა შედგეს რამდენიმე შეხვედრა) ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება: თითოეული მასწავლებელი წარმოადგენს გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს თავის საგანში და ათანხმებს მას მშობელთან, მოსწავლესთან (როცა ეს შესაძლებელია), სხვა საგნების პედაგოგებთან, დამხმარე სპეციალისტებთან.

ისგ ჯგუფის ამ შეხვედრაზე, გარდა იმისა, რომ თითოეული მასწავლებელი წარმოადგენს თავის საგანში მისაღწევ მიზნებს, თანხმდებიან საერთო, ანუ ისეთ სასწავლო ან/და ფუნქციურ მიზნებზე, რომლებზე მუშაობაც

თავი V - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი

უნდა დაიგეგმოს პარალელურად ორ ან მეტ სივრცეში, მაგ., კითხვასთან და წერასთან დაკავშირებული სასწავლო მიზნები, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაშია მოცემული, შესაძლებელია ინტეგრირებული იყოს სხვა ნებისმიერ გაკვეთილზე, სადაც გარდაუვალია კითხვისა და წერის აქტივობების გამოყენება. გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ მიზნის მისაღწევად საჭიროა დამატებითი ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის დაგეგმვა რესურსოთხაში. ასეთ შემთხვევაში დამხმარე სპეციალისტი საგნის მასწავლებელთან ერთად ინანილებს პასუხისმგებლობას მოკლევადიანი მიზნების ან კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე, ისინი თანხმდებიან, ვინ რას და როგორ აკეთებს.

ამგვარად, ისგ ჯგუფის მეორე ეტაპის შეხვედრაზე მასწავლებლები წარმოადგენენ და ათანხმებენ წლის ბოლოს მისაღწევ სასწავლო მიზნებს. ასევე, თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე:

- რა არის სასწავლო მიზნები;
- ვინ არის კონკრეტული მოკლევადიანი მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი;
- ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე;
- სად სრულდება აქტივობა (კლასში, რესურსოთახში, სახლში);
- რა მასალაა საჭირო;
- ვინ არის მასალის მომზადებაზე პასუხისმგებელი და ა. შ.

იმ შემთხვევაში, თუ მშობელი არ ესწრება ისგ ჯგუფის რომელიმე შეხვედრას, ჯგუფის კოორდინატორი/დამრიგებელი უზრუნველყოფს მის ინფორმირებას, აწვდის შეხვედრის ოქმსა და შემუშავებული დოკუმენტაციის ასლებს.

5.3. მესამე ეტაპი: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ამ ეტაპზე მასწავლებლები იწყებენ ისგ ჯგუფში გუნდურად მიღებული გადანყვეტილების ინდივიდუალურად განხორციელებას. თითოეული ჯგუფთან შეთანხმებული გრძელვადიანი და შესაბამისი მოკლევადიანი მიზნისა და სტრატეგიების საფუძველზე ადგენს გაკვეთილის გეგმას, რომელშიც, გარდა მთლიანი კლასისთვის განსაზღვრული აქტივობებისა, გათვალისწინებულია კონკრეტული სსსმ მოსწავლისთვის დაგეგმილი აქტივობა (იხ. სანიმუშო გაკვეთილის გეგმები). სწორედ ასე დაგეგმილი გაკვეთილი ქმნის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის წინაპირობას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მიზნებზე მუშაობას სისტემატური ხასიათი ჰქონდეს: მსგავსი აქტივობები უნდა ხორციელდებოდეს ყო-

თავი V - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი

ველდღიურად ან, ინდივიდუალური გრაფიკის არსებობის შემთხვევაში, ყოველ გაკვეთილზე, რომელსაც მოსწავლე ესწრება.

ისგ-ის განხორციელების მოცემულ ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა საგნის მასწავლებლების შეთანხმებული მუშაობა. მიღწევა იმ მიზნებისა, რომლებზეც ორი ან მეტი სპეციალისტი მუშაობს, შეუძლებელია მათი თანამშრომლობის გარეშე; გადაფარვისა და ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტებმა, საგანგებო შეხვედრების გარეშე, მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ერთმანეთს ხშირად გაუზიარონ აზრი. სირთულეების იდენტიფიცირების შემთხვევაში კი მონიტორინგის მიზნით მოითხოვონ ისგ ჯგუფის შეხვედრა.

5.4. მონიტორინგი

ინდივიდუალური გეგმით წარმართული სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა დაიგეგმოს ისგ ჯგუფის შეხვედრა მიმდინარე სემესტრის განმავლობაში (ისგ-ით მუშაობის დაწყებიდან 4-6 კვირის შემდეგ და სემესტრის ბოლოს). იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი ეფექტიანად ვერ იყენებს დაგეგმილ აკომოდაციებსა და აქტივობებს და ფიქრობს, რომ მოსწავლე ვერ აღწევს მოკლევადიან მიზანს (შესაბამისად, ვერ მიაღწევს ვერც გრძელვადიანს), ცხადია, არ უნდა დაელოდოს გეგმურ შეხვედრას და ისგ ჯგუფი დროზე ადრე შეკრიბოს, რათა მოხდეს გეგმის გადახედვა და საჭიროების მიხედვით მისი შესწორება.

ისგ ჯგუფი მონიტორინგის შეხვედრაზე განიხილავს მიღწეულ მიზნებს, სირთულეებს სასწავლო პროცესში და მის შესაძლო გამომწვევ მიზეზებს.

მიზეზები, რომელთა გამოც მოსწავლემ შეიძლება ვერ მიაღწიოს მიზანს, არის:

- არარეალისტური მიზანი;
- არასწორად შერჩეული მეთოდი/სტრატეგია;
- მცირე დრო მიზნის მისაღწევად ან/და აქტივობის განსახორციელებლად;
- არასწორად შერჩეული აკომოდაცია;
- მოსწავლის დაბალი მოტივაცია;
- ხშირი გაცდენები;
- პასუხისმგებელ პირთა (დამრიგებელი) ნაკლები აქტიურობა და ა. შ.

სასწავლო პროცესში ხარვეზების დადგენის შემთხვევაში, ისგ ჯგუფმა უნდა გაანალიზოს თითოეული ზემოთ მოყვანილი მიზეზი და უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად ან/და მინიმუმამდე დასაყვანად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის დროს, მუშაობის ნებისმიერ საფეხურზე განსაკუთრებული

თავი V - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მონიტორინგი

მნიშვნელობა აქვს მონანილეთა გუნდურ მუშაობას, რაც, ცხადია, არ გამორიცხავს მათ ინდივიდუალურ ან წყვილად მუშაობას; ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ისგ ჯგუფის ტიპური შემადგენლობა და სხვადასხვა შეხვედრაზე მათი მონანილეობის აუცილებლობა; შემდეგ თავში კი დეტალურად არის განხილული გუნდური მუშაობის მნიშვნელობა და თითოეული წევრის როლი.

| ისგ ჯგუფი | შეფასების/ისგ საჭიროების იდენტიფიკაცია | ისგ მიზნებსა და სტრატეგიებზე შეთანხმება | ისგ მონიტორინგი |
|--------------------------------|--|---|-----------------|
| მშობელი | მ | მ | მ |
| მოსწავლე | მ | მ | მ |
| დამრიგებელი | ს | ს | ს |
| საგნის მასწავლებელი | ს | ს | ს |
| სპეციალური მასწავლებელი | ს | ს | ს |
| ადმინისტრაციის წარმომადგენელი | ს | ს | ს |
| მულტიდისციპლინური გუნდის წევრი | მშ | მშ | მშ |
| სხვა სპეციალისტი | მშ | მშ | მშ |

- მ** – მნიშვნელოვანი
- ს** – სავალდებულო
- შ** – შესაძლოა
- მშ** – მოწვევის შემთხვევაში

თავი VI

გუნდური მიდგომა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლამ უნდა განსაზღვროს სამუშაო ჯგუფი, იგივე – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და განხორციელებას.

გუნდური მიდგომით მუშაობა გადამწყვეტია, რადგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- (ა) მოსწავლის პიროვნული ფაქტორები – მოსწავლის აკადემიური, შედეგებითი, ფსიქოემოციური, სოციალური, ქცევითი, კომუნიკაციური და მოტორული ფუნქციები; მოსწავლის სამედიცინო, სოციალური და საგანმანათლებლო ისტორია;
- (ბ) საგნობრივი პროგრამები, რომლებსაც მოსწავლე ეუფლება კონკრეტულ სასწავლო წელს, საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები;
- (გ) მოსწავლის მიღწევის დონე აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით.
- (დ) საგანმანათლებლო გარემოს რესურსები და ბარიერები.

სასწავლო პროცესის გონივრულად დაგეგმვა და განხორციელება გულისხმობს აღნიშნული ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და სწავლების ყველა ეტაპზე მათს გათვალისწინებას.

ფაქტორების ასეთი მრავალგვარობის გამო მიზანშეწონილი იქნება ისგ-ის განხორციელებაში სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი ყველა პირის ჩართვა. კერძოდ, მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში უნდა მონანილეობდეს:

- ყველა ის მასწავლებელი, რომელიც მოცემულ სასწავლო წელს ასწავლის მოსწავლეს.
- სკოლის ადმინისტრაცია;
- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სსსმ მოსწავლეთა სწავლების საკითხებში, თუ ასეთი ჰყავს სკოლას (ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი და/ან ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ასევე ლოგოპედი, რომელსაც წინამდებარე სახელმძღვანელოში ინკლუზიური განათლების სპეციალისტად მოვიხსენიებთ);
- მოსწავლის მშობელი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი);
- თავად მოსწავლე (თუ მოსწავლის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას გვაძლევს).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად შექმნილი ჯგუფი კო-

ორდინირებულად, შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს, რასაც რეგულარული შეხვედრები (ისე ჯგუფის შეხვედრები) შეუწყობს ხელს.

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სწორედ ისე ჯგუფის შეხვედრაზე მუშავდება. არ არის მიზანშეწონილი, მოსწავლის სასწავლო პროცესს ცალკეული პედაგოგი იზოლირებულად, მშობლის, კოლეგებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (თუ სკოლას ასეთი კადრი ჰქავს) გარეშე გეგმავდეს.

გუნდური მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. ეროვნული სასწავლო გეგმის 28-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისე ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს)“.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ისე ჯგუფის შექმნა მნიშვნელოვანია ყველა იმ მოსწავლისთვის, რომლის სასწავლო პროცესიც სპეციფიკურ დაგეგმვასა და განხორციელებას მოითხოვს. შესაბამისად, სკოლაში იარსებებს იმდენი გუნდი, რამდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ან ამ საჭიროების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეც ირიცხება.

გუნდის წევრთა რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლის სასწავლო პროგრამით განსაზღვრული საგნების, შესაბამისად, მათი მასწავლებლების რაოდენობასა და სკოლაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტის (ფსიქოლოგის, სპეცმასწავლებლის, ინკლუზიური განათლების კოორდინატორის და/ან ლოგოპედის) ყოფნაზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, მნიშვნელოვანია „მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე და განხორციელებაზე პასუხისმგებელ გუნდს ჰყავდეს კოორდინატორი. კოორდინატორი წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფის კოორდინატორი მიზანშეწონილია იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დამრიგებელი.“

მომდევნო ქვეთავში განვიხილავთ ჯგუფის თითოეული წევრის ფუნქციას.

6.1. ისე ჯგუფის წევრთა ფუნქციები

6.1.1. მშობლის როლი მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სასწავლო პროცესის მიმართულებისა და განხორციელების გზების განსაზღვრაში. თუ მშობელი იზიარებს დასახულ სასწავლო მიზნებს, შედეგის მიღწევა უფრო მეტად რეალურია. შესაბამისად, სასურველია მშობელი ჩართული იყოს მიზნების განსაზღვრის პროცესში და აქტიურად აფიქსირებდეს თავის მოსაზრებებს ჯგუფის შეკრებებზე. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლისთვის ადეკვატური მიზნების განსაზღვრაში, რადგან კარგად იცნობს შვილის შესაძლებლობებსა და ინტერესებს. შესაძლოა, მშობელს სამომავლო გეგმაც კი ჰქონდეს: მაგ., სწავლის გაგრძელება გარკვეული მიმართულებით, დასაქმების კონკრეტული სფერო, რის გამოც უპირატესობას განსაზღვრულ მიზნებს მიანიჭებს.

მაგალითად, თუ მასწავლებელს, მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია სასწავლო პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი შედეგის გამოტოვება, არჩევანის გაკეთებამდე უნდა გაიზიაროს მშობლის შეხედულება. მშობლის მიერ მონოდეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრა გაამყარებს მასწავლებლის არგუმენტაციას ამა თუ იმ მიზნის გამოტოვებასთან დაკავშირებით.

მშობლის მხარდაჭერა არანაკლებ საჭიროა მიზნის მიღწევის პროცესში: იგი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საშინაო დავალებების შესრულებაში და ფლობდეს ინფორმაციას სწავლა/სწავლების რეკომენდებული სტრატეგიების შესახებ, რათა ადეკვატური დახმარება გაუწიოს შვილს; მან უნდა შეძლოს მოზარდის ქცევის პოზიტიურად მართვა და, მოტივაციის ამაღლების მიზნით, ნახალისების შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება. ამ ცოდნასა და უნარებს მშობელი მასწავლებლებთან და სპეციალისტებთან აქტიური კონტაქტით და ისე ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობით ითვისებს.

6.1.2. სკოლის ადმინისტრაციის როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში

მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობა მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებაში. მათი ჩართულობა არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და არ უნდა შემოიფარგლებოდეს მოსწავლის სასწავლო პროცესის შესახებ მიღებული დოკუმენტების დამონებით.

ადმინისტრაციის წევრი აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული მოსწავლისთვის საუკეთესო სასწავლო გარემოს შექმნისა და უზრუნველყოფის პროცესში. ამისთვის საჭიროა სკოლის ადმინისტრაცია ზედმინეწით ინფორმაციას ფლობდეს სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ და ზრუნავდეს სასწავლო გარემოს შესაბამისი ცვლილებებისთვის.

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილება ხშირად გულისხმობს სპეციფიკური მხარდაჭერი ღონისძიებებისა და სერვისების უზრუნველყოფას სკოლის სივრცეში, რაზეც პასუხისმგებლობა სწორედ სკოლის ადმინისტრაციას ეკისრება. მაგ., მოსწავლის მდგომარეობა შეიძლება მოითხოვდეს საკლასო ოთახის შეცვლას, ადაპტირებულ

ავეჯს, სკოლის შესასვლელთან პანდუსის დამონტაჟებას, დამხმარე სპეციალისტის დაქირავებას და ა. შ. აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილება ცდება მასწავლებლის კომპეტენციას. ამ შემთხვევაში გონივრული გამოსავალი სკოლის ადმინისტრაციამ უნდა იპოვოს: შესაძლოა, საჭირო გახდეს შიდა ან გარე რესურსების მობილიზაცია, შესაბამის უწყებებთან კონსულტაციები და ა. შ.

ნათელია, რომ მოსწავლის საჭიროებების უკეთ დასაანახად, გასაანალიზებლად და ადეკვატური რეაგირების მოსახდენად აუცილებელია ადმინისტრაციის წევრის უშუალო მონაწილეობა ისე ჯგუფის შეხვედრებში.

ამავდროულად, სკოლის ადმინისტრაციას ევალება მოსწავლის სასწავლო პროცესის მონიტორინგი. ჯგუფის შეხვედრებზე ადმინისტრაციის წევრი ყურადღებით უნდა განიხილავდეს მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს და მიღწეულ შედეგებს, გარკვეული პერიოდულობით ესწრებოდეს გაკვეთილებს, ხვდებოდეს მშობლებს და ამგვარად აკონტროლებდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას; გამოთქვამდეს თავის შეფასებებს ისე ჯგუფის შეხვედრებზე.

6.1.3. მასწავლებლის როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებაში

უდავოა, რომ მასწავლებლის როლი გადამწყვეტია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებაში. ამ პროცესში თანაბარ პასუხისმგებლობას იღებს ყველა პედაგოგი. გაუმართლებელია, რომელიმე მასწავლებელმა პასიურობა გამოიჩინოს და თავი აარიდოს მოსწავლისთვის სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად დაგეგმვას.

თუ მასწავლებელს სხვადასხვა კლასში ორი ან მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ჰყავს, დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე ისე ჯგუფის წევრიც იყოს.

მასწავლებლის როლი თანაბრად მნიშვნელოვანია მოსწავლის სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

ხშირ შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საწყის ეტაპზე, სწორედ მასწავლებელი ახდენს პირველად მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამის რეაგირებას: საკითხში უკეთ გასარკვევად იგი მიმართავს მოსწავლის მშობელს, კლასის დამრიგებელს, სპეციალისტს და/ან ადმინისტრაციას (ეს იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება სასწავლო პროცესის დაწყებამდე არ იყო ცნობილი ან მშობელს არ ჰქონდა გაცხადებული ამის შესახებ). თუ ბავშვს დაწყებით კლასებში სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ექმნება, პირველი ამას დამრიგებელი ამჩნევს, ის, ვინც ძირითად საგნებს ასწავლის და ყველაზე დიდ დროს ატარებს მოსწავლესთან.

მოსწავლის განსაკუთრებული საჭიროებების პირველადი იდენტიფიცირების შემდეგ, სიტუაციაში უკეთ გასარკვევად და ადეკვატური რეაგირებისათვის, მასწავლებელმა თავისი დაკვირვება და ვარაუდი ყველაზე უნინიკლუზიური განათლების სპეციალისტს (სკოლაში ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან მოსწავლის დამრიგებელს უნდა გაუზიაროს.

სწორედ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და/ან მოსწავლის დამრიგებელი არიან უფლებამოსილი, მასწავლებლის ვარაუდის მოსმენის შემდეგ მიმართონ მოსწავლის მშობელს: საქმის ვითარება გააცნონ მას და, ნებართვის მიღების შემდეგ, დაგეგმონ შესაბამისი ღონისძიებები, უზრუნველყონ მოსწავლის სიღრმისეული შეფასება, ისე ჯგუფის ფორმირება, ინდივიდუალური გეგმის შედგენა და ა. შ.

მშობლის ინფორმირების გარეშე დაუშვებელია სპეციალისტმა აწარმოოს მოსწავლის სიღრმისეული შეფასება, ისე ჯგუფის ფორმირება, შეხვედრა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და გეგმით სწავლება.

თუ მასწავლებელი, მოსწავლის თავისებურებებიდან გამომდინარე, გადაწყვეტს, რომ მიმართოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოსწავლის მშობელს, სასურველია, თავისი ვარაუდი წერილობითი ფორმით თანამიმდევრულად ჩამოაყალიბოს. მან მშობლისა და კოლეგებისთვის მისაღებ ენაზე, დეტალურად უნდა აღწეროს სასწავლო პროცესში და არაფორმალური ურთიერთობებისას მოსწავლის მიერ გამოვლენილი თავისებურებები. კერძოდ, მასწავლებლის შეფასებაში უნდა აისახოს:

- მოსწავლის მიღწევის დონე კონკრეტულ საგნობრივ პროგრამაში;
- მონაწილეობა სასწავლო აქტივობებში (ზეპირი, წერილი, ჯგუფური, ინდივიდუალური და სხვ.);
- ქცევა გაკვეთილზე;
- კომუნიკაცია თანატოლებთან, მასწავლებელთან;
- სხვა გასათვალისწინებელი ფაქტორები.

(მასწავლებლის შეფასების ფორმა მოცემულია წინამდებარე პუბლიკაციის VIII თავში – „მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება და პირადი საქმის წარმოება“).

მოსწავლის თავისებურებების აღწერისას მასწავლებელი უნდა იყოს ობიექტური და არ არღვევდეს ეთიკურ ნორმებს.

მშობელთან შეხვედრის დროს კლასის დამრიგებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და/ან მასწავლებელი განიხილავენ მოცემულ ინფორმაციას და მშობელთან ერთად სახავენ რეაგირების გზებს.

მას შემდეგ, რაც მშობელი თანხმობას განაცხადებს მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეულ შეფასებაზე, პროცესში ერთვება მოსწავლის ყველა პედაგოგი. თითოეული ვალდებულია წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა მოზარდის თავისებურებების შესახებ.

შესაძლებელია, ეს დასკვნები სრულიად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან: თუ მოსწავლეს ერთ გაკვეთილზე ექმნება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, მეორეზე კი – არა, მასწავლებელთა შეფასებებიც არ დაემთხვევა. გამომდინარე აქედან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყველა მასწავლებელმა წარმოადგინოს თავისი შეფასება და თანამიმდევრული დასკვნა, აღწეროს მოსწავლის თავისებურებები და გამოთქვას ვარაუდი, რამდენად საჭიროებს მოზარდი კონკრეტულ სასწავლო პროგრამაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

მასწავლებელთა დასკვნები განიხილება ისე ჯგუფის შეხვედრაზე. აქვე ხდება მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ აზრთა გაზიარება: რაში ემთხვევა მათი შეხედულებები, რაში – არა. თუ განსხვავება მნიშვნელოვანია, საჭიროა გაირკვეს, რა არის ამის მიზეზი: საგნის სპეციფიკა, სასწავლო აქტივობები, სწავლების სტილი თუ სხვა ფაქტორები. გარდა მსჯელობისა, მასწავლებლებმა ერთმანეთსა და სხვა სპეციალისტებს (ფსიქოლოგს, სპეც. მასწავლებელს, მშობელს) უნდა გაუზიარონ თავანთი გამოცდილება და განსაზღვრონ მოსწავლისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გარემო და სწავლების სტრატეგიები.

შეხვედრებზე გუნდურად განისაზღვრება, სჭირდება თუ არა მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში. თუ მოსწავლე ყველა საგანში საჭიროებს ინდივიდუალურ პროგრამას, ისე ჯგუფში ერთიანდება ყველა მასწავლებელი, და თუ მხოლოდ კონკრეტულ საგნებში, გუნდში მხოლოდ ამ საგნების მასწავლებლები რჩებიან.

შემდგომ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ საგნის მასწავლებელმა განსაზღვროს სასწავლო მიზნები და შესაბამისი სასწავლო აქტივობები. რასაკვირველია, ხშირად მასწავლებლები კონსულტაციისთვის სკოლის ინკლუზიური განათლების სპეციალისტს (ფსიქოლოგს, სპეცმასწავლებელს და სხვ.) მიმართავენ, რომელიც მათთან ერთად განიხილავს სწავლების სხვადასხვა სტრატეგიას და რჩევებს აძლევს მოსწავლისთვის ყველაზე ეფექტიან სტრატეგიებთან დაკავშირებით.

თუმცა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი თავად იყოს აქტიური საგნობრივი პროგრამის ფარგლებში მიზნების შერჩევისა და/ან ჩამოყალიბების პროცესში. კონკრეტული მასწავლებელი შესაბამისი დარგის სპეციალისტია, მან უკეთ იცის თავისი საგნობრივი პროგრამა და მოსწავლის ცოდნის დონის განსაზღვრის შემდეგ უშეცდომოდ შეუძლია შემდგომი მიღწევადი მიზნის განსაზღვრა. შესაბამისად, გაუმართლებელია დღეს საქართველოს საჯარო სკოლებში გავრცელებული პრაქტიკა, როცა მასწავლებელი ელოდება, როდის განსაზღვრავს ვიღაც სხვა მის საგანში მოსწავლის სასწავლო მიზანს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლოა მასწავლებელმა სპეციალისტისა (ფსიქოლოგის, სპეცმასწავლებლის და სხვ.) და კოლეგისგან მიიღოს ფასეუ-

ლი მხარდაჭერა სასწავლო სტრატეგიების განსაზღვრის პროცესში, მაგრამ სასწავლო მიზნები და აქტივობები თავად უნდა განსაზღვროს.

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრის შემდეგ მასწავლებლის წინაშე დგება უშუალო ამოცანა: მოსწავლის სწავლება და მიზნის მიღწევის უზრუნველყოფა. ამისათვის პედაგოგმა ყოველდღიურად უნდა განახორციელოს შესაბამისი რეკომენდაციები პრაქტიკაში და ნაახალისოს მოსწავლის ჩართულობა სასწავლო აქტივობებში. საამისოდ მას შეიძლება სპეციფიკური სასწავლო დავალებების შერჩევა და მასალის მომზადებაც კი დასჭირდეს.

სწავლების პროცესში მასწავლებლის მოვალეობაა, ყურადღებით აკვირდებოდეს მოსწავლის პროგრესს, აფასებდეს მოზარდის მიღწევის დონეს დასახულ მიზნებთან დაკავშირებით, აღწერდეს მოსწავლის შედეგებს და დასკვნას წარადგენდეს გუნდურ შეხვედრებზე.

მოსწავლის სწავლების პროცესში მასწავლებელი აუცილებლად უნდა აანალიზებდეს, რომელი სტრატეგია აღმოჩნდა უფრო ეფექტიანი და წარმატებული. ამავდროულად, რეკომენდებულია, კოლეგებთან განიხილავდეს როგორც თავის, ისე მათ მიღწევებს, ადარებდეს ერთმანეთს გამოყენებულ სტრატეგიებს და ეფექტიან მიდგომებს ნერგავდეს პრაქტიკაში.

სასურველია, მასწავლებლები რამდენჯერმე შეიკრიბონ სასწავლო წლის განმავლობაში, გააცნონ ერთმანეთსა და მშობელს თავიანთი შედეგები, ახალი გამოწვევები და განსაზღვრონ ახალი სტრატეგიები. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და, შესაბამისად, გაუმართლებელია, თუ რომელიმე მათგანი თავს აარიდებს გუნდურ შეხვედრებს.

მოსწავლესთან დაკავშირებული ახალი გამოწვევების განსახილველად და რეკომენდაციების მისაღებად, გარდა შეხვედრებისა, მისაღებია არაფორმალური ურთიერთობების გამოყენება. თუმცა, კერძო საუბრები ვერ ჩაანაცვლებს გუნდური შეხვედრების მნიშვნელობას, რადგან მსგავს შეკრებებზე შესაძლებელია სხვათა გამოცდილების გაზიარება და კოორდინაციის დამყარება.

6.1.3 ინკლუზიური განათლების სპეციალისტის როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებაში

უდავოა, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტს – ფსიქოლოგს და/ან სპეცმასწავლებელს – შეუძლია მნიშვნელოვანი და პოზიტიური როლი შეასრულოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების პროცესში. ასეთ სპეციალისტს ღრმა კომპეტენცია უნდა ჰქონდეს ინკლუზიური განათლების სფეროში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინოს მშობელს, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებაში.

განვიხილოთ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის კომპეტენციები:

- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი იცნობს სხვადასხვა სახის დარღვევას; იცის, რა გავლენას ახდენს ეს დარღვევები მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა იცის მოსწავლის განვითარებაზე მოქმედი ინდივიდუალური და გარემო ფაქტორები; იცის, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ ფაქტორებმა სსსმ მოსწავლის სწავლასა და განვითარებაზე;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ფლობს პროფესიულ ცოდნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდოლოგიების, სწავლების სტრატეგიებისა და დახმარების ტექნოლოგიების შესახებ;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ფლობს საბაზო აკადემიური უნარების (წერა, კითხვა და ანგარიში) განვითარების მეთოდებსა და სტრატეგიებს, სსსმ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ფლობს და იყენებს პრობლემური ქცევის მართვის სტრატეგიებს; შეუძლია, დაეხმაროს საგნის მასწავლებელს/ებს, სსსმ მოსწავლის ქცევის და ზოგადად, კლასის მართვაში;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ქმნის და/ან ეხმარება საგნის მასწავლებელს/ებს სსსმ მოსწავლისათვის ადეკვატური სასწავლო გარემოს შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სენსო-მოტორულ, კოგნიტიურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას, სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისებას;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შეუძლია, ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმის აკომოდაცია/ადაპტაცია, სსსმ მოსწავლის საჭიროებებისა და სასწავლო ინტერესების შესაბამისად;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ნიშნების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან ამ რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლის დროულ მიმართვას;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი აფასებს მოსწავლის სასწავლო გარემოს, სწავლისა და ქცევის სირთულეებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტს პიროვნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე შეუძლია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა და არგუმენტირებული დასაბუთება;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შეუძლია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მომუშავე გუნდში წარმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის/გადახედვის პროცესი;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შეუძლია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგი;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი საგნის/საგნობრივი ჯგუფის მას-

- წავლებელთან, დამრიგებელთან, სხვა სპეციალისტებთან და მშობლებთან/მეურვესთან ერთად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფთან (რესურსოთაში, კლასში ან კლასის გარეთ), მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარებისა თუ ქცევის გაუმჯობესების მიზნით;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ასწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს წერას, კითხვასა და ანგარიშს;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი თანამშრომლობს საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, კოორდინირებას უწევს მათ მუშაობას მოსწავლესთან;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ეფექტიანად თანამშრომლობს სსსმ მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან; აცნობს მშობელს/მეურვეს, აღმზრდელს ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებებს; აძლევს მათ რეკომენდაციებს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე დამატებითი ღონისძიებების მისაღებად;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელს/მეურვეს, აქტიურად ჩაერთოს მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ითვალისწინებს მშობლის/მეურვეს, ბავშვის ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში, ესწრება გაკვეთილს და სსსმ მოსწავლეს განუმარტავს საგნის მასწავლებლის ინსტრუქციებს, ეხმარება მას დავალების შესრულებაში;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის დაკვირვების შედეგად, რეკომენდაციას უწევს საგნის მასწავლებელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისა და ქცევის მართვის სტრატეგიებთან დაკავშირებით;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ეფექტიანად თანამშრომლობს სკოლის ადმინისტრაციასთან, სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე, დამატებითი მატერიალური და ადამიანური რესურსის ჩართვის მიზნით.

მიუხედავად ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მნიშვნელოვანი როლისა (რასაც მოცემული ცხრილი ნათლად ასახავს), დაუშვებელია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მხოლოდ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ვალდებულებად მივიჩნიოთ და მოსწავლის სწავლებასთან დაკავშირებული ყველა სახის პასუხისმგებლობა მას დავაკისროთ. სამწუხაროდ, ეს გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოს საჯარო სკოლებში: მასწავლებლები ხშირად მთელ ვალდებულებას ინკლუზიური განათლების სპეციალისტს აკისრებენ. გვახსოვდეს, ინკლუზიური განათლების

სპეციალისტი ვერ ჩაანაცვლებს მასწავლებელს. სსსმ მოზარდთა სასწავლო პროცესში წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია ორივე მხარის მონაწილეობა. მასწავლებელი საგნობრივი პროგრამის ექსპერტია, მან იცის ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოსწავლემ უნდა აითვისოს, იცის ამ საკითხების ახსნისა და სწავლების ხერხები, შესაბამისად, მან უნდა ასწავლოს მოსწავლეს; ინკლუზიური განათლების სპეციალისტი კი კომპეტენტურია სხვადასხვა ტიპის დარღვევებში, შეუძლია აღნიშნული დარღვევების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა და მასწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა, თუ როგორ ასწავლოს მოსწავლეს.

იმისათვის, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის როლი სწორად იქნეს განსაზღვრული და გამოყენებული, სკოლის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაოს აღწერილობა და მასთან ერთად განიხილოს. სამუშაოს აღწერილობას უნდა იცნობდნენ სხვა მასწავლებლები, რათა ადეკვატური მოლოდინი ჰქონდეთ და მხოლოდ საჭირო დროს მიმართონ სპეციალისტს.

მთავარია, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სკოლაში ყველა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ისე ჯგუფის წევრი იყოს.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტის როლი მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეთა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირებისას, მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგისას. განვიხილოთ აღნიშნული საკითხი:

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირველადი იდენტიფიცირების ეტაპზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტს მიმართავს მოსწავლის მშობელი, კლასის დამრიგებელი ან რომელიმე მასწავლებელი. მშობელი, ხშირ შემთხვევაში, თავადვეა მოტივირებული, გააცნოს სპეციალისტს თავისი შვილის ამა თუ იმ დიაგნოზით თუ გარემოებით გამოწვეული საგანმანათლებლო სირთულეები და მოითხოვოს სასწავლო პროცესში მათი გათვალისწინება. თუ მშობლის მიერ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება გაცხადებული არ არის, მაშინ ინკლუზიური განათლების სპეციალისტს მიმართავს მოსწავლის დამრიგებელი ან რომელიმე სპეციალისტი. ისინი უზიარებენ მას თავიანთ გამოცდილებას და ვარაუდს მოსწავლის პრობლემებთან დაკავშირებით.

მასწავლებელთან და კლასის დამრიგებელთან გასაუბრების საფუძველზე, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი დამოუკიდებლად ან დამრიგებელთან ერთად გეგმავს შეხვედრას მოსწავლის მშობელთან. მშობელთან შეხვედრისას ინკლუზიური განათლების სპეციალისტი განიხილავს მოსწავლის მიერ გამოვლენილ ან სწავლის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს. მშობლისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, იგი ორგანიზებას უწევს მოსწავლის სიღრმისეულ შეფასებას.

მოსწავლის სიღრმისეული შეფასების ეტაპზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი გეგმავს შემდეგ ღონისძიებებს:

- შეხვედრას მასწავლებლებთან მოსწავლის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების მიზნით. აღნიშნულ შეხვედრაზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ისმენს მასწავლებლების აზრს მოსწავლის შესახებ და აზუსტებს მათ ვარაუდს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის თაობაზე; აუცილებლობის შემთხვევაში, მითითებას აძლევს დამატებითი დაკვირვებისა და შეფასების წარმოების თაობაზე. ითხოვს შეფასების და დასკვნის წერილობით ჩამოყალიბებას;

- შეხვედრას მოსწავლესთან მისი სიღრმისეული შეფასების მიზნით. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მხრიდან მოსწავლის სიღრმისეული შეფასება გულისხმობს ობიექტური ინფორმაციის შეგროვებას შემდეგ სფეროებზე: აკადემიური უნარები (წერა-კითხვა, თხრობა, ანგარიში), შემეცნებითი უნარები (ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება), მეტყველება და კომუნიკაცია, მსხვილი და ნატიფ-მოტორული უნარები, ქცევა. აღნიშნული სფეროების შესაფასებლად, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი შეიძლება ინდივიდუალურად ხვდებოდეს მოსწავლეს ან აკვირდებოდეს მის ქცევასა და ჩართულობას გაკვეთილზე, ან დასვენებებზე. შესაფასებლად სპეციალისტი იყენებს სხვადასხვა სტანდარტიზებულ ტესტებს ან კითხვარებს. ამავდროულად, დასაშვებია, სიღრმისეული შეფასებისთვის სპეციალისტი მოსწავლეს რამდენჯერმე შეხვდეს.

შეფასების შედეგები და შესაბამისი დასკვნა ფორმდება წერილობით, სპეციალურ გრაფაში, რომელსაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი განიხილავს მოსწავლის მშობელთან და მასწავლებლებთან ერთად (ინკლუზიური განათლების სპეციალისტის შეფასების გრაფა მოცემულია აღნიშნული პუბლიკაციის VIII თავში - „მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება და პირადი საქმის წარმოება“). განხორციელებული შეფასების საფუძველზე იგეგმება მოსწავლის მიღწევადი და რეალისტური სასწავლო მიზნები. მოსწავლის შეფასების შედეგები მისი პირადი საქმის განუყოფელი ნაწილი ხდება;

- დამატებით შეხვედრას მშობელთან მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. ინკლუზიური განათლების სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანი იქნება ინფორმაციის მიღება მოსწავლის სოციალური და საგანმანათლებლო გარემოს, აღზრდისა და ქცევის მართვის თავისებურებების შესახებ.

მოსწავლის შესახებ მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვების შემდეგ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს ინფორმაციის შეჯერებას ისე ჯგუფის შეხვედრაზე (რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ყველა მასწავლებელი, მშობელი და, შესაძლებელია, მოსწავლეც ესწრებოდეს) და განყვეტილების მიღებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თაობაზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ეტაპზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, მოსწავლის შესაძლებლობების ზედმინვენიტ ცოდნის საფუძველზე, ეხმარება მასწავლებლებს შესაბამისი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. იგი აჯერებს საკუთარ და სხვა მასწავლებლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას და აზუსტებს სას-

წავლო პროგრამებს, რომელთა ფარგლებშიც განისაზღვრება რეკომენდებული ინდივიდუალური მიზნები. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ხაზგასმულად წარმოაჩენს მოსწავლის ძლიერ მხარეებს, რომლებსაც უნდა დაეყრდნონ მასწავლებლები მოზარდის სწავლებისას და ყურადღებას ამახვილებს სუსტ მხარეებზე, რომელთა გათვალისწინებაც და/ან გაძლიერებაც უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ცდილობს სხვადასხვა საგნის მასწავლებლის მიერ მოსწავლისთვის განსაზღვრული დატვირთვის დაბალანსებას, რათა მიზნები თითოეულ სასწავლო პროგრამაში იყოს მიღწევადი, მოსწავლე ადეკვატურად იყოს დატვირთული, ხოლო შერჩეული სწავლების და ქცევის მართვის სტრატეგიები – შეთანხმებული.

ამავდროულად, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სხვა მასწავლებლებთან ერთად განსაზღვრავს მოსწავლის სწავლების პროცესში საკუთარ როლს. მოზარდის თავისებურებიდან გამომდინარე, სპეციალისტმა შეიძლება დაგეგმოს მოსწავლესთან ინდივიდუალური მეცადინეობები, მასწავლებლის ასისტირება გაკვეთილზე, მოსწავლისთვის დამატებითი ინსტრუქციების მიწოდება და მხარდაჭერა კლასში, მოსწავლის მეთვალყურეობა დასვენებაზე და ა. შ.

ისგ ჯგუფის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ფორმდება წერილობით, ოქმის სახით. ის მოსწავლის პირადი საქმის ნაწილი ხდება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, შესაძლებელია, უშუალოდ იყოს ჩართული ან კონსულტაციას უწევდეს მასწავლებლებს მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ ეტაპზე ინკლუზიური განათლების სპეციალისტს ევალება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის განხილვის მიზნით დაგეგმოს და მოაწყოს ინდივიდუალური (ფორმალური ან არაფორმალური) ხასიათის გასაუბრებები მასწავლებლებთან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მიზანმიმართულად განიხილავს მასწავლებელთა მიერ წარმართულ სასწავლო პროცესს და აფასებს მოსწავლის პროგრესს. ამისათვის ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა საშუალება:

- გაკვეთელზე დასწრება მოსწავლესა და მასწავლებელზე დაკვირვების მიზნით;
- მოსწავლის მიმდინარე შეფასებების (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) გაცნობა;
- მასწავლებელთან გასაუბრება;
- მშობელთან გასაუბრება;
- მოსწავლის გადაფასება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგის პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი აფასებს, რამდენად შეესაბამება მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს, რამდენად ადეკვატურად იყენებს მასწავლებელი განსაზღვრულ სტრატეგიებს, რამდენად პროგრესირებს მოსწავლე დასახულ მიზნებთან დაკავშირებით და ა. შ.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა მონიტორინგი შეიძლება განახორციელოს ყველა გაკვეთილზე (მაგ., ერთი სასწავლო დღე დაუთმოს კონკრეტული მოსწავლის სასწავლო პროცესის მონიტორინგს), ან შერჩევით.

მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა აწარმოოს მონიტორინგთან დაკავშირებული ჩანაწერები და ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილოს გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუ ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა პერიოდულად ექვემდებარება ცვლილებებს. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე ინარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

6.1.4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი

საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების მიმდინარეობის მხარდასაჭერად და კონკრეტული მოსწავლეების საგანმანათლებლო საკითხების გადასაწყვეტად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განსაზღვრა სპეციალისტთა მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც მონაწილეობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესში. აღნიშნულ გუნდს მიმართავს საჯარო სკოლა ან მშობელი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობა გადამწყვეტია, თუ:

- კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჯარო სკოლა შიდა რესურსით ვერ უმკლავდება გამოწვევებს, რომლებიც სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესის წარმართვას სჭირდება. ამ შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი სკოლის ადმინისტრაციას, ინკლუზიური განათლების სპეციალისტს და მასწავლებლებს აძლევს რჩევებს. მან საკითხის უკეთ გასარკვევად შესაძლოა დამატებით შეაფასოს მოსწავლე;
- სკოლას არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ამ შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი ნაწილობრივ ითავსებს სკოლის ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ფუნქციას და უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას, მასწავლებლებთან ერთად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების დადგენას, მონაწილეობს სასწავლო მიზნების შერჩევაში, სასწავლო სტრატეგიების განსაზღვრაში და სხვ.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ჯერ არ არის სკოლაში ჩარიცხული. ამ შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლეს, კონსულტაციას უწევს მშობელს და ეხმარება საჯარო სკოლის შერჩევაში, ინფორმაციას აწვდის სკოლას მოსწავლის შეფასების შედეგების შესახებ და აძლევს რჩევებს ოპტიმალური საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად.

სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით.

მულტიდისციპლინური გუნდი შეფასების შედეგად ქმნის შეფასების ანგარიშს – ნერილობით დოკუმენტს, რომელიც ასახავს გუნდის წევრის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს და მოიცავს ინფორმაციას შესაბამისი საგანმანათლებლო ფორმის/გარემოსა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანშეწონილობის შესახებ; ასევე რეკომენდაციებს მშობლებისა და სკოლის წარმომადგენლებისთვის.

შეფასების ანგარიში დათარიღებული და ხელმოწერილია შემფასებელი პირის მიერ. ანგარიშის ერთი ასლი აუცილებლად გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და საჭიროებიდან გამომდინარე – სკოლას.

ამავდროულად, მულტიდისციპლინური გუნდი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესის მონიტორინგი.

ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი და/ან ოკუპაციური თერაპევტი.

გუნდის ყველა წევრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს და განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესს, საჭიროების შემთხვევაში კი დამატებითი რეკომენდაციისთვის მიმართავს გუნდის სხვა სპეციალისტს.

განვიხილოთ გუნდის თითოეული წევრის ვალდებულება:

- **მულტიდისციპლინური გუნდის ფსიქოლოგი** – შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიული ცოდნა და მომზადება მოსწავლის შემეცნებითი, აკადემიური, ემოციური და ქცევითი საჭიროებების შეფასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სფეროში;
- **მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალური მასწავლებელი** – შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიული ცოდნა და მომზადება მოსწავლის აკადემიური და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საჭიროებების შეფასების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების მეთოდების განსაზღვრისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სფეროში;
- **მულტიდისციპლინური გუნდის ოკუპაციური თერაპევტი** – შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიული ცოდნა და მომზადება მოსწავლის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფუნქციური, აკადემიური და მოტორული საჭიროებების შეფასების, სპეციალური დამხმარე საშუალებების/გარემო ადაპტაციების შერჩევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების სფეროში.

თავი VII მიზნების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

მიზნის დასახვის პარალელურად, დროსა და რესურსებთან ერთად, განისაზღვრება გარემო, სადაც განხორციელდება მიზნის მიღწევაზე მუშაობა (გაკვეთილზე, სპორტულ დარბაზში, სახლში, კაფეში, რესურსოთახში სპეციალურ პედაგოგთან თუ სხვ.).

სადაც არ უნდა ხორციელდებოდეს მუშაობა და როგორი განსხვავებული და უნიკალურიც არ უნდა იყოს სსსმ მოსწავლისთვის განსაზღვრული ინდივიდუალური მიზანი, უნდა გვახსოვდეს: **მიზანი არ უნდა გახდეს მოსწავლის თანატოლებისა და კლასში მიმდინარე პროცესებისგან გარიყვის მიზეზი.**

ამის გათვალისწინება განსაკუთრებით საჭიროა გაკვეთილზე, რომელსაც მასწავლებელი გეგმავს და ატარებს სრულიად განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს კლასისა და სსსმ მოსწავლის მიზნები ერთმანეთისგან განსხვავდება, მასწავლებელი თანაბრად უნდა ზრუნავდეს მათს მიღწევაზე.

მსგავსი გაკვეთილის ჩატარებას თან ახლავს არაერთი საშიშროება:

- ✓ შესაძლოა, მოხდეს იმ სსსმ მოსწავლის იგნორირება, რომელსაც კლასისგან განსხვავებული სასწავლო მიზნები აქვს და გაკვეთილი ჩატარდეს მთელი კლასისთვის დაგეგმილი ფორმატით, რის შედეგადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ახალს ვერაფერს შეიძენს ან მინიმალურ გამოცდილებას მიიღებს გაკვეთილიდან.
- ✓ შესაძლოა, მასწავლებელმა ძირითადი დრო და რესურსი დაუთმოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს და ყურადღება მოაკლოს კლასს, რაც სასწავლო პროცესს ჩაშლის საშიშროების წინაშე დააყენებს.
- ✓ შესაძლოა, მასწავლებელმა გარკვეული დრო დაუთმოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლესთან კლასში ინდივიდუალურ მუშაობას, მაგრამ ეს აქტივობები არ იყოს თანხვედნილი კლასთან, ანუ მასთან მუშაობა წარმოებდეს კლასში, მაგრამ კლასისგან სრულიად გარიყულად და განსხვავებული ფორმატით.

ზემოთ ჩამოთვლილი საშიშროებების თავიდან ასაცილებლად სასურველია გაკვეთილი წინასწარ დაიგეგმოს და ამაში საგნის მასწავლებელთან ერთად სკოლის ფსიქოლოგი ან სპეციალური პედაგოგი მონაწილეობდეს. წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული, მოცემულ გაკვეთილზე რომელი მიზნის მიღწევაზე იმუშავებს კლასი, რომელზე – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; რა დრო დაეთმობა სსსმ მოსწავლესთან ინდივიდუალურ მუშაობას (თუ იგეგმება) და რა დრო გამოიყოფა ჯგუფური მუშაობისთვის; რა დამატებითი რესურსი/მასალა ან სტრატეგია იქნება საჭირო სსსმ მოსწავლისთვის; რამდენად გამოადგება ეს სტრატეგია ან რესურსი მთელ კლასს და ა. შ.

კარგად დაგეგმილი გაკვეთილის შემთხვევაში, შესაძლებელია, სასწავლო პროცესი ისე წარიმართოს, რომ არც სსსმ მოსწავლემ იგრძნოს თავი გარიყულად და გაკვეთილიც საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდეს ყველა მოსწავლისთვის.

რამდენიმე გაკვეთილის მაგალითზე განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება ინდივიდუალური მიზნის ინტეგრირება გაკვეთილზე.

მოვიყვანოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ერთ-ერთ შედეგს VII კლასისთვის:

მიმართულება: ფიზიკური მოვლენები

ბუნ.VII.8. მოსწავლეს შეუძლია ნივთიერების ატომურ-მოლეკულური სტრუქტურის აღწერა:

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს მოვლენებს, რომლებიც მიაწინებენ ნივთიერების ატომურ-მოლეკულურ აგებულებას;
- განასხვავებს მყარ, თხევად და აირად მდგომარეობებს, მათი თვისებებისა (მოცულობისა და ფორმის შენარჩუნება) და ატომურ-მოლეკულური სტრუქტურის მიხედვით, წარმოადგენს მოდელის სახით;
- აკავშირებს ნივთიერების სიმკვრივეს მის პრაქტიკულ გამოყენებასთან;
- ატარებს ცდებს და იკვლევს დიფუზიის მოვლენას სითხეებში, გამოიტანს შესაბამის დასკვნებს;
- იკვლევს ტემპერატურის გავლენას დიფუზიის სიჩქარეზე, გამოიტანს შესაბამის დასკვნებს;
- აკვირდება დიფუზიის მოვლენას და მსჯელობს მისი როლის შესახებ ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში, ასახელებს მაგალითებს;
- ადეკვატურად იყენებს შესაბამის ცნებებს და ფორმულებს ამოცანების ამოსახსნელად.

თორნიკე საშუალო ხარისხის ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეა. მას უჭირს აბსტრაქტული აზროვნება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა საგნებსა და მოვლენებს შორის. იგი მეშვიდე კლასშია და თანატოლებთან ერთად სწავლობს ბუნებისმეტყველებას.

მიზანი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული ბუნებისმეტყველების საგნობრივი პროგრამით VII კლასისთვის, თორნიკეს შემთხვევაში საჭიროებს მოდიფიცირებას.

მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მიზანი ბუნებისმეტყველებაში თორნიკესთვის შეიძლება ფორმულირდეს შემდეგნაირად:

თორნიკემ იცის, რომ ყოველი ნივთიერება უმცირესი (თვალთ უხილავი) ნაწილაკებისგან – ატომებისა და მოლეკულებისგან – შედგება და ეს უმცირესი ნაწილაკები განაპირობებს ყოველი ნივთიერების თვისებებს.

არა მხოლოდ მიზანი, არამედ ინდიკატორებიც საჭიროებს გამარტივებას და შემცირებას, მაგ.: პირველი ორი ინდიკატორი („აღწერს მოვლენებს, რომლებიც მიაწინებენ ნივთიერების ატომურ-მოლეკულურ აგებულებას“ და „ განასხვავებს მყარ, თხევად და აირად მდგომარეობებს, მათი თვისებებისა (მოცულობისა და ფორმის შენარჩუნება) და ატომურ-მოლეკულური სტრუქტურის მიხედვით, წარმოადგენს მოდელის სახით“) საჭიროებს გამარტივებას, რადგან თორნიკეს მეტყველების დარღვევის გამო არ შეუძლია აღწეროს მოვლენები და წარმოადგინოს მათი ატომურ-მოლეკულური სტრუქტურა მოდელის სახით. ინდიკატორი თორნიკეს შემთხვევაში ასეთი იქნება:

- თორნიკე განასხვავებს ნივთიერებებს სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში (მყარი, თხევადი, აირადი);
- აკავშირებს ნივთიერებების აგრეგატულ მდგომარეობებს მოლეკულების ფოტოებთან და მოდელებთან;
- აკავშირებს ნივთიერების სიმკვრივეს მის პრაქტიკულ გამოყენებასთან;
- ატარებს მარტივ ცდებს და აკვირდება დიფუზიის მოვლენებს სითხეებში, შეუძლია უპასუხოს შეკითხვებს ცდასთან დაკავშირებით;
- იცის ტემპერატურის გავლენა დიფუზიაზე;
- ასახელებს დიფუზიის მაგალითებს ყოფა-ცხოვრებიდან ან მიუთითებს ფოტოებზე.

ზემოთ აღწერილ მიზნებზე მუშაობა, ბუნებრივია, ხდება კლასში, გაკვეთილზე. თითოეულ გაკვეთილს აქვს თავისი მიზნები, რომლებსაც, ბუნებრივია, კლასი ეტაპობრივად მიჰყავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგამდე. მაგ., VII კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოში IV თავი ეძღვნება დიფუზიას. გაკვეთილის მიზანია:

- მოსწავლეებმა შეძლონ ცდების ჩატარება დიფუზიის მოვლენების შესასწავლად; გააანალიზონ და გააკეთონ შესაბამისი დასკვნები, იმსჯელონ მის ხელშემწყობ და შემაფერხებელ ფაქტორებზე;
- დააკვირდნენ და იმსჯელონ დიფუზიის როლის შესახებ ბუნებასა და ყოფა-ცხოვრებაში, მოიყვანონ მაგალითები.

იგივე მიზნები თორნიკესთვის შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირდეს:

- თორნიკე შეძლებს ჩაატაროს ცდები დიფუზიის მოვლენების შესასწავლად და ჩამოთვალოს, როგორ იცვლება ნივთიერებათა თვისებები დიფუზიის შემდეგ;
- დაასახელოს დიფუზიის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები;
- დაასახელოს დიფუზიის მაგალითები ყოფა-ცხოვრებიდან ან მიუთითოს ფოტოებზე.

მიზნების განსაზღვრის შემდეგ მასწავლებელი წინასწარ იმარაგებს მასალას, რომელიც გაკვეთილზე დასჭირდება:

სხვადასხვა ზომის ჭურჭელი, წყალი, შაქარი, სალბავი, პლასტილინი, ფქვილი ...

ასევე განისაზღვრება სწავლების სტრატეგიები, რომლებსაც მასწავლებელი გამოიყენებს გაკვეთილზე დასახული მიზნების მისაღწევად:

იმისთვის, რომ თორნიკეს გაუადვილდეს სასწავლო პროცესში ჩართვა და დასახული მიზნების მიღწევა, მოცემულ გაკვეთილზე განსაკუთრებით ინტენსიურად იქნება გამოყენებული მულტისენსორული და კეთებით სწავლება. მოკლედ განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

მულტისენსორული სწავლება – სწავლების დროს შეძლებისდაგვარად გამოყენებულია ინფორმაციის მიწოდება მრავალფეროვანი გზით, რათა ინფორმაცია აღქმული იყოს ყველა სენსორული არხის საშუალებით. მოსწავლეს საშუალება ეძლევა ინფორმაცია მოისმინოს, დაინახოს, შეეხოს, გემო გაუსინჯოს, ყნოსვით შეიგრძნოს (თუ ეს შესაძლებელია); შეძლებისდაგვარად ყველა სენსორული არხის ჩართვა შეუდარებლად ზრდის მოსწავლის მიერ ინფორმაციის აღქმის და გაგების ალბათობას, რადგან შეგრძნების სხვადასხვა ორგანოს საშუალებით ერთდროულად აღქმული ინფორმაცია თავის ტვინში ინტეგრირდება და ერთმანეთს ავსებს.

კეთებით სწავლება – ეს მეთოდი შემუშავებულია ამერიკელი ფსიქოლოგის, კარლ როჯერსის მიერ. მეთოდი ხაზს უსვამს მოსწავლის გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობას, როდესაც მოსწავლე სწავლის პროცესში თავად არის აქტიური და ავლენს ინიციატივას, შესაბამისად, სწავლობს კეთებით.

იმისთვის, რომ თორნიკემ გაიგოს, რა ფენომენია დიფუზია, აუცილებელია იცოდეს, რომ ყველა ნივთიერება უმცირესი ნაწილაკებისგან (ატომებისა და მოლეკულებისგან) შედგება, რაც მოცემული იყო პირველ გაკვეთილში. თორნიკემ წინა გაკვეთილზე და სპეციალურ პედაგოგთან ინდივიდუალური მუშაობის დროს შეიტყო, რომ ყოველი ნივთიერება იყოფა უმცირეს ნაწილაკებად და ამ უმცირეს ნაწილაკებს, რომლებიც უჩინარია და მხოლოდ მიკროსკოპში ჩანს, ატომები და მოლეკულები ჰქვია. დღეს, როგორც უკვე ვთქვით, თორნიკე მთელ კლასთან ერთად სწავლობს დიფუზიის მოვლენას.

აქტივობები გაკვეთილზე – მასწავლებელი გაკვეთილზე, ფორმალური პროცედურების შემდეგ (მისაღმება, გამოკითხვა და ა.შ.), იწყებს ახალი მასალის ახსნას ტვინის შტურმით. ჰაერში უშვებს სუნამოს ან აეროზოლს და სთხოვს მოსწავლეებს, გააანალიზონ, რა მოხდა. შემდეგ დაფაზე წერს ბავშვების მოსაზრებებს.



მოსაზრებების ჩამონერის შემდეგ მასწავლებელი თორნიკეს სთხოვს, მივიდეს მასწავლებლის მაგიდასთან და ჩაატაროს ცდა: წყლიან კოლბაში, რომელიც მასწავლებლის მაგიდაზე დგას, ჩაანვეთოს მელანი ან სალბავი. სალბავი წყალში გაიხსნება და წყალი შეფერადდება. მასწავლებელი თორნიკეს სთხოვს აღწეროს, რა მოხდა. ვინაიდან თორნიკეს გაბმული მეტყველების პრობლემა აქვს და არ შეუძლია დაიწყოს და დაასრულოს თხრობა მომხდარი მოვლენის შესახებ, მასწავლებელი მას ეხმარება დამხმარე კითხვებით: რა ფერის იყო წყალი დასაწყისში? რა მოუვიდა წყალს მას შემდეგ, რაც მასში სალბავი ჩაანვეთე? მასწავლებელი ისევ კლასს მიმართავს და სთხოვს მომხდარის ანალიზს: მათი აზრით, რატომ შეფერადდა წყალი. ბავშვების მოსაზრებებს კვლავ დაფაზე წერს.

მასწავლებელი აგრძელებს ცდებს, ასხამს თაფლს (როგორც ეს სახელმძღვანელოშია მოყვანილი) გამჭვირვალე წყლიან ჭურჭელში და ისევ თორნიკეს მიმართავს კითხვით: „როგორ ფიქრობ, რა მოხდება?“ თორნიკეს პასუხის შემდეგ მასწავლებელი კლასს სთავაზობს, თაფლიანი ჭურჭელი დროებით კარადის თავზე შემოდგან და გაკვეთილის ბოლოს შეამოწმონ, გამართლდა თუ არა თორნიკეს ვარაუდი.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეომასალას, თუ როგორ ერევიან ერთმანეთს ფერადი აირები, აჩვენებს, როგორ იფანტება ჰაერში გამონაბოლქვი (მანქანის, წარმოების და ა.შ.).

ვიდეომასალის ჩვენების შემდეგ მასწავლებელი ისევ თორნიკეს ეკითხება: „რა ჰქვია იმ უმცირეს ნაწილაკებს, რომლებსგანაც შედგება ნივთიერებები?“ თორნიკეს პასუხის გაცემა რომ გაუადვილდეს, პარალელურად ეკრანზე აჩვენებს წინა გაკვეთილის მასალას, მოლეკულების მიკროსკოპით გადიდებულ გამოსახულებებს. შემდეგ მიმართავს კლასს და სთხოვს გაიხსენონ, როგორ არიან მოლეკულები განლაგებული მყარ, თხევად და აირად ნივთიერებებში (მოლეკულებს შორის არის სივრცე, მაგრამ მყარ მდგომარეობაში ეს სივრცე ნაკლებია და მოლეკულები მჭიდროდ არიან განლაგებული, თხევად და აირად მდგომარეობაში პირიქით, მოლეკულებს შორის სივრცე დიდია).

პასუხის მიღების შემდეგ მასწავლებელი კლასს კვლავ სთავაზობს ვიდეომასალას, რომელშიც ნაჩვენებია, სხვადასხვა ნივთიერებების შერევისას როგორ თავსდება ერთი ნივთიერების მოლეკულები მეორე ნივთიერების მოლეკულებს შორის არსებულ სივრცეებში (მსგავსი ვიდეომასალა უხვად მოიპოვება ინტერნეტში).



ვიდვით ჩვენების შემდეგ მასწავლებელი ხსნის, რომ ამ მოვლენას დიფუზია ეწოდება, რაც ნივთიერებების ერთმანეთში თავისთავად შერევას ნიშნავს.

შემდეგ ეტაპზე კლასი იყოფა ჯგუფებად და თითოეული იღებს დავალებას: „გაიხსენეთ და აღწერეთ დიფუზიის რაც შეიძლება მეტი მოვლენა“.

თორნიკე მუშაობს წყვილში; მან და მისმა მეწყვილემ სხვადასხვა მასალის გამოყენებით, რომლებიც მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული (წყალი, შაქარი, საღებავი, თაფლი, პლასტილინი და ა.შ.), უნდა ჩაატაროს ცდები და მიღებული შედეგი ასახოს ცხრილში, მაგ.:

| | | |
|----------|----------|----------------|
| წყალი | შაქარი | გემოს ცვლილება |
| წყალი | საღებავი | ფერის ცვლილება |
| აეროზოლი | ჰაერი | სუნის ცვლილება |

არსებული რესურსებიდან გამომდინარე, თორნიკეს შეუძლია ცხრილში ჩაანებოს ფოტოები, წარწერებიანი ბარათები ან მენეჯილესთან ერთად ჩანეროს. ჯგუფური დავალებების შესრულების შემდეგ თორნიკე, თანაკლასელების მსგავსად, აკეთებს ჩატარებული ცდების პრეზენტაციას. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ეხმარება მას დამხმარე კითხვებით. სთხოვს, უპასუხოს ან ფოტოზე აჩვენოს, რა ნივთიერებები შეურია ერთმანეთს და რა სახის ცვლილებები მიიღო.

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კლასს ახსენებს ჭიქას, რომელიც კარადის თავზე შემოდგეს. აღმოჩნდება, რომ თაფლი წყალში გაიხსნა. მასწავლებელი თორნიკეს სთხოვს, გემო გაუსინჯოს თაფლიან წყალს და თქვას, რა ცვლილებები შეამჩნია.

გაკვეთილზე ნასწავლი მასალის გამყარების მიზნით, კლასს ეძლევა საშინაო დავალება. დავალებას იღებს თორნიკეც: იგი მშობელთან ერთად სახლში უნდა დააკვირდეს დიფუზიის მოვლენებს და გააკეთოს მსგავსი ჩანაწერები, ისეთივე, როგორც კლასში გააკეთა ცხრილის სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველი მიზნის შემუშავებისას აუცილებლად განისაზღვრება მიზნის მიღწევის შეფასების გზები. ეს შეიძლება იყოს ტესტირება, ზეპირი გამოკითხვა, მოსწავლეზე დაკვირვება ბუნებრივ ან ლა-

ბორატორიულ პირობებში და ა. შ. სსსმ მოსწავლის მიერ მიზნის მიღწევის შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც კლასში, ისე ინდივიდუალურად.

თორნიკეს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური გამოკითხვა და ლაბორატორიულ პირობებში დაკვირვება: კერძოდ, შეგვიძლია მოვიმარაგოთ მასალა და ვთხოვოთ თორნიკეს, ჩაატაროს დიფუზიის ცდები, შემდეგ კი ზეპირად ან ფოტოებისა და ბარათების გამოყენებით ახსნას მოვლენა (მაგ., მივცეთ სხვადასხვა მოვლენების ამსახველი სურათები წარწერებით და ვთხოვოთ ამოირჩიოს ის სურათი, რომელიც მისი აზრით დასაკვირვებელი მოვლენის მიზეზი იყო).

აქტივობები, რომლებიც აღვწერეთ, დაეხმარება თორნიკეს ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მიზნის („თორნიკე შეძლებს, ჩაატაროს ცდები დიფუზიის მოვლენების შესასწავლად და ჩამოთვალოს, როგორ იცვლება ნივთიერებების თვისებები დიფუზიის შემდეგ.“) მიღწევაში. შემდეგი მიზანი, რომელსაც თორნიკემ უნდა მიაღწიოს, არის დიფუზიის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირება. ამ მიზანზე მუშაობა შეიძლება დაიგეგმოს და განხორციელდეს იმავე გაკვეთილზე, ან მომდევნოზე. ასევე შესაძლებელია, რომ იმავე მიზნებზე მუშაობა, რომელიც კლასში დაინიშნა, თორნიკეს შემთხვევაში გაგრძელდეს ინდივიდუალურად, რადგან მას, თანაკლასელებისგან განსხვავებით, სწავლისთვის მეტი დრო და მეტი ვარჯიში სჭირდება. სპეციალურ პედაგოგთან და ბუნებისმეტყველების მასწავლებელთან ერთად წინასწარ იგეგმება, თუ სად, როდის და რას გააკეთებს თორნიკე ინდივიდუალურად. მას ამაში დაეხმარება სპეციალური პედაგოგი და/ან საგნის მასწავლებელი. მიზნის მისაღწევად ინდივიდუალური მუშაობა შეიძლება დაიგეგმოს როგორც გაკვეთილამდე (ვიდრე მასწავლებელი ახალ მასალას ახსნის), ისე გაკვეთილის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მასალა უკვე ახსნილია და თორნიკეს დამატებითი მუშაობა სჭირდება თემასთან დაკავშირებით.

ბუნებისმეტყველება, VI კლასი:

გაკვეთილი 1: ნივთიერებები ჩვენ ირგვლივ

გაკვეთილი ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, სადაც ერთ მოსწავლეს (ნიკას) საშუალო ხარისხის ინტელექტუალური დარღვევა აქვს.

გაკვეთილის თემა: ნივთიერებები

ქვემოთ განხილულია ერთ-ერთი გაკვეთილი VI კლასის სახელმძღვანელოდან, რომელიც ეხმარება მოსწავლეს (მათ შორის სსსმ მოსწავლეს) VI კლასის ბოლოს ბუნებისმეტყველებაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგის მიღწევაში:

ბუნების საგნობრივი პროგრამის მიმართულებას „სხეულები და მოვლენები“. ცხრილის მარცხენა სვეტში წარმოდგენილია ამ მიმართულების ერთ-ერთი მიზანი და ინდიკატორები ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მარჯვენა სვეტში კი – იგივე მიზანი და ინდიკატორები ნიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან.

| ეროვნული სასწავლო გეგმა | ნიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა |
|--|---|
| ბუნ.VI.4. მიზანი: მოსწავლეს შეუძლია ნივთიერებათა თვისებების აღწერა და მათი ცვლილებების შესახებ მსჯელობა. | ბუნ.VI.4. მიზანი: ნიკას შეუძლია ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი ნივთიერებების დასახელება და მათი თვისებების, ცვლილებების და მნიშვნელობის აღწერა. |
| ინდიკატორები კლასისთვის | ინდიკატორები ნიკასთვის |
| ასახელებს ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი ნივთიერებების მაგალითებს და მსჯელობს მათი თვისებების შესახებ; | ჩამოთვლის ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელ ნივთიერებებს და მათ თვისებებს; |
| აკვირდება და აღარებს ნივთიერებებს თვისებების მიხედვით (მაგ., სუნი, ბზინვარება, წვა, აგრეგატული მდგომარეობა); შედეგებს წარმოადგენს ცხრილის სახით, ანალიზებს და გამოყოფს თვისებებს, რომლებიც ამ ნივთიერებების გამოყენებას განაპირობებს; | უკავშირებს ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი ნივთიერებების თვისებებს მის გამოყენებას; |
| აგროვებს ინფორმაციას ორგანიზმებისთვის მნიშვნელოვანი ნივთიერებების შესახებ და მსჯელობს მათ დანიშნულებაზე (მაგ., ჟანგბადი, წყალი, ნახშირორჟანგი); | ჩამოთვლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნივთიერებებს და ასახელებს მათ მნიშვნელობას სიცოცხლისთვის; |
| ატარებს ცდებს ნივთიერებების ფიზიკური და ქიმიური ცვლილებების (მაგ., აგრეგატული მდგომარეობის შეცვლა, ნივთიერების გახსნა, აირის გამოყოფა, ფორმის შეცვლა) გამოსაკვლევადად, შედეგებს ანალიზებს და მსჯელობს ამ ცვლილებების გამომწვევ მიზეზებზე (მაგ., გაცხელება, შერევა, დანვა, მექანიკური ზემოქმედება). | იცის, როგორ მოახდინოს გავლენა ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებადი ნივთიერებების ფიზიკურ და ქიმიურ ცვლილებებზე და მარტივი ცდებით, პედაგოგის ან თანაკლასელის დახმარებით, ახდენს მის დემონსტრირებას (წყლის აორთქლება ან გაყინვა; ყინულის გაღობა, ნივთიერების გახსნა). იყენებს ამ ცოდნას ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგ.: პლასტილინის დარბილება სითბოში მოთავსებით, თიხის ნაკეთობის გამყარება გამოშრობით და ა.შ. |

მიმართულება: სხეულები და მოვლენები. VI კლასი
პირველი გაკვეთილი VI კლასის ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოდან ეძღვნება ნივთიერებებს და სხეულებს.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები ჩამოთვლიან ნივთიერებებს და სხეულებს; ასახელებენ, რით განსხვავდება ნივთიერება სხეულისგან და რა მიმართებაა მათ შორის; (გაკვეთილის მიზანი იგივეა ნიკასთვის.)

- ინდიკატორები ნიკასთვის გახლავთ შემდეგი:
- ზეპირად/წერილობით/ფოტოების გამოყენებით ჩამოთვლის სხეულებსა და ნივთიერებებს.
 - ფოტოებს, ბარათებს ალაგებს კატეგორიებად (ნივთიერება, სხეული).
 - ფოტოების/ბარათების გამოყენებით ან ზეპირად შეუძლია განსაზღვროს, რომელი სხეული რა ნივთიერებისგან შედგება.
- მასალა: ცარცი, კირქვა, ქოთანის, თიხა, ალუმინის ნაჭერი, რკინის ნაჭერი, ლურსმანი, პური, ფქვილი, შაქრის კრისტალი, წყალი.

გაკვეთილის მიმდინარეობა:
მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვა-პასუხით. კლასს ეკითხება, რა იცის ნივთიერებების შესახებ. პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ყველა სხეული შედგება ნივთიერებისგან. მასწავლებელი იყენებს ინფორმაციის მიწოდების მაქსიმალურად მრავალფეროვან გზებს, რათა ინფორმაცია კლასში ყველა მოსწავლისთვის აღქმადი იყოს. იგი ზეპირად ჩამოთვლის სხეულებს და ნივთიერებებს; კლასს აჩვენებს სხეულებისა და ნივთიერებების ფოტოსლაიდებს; პედაგოგს მომარაგებული აქვს ასევე რეალური ნივთიერებები, სხეულები და შეუძლია მათი დემონსტრირება.

მომდევნო ეტაპზე მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად და აძლევს დავალებას, გაიხსენონ და ჩამოწერონ რაც შეიძლება მეტი სხეული და ნივთიერება.

– ნიკას და მის მენეჯილეს ევალებათ არსებული მასალის დაჯგუფება სხეულებად და ნივთიერებებად, შემდეგ კი წინასწარ გამზადებულ ცხრილში წარწერებიანი ბარათების დალაგება.

| სხეული | ნივთიერება |
|---------|------------|
| მავთული | ალუმინი |
| ცარცი | კირქვა |

შემდეგი აქტივობა ისევ მასალის ახსნით იწყება. მასწავლებელი უხსნის კლასს, რომ ერთი და იმავე ნივთიერებისგან შეიძლება დამზადდეს სხვადასხვა სხეული და პირიქით, ერთი და იგივე სხეული შედგება სხვადასხვა ნივთიერებისგან. ინფორმაციის მიწოდების მრავალფეროვნებისთვის მასწავლებელი კლასს აჩვენებს რეალურ სხეულებს და ნივთიერებებს, მაგ., პური და შაქრის კრისტალი, მარილის კრისტალი, ფქვილი. თიხა – ქოთანის; ალუმინი – მავთული, ჭიქა - მინა და სხვა.


რეალური საგნების განხილვის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს აჩვენებს ფოტოსლაიდებს.

შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი კლასს სთავაზობს ჯგუფურ აქტივობას: კლასი იყოფა ჯგუფებად. პირველ ჯგუფს ევალება, ჩამოწეროს რაც შეიძლება მეტი სხეული და მიუთითოს, რა ნივთიერებებისგან შედგება ისინი (მოიძიოს შესაბამისი ფოტოები ინტერნეტში).

მეორე ჯგუფს ევალება, ჩამოწეროს რაც შეიძლება მეტი ნივთიერება და მიუთითოს, ამ ნივთიერებებისგან რამდენი სახის სხეულის დამზადება შეიძლება. მაგ.: რკინისგან – ლურსმანი, სათლი, ჩაფხუტი (მოიძიოს შესაბამისი ფოტოები ინტერნეტში).

ნიკას ჯგუფს ევალება, მიწოდებული ერთი ნივთიერებისგან დაამზადოს 3 სახის სხეული და სხვადასხვა ნივთიერებისგან – 1 სხეული. მაგ.: თიხისგან დაამზადოს ქოთანი, თეფში, ლამბაქი; ფქვილის, წყლისა და მარილის გამოყენებით კი დაამზადოს ცომი.

ნიკა აქტივობის პრაქტიკულად განხორციელების შემდეგ ალაგებს ბარათებს წარწერებით.



ნიკას ჯგუფის სხვა წევრები ჩამოწერენ ფურცელზე დავალებას. გაკვეთილის ბოლოს ბავშვები სწავლობენ, თუ როგორ უნდა გაიგონ, რა და რა ნივთიერებები შედის ამა თუ იმ პროდუქტში.

ინდივიდუალური მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს შეფუთულ პროდუქტებს და სთხოვს ჩამოწერონ, რომელი ნივთიერებებისგან შედგება თითოეული პროდუქტი. მაგ.: კოკა-კოლას ბოთლი, ნაყინის ქაღალდი, ბორჯომის ბოთლი და ა. შ. ნიკას აქვს იგივე დავალება და მუშაობს წყვილში.

V კლასი
ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი:

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი საფეხურის დასრულებისას მოსწავლემ ქართულ ენასა და ლიტერატურაში უნდა შეძლოს „**ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება**“, კერძოდ:

- სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და გადმოცემა;
- ნაკითხული წინადადებებისა და ტექსტის კონსტრუირება;
- სხვადასხვა სახის ტექსტის შეგნებულად და გააზრებულად კითხვა;
- ტექსტებში მოცემული გრამატიკული კონსტრუქციების გამოყოფა და სათანადო ინტერპრეტაციით წარმოდგენა;
- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტის გამართულად წერა;
- გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელი მინიმუმის შეგნებულად გამოყენება (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-16; ქართული ენა და ლიტერატურა, გვ. 53).

ქვემოთ განხილული ერთ-ერთი აქტივობა აღწერს V კლასის გაკვეთილს, თუ როგორ მუშაობს კლასი აღნიშნული მიზნის ერთ-ერთ ინდიკატორზე – „**სხვადასხვა სახის ტექსტის შეგნებულად და გააზრებულად კითხვა**“.

კლასში არის ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ლიკა, რომელსაც აქვს კითხვის უნარის დარღვევა; კერძოდ, იგი ცნობს ყველა ასოს და შეუძლია ასოების გამთლიანება სიტყვაში. შეუძლია ასევე მცირე მოცულობის ტექსტების კითხვა ხმამაღლა და გაბმულად, მაგრამ უჭირს ნაკითხულის გაგება. შესაბამისად, არ შეუძლია არათუ ნაკითხულის შინაარსის თხრობით გადმოცემა, არამედ შეკითვაზე პასუხის გაცემაც კი. კითხვის უნარის დარღვევა ლიკას მნიშვნელოვნად უშლის ხელს სწავლაში. მის ინდივიდუალურ გეგმაში, რომელიც კითხვის სწავლისას შექმნილი სირთულეების შემცირების მიზნით სკოლამ მისთვის შეიმუშავა, წლის ბოლოს მისაღწევი ერთ-ერთი მიზანი ასეთია:

„ლიკა წლის ბოლოსთვის შეძლებს ნაიკითხოს 12-15 წინადადებისგან შემდგარი მხატვრული ტექსტი, გაიგოს და ზეპირად ან წერილობით გადმოსცეს ტექსტის ძირითადი შინაარსი; ამოიცნოს და დაახასიათოს მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირები; გამოყოს ტექსტის ფაზულა.“

შესაბამისად, ლიკასთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ისწავლოს ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად კითხვა.

კითხვის უნარის ამ ტიპის დარღვევის შემთხვევაში სპეციალისტს შეუძლია გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის სტრატეგია, რათა ბავშვს კითხვა გაუადვილდეს. მაგ.: სათაურის და ქვესათაურის მიხედვით იმის ამოცნობა, თუ რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტი; ტექსტში ძირითადი ინფორმაციის იდენტიფიცირება და ხაზგასმა; ტექსტის შესახებ კითხვების ფორმულირება (რაზეა ტექსტი, სად ხდება მოქმედება, ვინ არის მთავარი გმირი და ა. შ.); ტექსტის შინაარსის დაკავშირება მოსწავლის პირად გამოცდილებასთან ან მანამდე მიღებულ ცოდნასთან; სქემების შემუშავება, რომლებიც ტექსტის გაგებას გააადვილებს და ა. შ. მასწავლებელზეა დამოკიდებული, რომელ მეთოდს და სტრატეგიას აირჩევს.


მოცემულ სიტუაციაში პედაგოგი კლასთან ერთად განიხილავს ტექსტს – „ორმოში ჩადებული მეფე“ (ვ. როდონაია და სხვ., 2011; ქართული ენა და ლიტერატურა). მასწავლებლის მიზანია, მოსწავლეებს გააცნოს ტექსტი და სულხან-საბას ამ იგავის გამოყენებით ასწავლოს ტექსტთან მუშაობა.

ტექსტის განხილვა იწყება დისკუსიით: მასწავლებელი სთხოვს ერთ-ერთ მოსწავლეს (ეს შეიძლება იყოს ლიკაც), ნაიკითხოს ტექსტის სათაური, შემდეგ მიმართავს კლასს შეკითხვით: როგორ ფიქრობენ, ვინ შეიძლება იყოს ამ იგავ-არაკის მთავარი პერსონაჟი და რის შესახებ შეიძლება მოგვითხრობდეს ის.

დისკუსიის შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა კითხულობს ტექსტს და სთხოვს მოსწავლეებს, მოისმინონ და ჩაინერონ ყველა ის სიტყვა, რომელიც მათთვის უცხოა. ბავშვები სიტყვებს იწერენ დამოუკიდებლად, ლიკა მუშაობს წყვილში.

ტექსტის კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს და სთხოვს, უკარნახონ ყველა უცხო სიტყვა, რომელიც ჩაინიშნეს. იგი ამ სიტყვებს წერს დაფაზე.

მასწავლებელი უხსნის კლასს თითოეული სიტყვის მნიშვნელობას და ისევ სთხოვს, თითოეული სიტყვისთვის მოიფიქრონ სინონიმი. შემდეგ ამ სინონიმებსაც წერს დაფაზე:



შემდეგ ეტაპზე ბავშვები იყოფიან წყვილებად. წყვილების ერთ ნაწილს ეძლევა დავალება, ნაიკითხონ ტექსტი და მოიფიქრონ შეკითხვები ტექსტის ირგვლივ. მეორე ნაწილმა ტექსტში წითლად უნდა გახაზოს ის წინადადებები, რომლებიც ძირითად ინფორმაციას შეიცავს და მწვანედ – მეორეხარისხოვანი ინფორმაცია. ლიკას ეძლევა კითხვების წინასწარ გამზადებული ფორმატი და მენწყვილესთან ერთად ევალება ტექსტში იმ წინადადებების მოძებნა, რომლებიც ამ კითხვებს უპასუხებს:

კითხვები ტექსტის შესახებ

1. სად ხდება მოქმედება?

2. ვინ არის მთავარი გმირი?

3. რა მოუვიდა მთავარ გმირს?


4. რა მოიმოქმედა მთავარმა გმირმა?

5. როგორ დასრულდა ისტორია?

6. რაში მდგომარეობს ავტორის შეგონება?

წყვილში შესრულებული დავალებების ნაკითხვის შემდეგ კლასს ეძლევა წერიტი სავარჯიშო, რომელიც სახელმძღვანელოში გაკვეთილის ბოლოს არის მოცემული: „იგავის დედააზრი ხშირად ავტორის ან რომელიმე პერსონაჟის დამაგვირგვინებელი ფრაზით არის ხოლმე გამოხატული. მოძებნეთ ამგვარი ფრაზა იგავში „ორმოში ჩაგდებული მეფე“ და ამონერეთ (ვ. როდონაია და სხვ; 2011; ქართული ენა და ლიტერატურა; გვ.162).

ვიდრე კლასი დამოუკიდებლად მუშაობს, მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს ლიკასთან და ეხმარება საკლასო დავალების შესრულებაში: მან ტემპლებზე უნდა ამონეროს ტექსტის ძირითადი წინადადებები და ამ წინადადებებში იპოვოს ავტორის ის ძირითადი ფრაზა, რომელიც იგავის დედააზრს გადმოგვცემს.



საჭიროების შემთხვევაში, ტემპლებს შეიძლება თან ახლდეს დასურათება.

თავი VIII მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტირება და პირადი საქმის წარმოება

საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლის განათლების პროცესის მიმდინარეობა, აკადემიური მიღწევები, დემოგრაფიული მონაცემები და სხვა ინფორმაცია დოკუმენტირებული და სისტემატიზებულია მოსწავლის პირად საქმეში (მოსწავლის პირად საქმეს ზოგიერთ შემთხვევაში პორტფოლიოს უწოდებენ). ამავდროულად, მოსწავლის პირადი საქმე ასახავს ინფორმაციას სასწავლო წლის/ების განმავლობაში მიღებული შეფასებისა და აქტიურობის შესახებ.

მოსწავლის პირადი საქმის ფორმა და მისი წარმოების წესი დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

„მოსწავლის პირადი საქმის წარმოება იწყება მისი პირველ კლასში ჩარიცხვიდან და გრძელდება სკოლაში სწავლის განმავლობაში.“ მოსწავლის პირადი საქმე ასე გამოიყურება:

მოსწავლა:

სახელი, გვარი _____
 სქესი: მამრობითი _____ მდედრობითი _____
 დაბადების თარიღი: _____ დღე, _____ თვე, _____ წელი
 დაბადების ადგილი: _____
 პირადი ნომერი: _____
 დაბადების მოწმობის ნომერი: ___N _____ გაცემის თარიღი _____
 გაცემის ორგანო _____
 მოქალაქეობა _____

მშობლები:

დედა _____ პირადი ნომრები _____
 სახელი, გვარი _____
 მამა _____
 სახელი, გვარი _____
 მეურვე/მზრუნველი _____
 სახელი, გვარი _____

მოსწავლის საკონტაქტო ინფორმაცია:

იურიდიული მისამართი: _____
 ფაქტობრივი მისამართი: _____
 ტელეფონის ნომერი: _____
 ელ-ფოსტა: _____

მონაცემები მოსწავლის სკოლამდელი აღზრდის დანესებულების შესახებ:
 ბაგა-ბაღის დასახელება: _____
 მულტიდისციპლინური გუნდის გადანყვეტილება: _____

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის საფუძველი:

| | ბრძანების დასახელება | თარიღი | № | შენიშვნა |
|---|----------------------|--------|---|----------|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |

მოსწავლის სტატუსის შეჩერების/აღდგენის საფუძველი:

| | ბრძანების დასახელება | თარიღი | № | შენიშვნა |
|---|----------------------|--------|---|----------|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |


მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვის საფუძველი:

| | ბრძანების დასახელება | თარიღი | | შენიშვნა |
|---|----------------------|--------|--|----------|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |

ინფორმაცია მოსწავლის მობილობის შესახებ:

| | კლასი | მიზეზი | მობილობის საფუძველი | ჩარიცხვის ბრძანება | | | შენიშვნა |
|--|-------|--------|---------------------|--------------------|--------|---------|----------|
| | | | | № | თარიღი | გამცემი | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |

მოსწავლის შესახებ მონაცემები დაწყებით საფეხურზე



მოსწავლის ფოტოსურათი

ასაკი _____

კლასი პირველი:

მონაცემები მოსწავლის წლიური შეფასების შესახებ:

| № | წლიური შეფასება | აღწერა | შენიშვნა |
|---|-----------------|--------|----------|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

მონაცემები „ეროვნული სასწავლო გეგმით“ გათვალისწინებული საგნის/საგნების ექსტერნატის ფორმით დაძლევის შესახებ:

| საგანი | | | | | | | | | |
|----------|--|--|--|--|--|--|--|--|--|
| შეფასება | | | | | | | | | |

მონაცემები სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის შესახებ:

| № | აღწერა | პერიოდი | შედეგი |
|---|--------|---------|--------|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

მონაცემები მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელისა და წახალისების ფორმების შესახებ:

| № | აღწერა | ბრძანების ნომერი და თარიღი | ბრძანების გამცემი ორგანო |
|---|--------|----------------------------|--------------------------|
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |

გადაყვანილია მეორე კლასში _____ ბრძანების № _____ თარიღი _____ კლასის დამრიგებლის ხელმოწერა ბ.ა.

მონაცემები მოსწავლის დაწყებითი საფეხურის შეფასების შესახებ:

| საგანი | | | | | | | | | |
|----------|--|--|--|--|--|--|--|--|--|
| შეფასება | | | | | | | | | |

დაძლია დაწყებითი საფეხური და გადაყვანილია VII კლასში

_____ ბრძანების № _____ თარიღი _____ კლასის დამრიგებლის ხელმოწერა ბ.ა.

აღნიშნული ინფორმაცია ივსება მოსწავლისთვის ყოველი კლასის დასრულების შემდეგ, თავფურცელზე შესაბამისი კლასის მითითებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულაციის მიხედვით, დასაშვებია, მოსწავლის პირადი საქმის მოცემულ ფორმას დაემატოს გარკვეული გრაფები და/ან ფურცლები დანართის სახით.

8.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი საქმე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში, პირადი საქმე სრულად და თვალსაჩინოდ უნდა ასახავდეს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს, აკადემიურ მიღწევებს, სწავლის თავისებურებებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და, შედეგებისდაგვარად, განმარტავდეს სასწავლო პროცესის სპეციფიკას. ამავე

დროულად, აღნიშნულმა დოკუმენტებმა მასწავლებლებსა და სხვა პროფესიონალებს უნდა მისცეს სწორი მიმართულება მოსწავლის სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

მოსწავლის პირადი საქმე გასაგები უნდა იყოს ისგ ჯგუფის ნებისმიერი ახალი წევრისთვის – მასწავლებლისთვის და სპეციალისტისთვის – რომელიც შეიძლება მოგვიანებით ჩაერთოს და/ან ჩაანაცვლოს რომელიმე პროფესიონალი. მოსწავლის პირადი საქმე გასაგები უნდა იყოს ასევე მშობლისთვისაც, რომელსაც აქვს უფლება, რეგულარულად გაეცნოს მას და ყოველთვის ინფორმირებული იყოს მოსწავლის მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ.

მოსწავლის პირად საქმეში რეკომენდებულია შემდეგი გრაფის დამატება:

| | | |
|---|------|-----|
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება | | |
| მონიშნეთ გრაფა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში. დადებითი პასუხის შემთხვევაში გადადით შემდეგ გრაფაზე | | |
| მონაცემები ინდივიდუალურად მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე | | |
| ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება | დიახ | არა |
| დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ის საგნობრივი პროგრამები (საგნები), რომელთა ფარგლებშიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო მიზნის/ების განსაზღვრა | | |
| _____ | | |
| _____ | | |
| შინ განათლების საჭიროება | დიახ | არა |
| დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ: | | |
| შინ სწავლების ხანგრძლივობა: _____ | | |
| შინ სწავლებით უზრუნველყოფილი საგნები: _____ | | |
| პასუხისმგებელი მასწავლებელი/ები: _____ | | |
| დატვირთვა კვირის განმავლობაში: _____ | | |
| ინდივიდუალური განრიგის საჭიროება | დიახ | არა |
| დადებითი პასუხის შემთხვევაში, სასწავლო დღეებისთვის დააკონკრეტეთ გაკვეთილები, (მაგ.: ქიმია (1), ქართული (2), რესურსოთახი (3), მათემატიკა (4). რიცხვები მიუთითებს, ცხრილის მიხედვით, მერამდენა გაკვეთილი) | | |
| ორშაბათი: _____ | | |
| სამშაბათი: _____ | | |
| ოთხშაბათი: _____ | | |
| ხუთშაბათი: _____ | | |
| პარასკევი: _____ | | |

| | | |
|---|------|-----|
| დამატებითი სერვისების საჭიროება (ინდივიდუალური გაკვეთილები რესურსოთახში, ლოგოპედის მომსახურება, სასკოლო ავტობუსით მომსახურება, ადაპტური ავეჯით სარგებლობა და სხვ.) | დიახ | არა |
| დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ საჭირო სერვისი: | | |
| _____ | | |
| _____ | | |
| <p>შენიშვნა: დადებითი პასუხების შემთხვევაში პირადი საქმე უნდა შეიცავდეს შესაბამის დოკუმენტაციას, რომელშიც შესაბამისი სპეციალისტის მიერ დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული საჭიროებები.</p> <p>კლასის დამრიგებლის ხელმოწერა _____</p> <p>დირექტორის ხელმოწერა _____</p> <p>მშობლის ხელმოწერა _____</p> | | |

აღნიშნული გრაფა პირად საქმეში მოზანშენონილია ჩაემატოს ყველა კლასისთვის.

გრაფის მონიშვნის შემდეგ საჭიროა მოსწავლის პირადი საქმის მნიშვნელოვანი ინფორმაციით შევსება.

აუცილებელია, პირად საქმეს დაერთოს:

- მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტები: მულტიდისციპლინური გუნდის წევრების და/ან სხვა სპეციალისტების შეფასების შედეგები, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც განმარტავენ მოსწავლის საგანმანათლებლო თავისებურებებს;
- ყოველწლიური ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- მოსწავლის ყოველი სემესტრის განმავითარებელი შეფასებები საგნობრივი პროგრამის ფარგლებში;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის ყველა შეხვედრაზე წარმოებული სხდომის ოქმები და სხვა დოკუმენტები;

„მოსწავლის პირადი საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი პირი არის კლასის დამრიგებელი.“ პირად საქმეში დამატებების შეტანის უფლება (ზემოთ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად) აქვს კლასის დამრიგებელს. „კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და პორტფოლიოში ორგანიზებას.“ ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც იქმნება და/ან გროვდება სპეციალისტებისა და მასწავლებლების მიერ, ეგზავნება

პასუხისმგებელ პირს. ეს უკანასკნელი წყვეტს, არის თუ არა ინფორმაცია ღირებული და ამომწურავი მოსწავლის პირადი საქმისთვის.

მნიშვნელოვანია, მოსწავლის პირადი საქმის ორგანიზება არ გახდეს თვითმიზანი და კლასის დამრიგებელი გადაჭარბებულად არ იყოს ორიენტირებული დოკუმენტების შეგროვებაზე.

„მოსწავლის პირადი საქმის სკოლაში შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს საქმისმწარმოებელი ან სკოლის დირექტორის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი“. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შემთხვევაში, ეს პირი შეიძლება იყოს სკოლის ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებელი ან ინკლუზიური განათლების კოორდინატორი.

მოსწავლის პირად საქმეში ცვლილების შეტანა, მისი სკოლიდან გატანა და აღდგენა რეგულირდება მინისტრის აღნიშნული ბრძანებით.

მოსწავლის პირადი საქმისთვის დამატებები დამონმებული უნდა იყოს სკოლის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით.

რეკომენდებულია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირად საქმეს დაემატოს ოთხი თავი:

- I – მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების შედეგები;
- II – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივ პროგრამებში;
- III – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- IV – ოქმები.

განვმარტოთ თითოეული თავის მნიშვნელობა და ფორმა:

I – მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების შედეგები

როგორც ცნობილია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის თავისებურება და ინდივიდუალობა განსაზღვრულია მთელი რიგი ფაქტორებით. მათ შორის:

- მოსწავლის ფსიქიკური და ფუნქციური განვითარების დონით;
- აკადემიური მოსწრების არსებული დონით;
- ჯანმრთელობის მდგომარეობით;
- სამედიცინო დიაგნოზით;
- სოციალური მდგომარეობით, სოციალური ისტორიით;
- სხვა მრავალი ფაქტორით.

შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირად საქმეში მნიშვნელოვანია თავს იყრიდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- დასკვნა მოსწავლის შემეცნებითი ფუნქციების განვითარებისა და ფუნქციონირების შესახებ;

- მოსწავლის სამედიცინო დიაგნოზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განმარტება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- დასკვნა მოსწავლის სოციალური მდგომარეობის შესახებ (მონოდებული სოციალური მუშაკის მიერ, თუ აღნიშნული საკითხი კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში აქტუალურია).

თუმცა, სკოლის ადმინისტრაციისთვის თვითმიზანი არ უნდა იყოს ყველაზემთ ჩამოთვლილი საკითხის შესახებ დოკუმენტის მოპოვება და პირად საქმეში ჩადება. პირად საქმეში თავს უნდა იყრიდეს მხოლოდ საჭირო ინფორმაცია, მაგალითად, ქცევის დარღვევის და დაბალი აკადემიური მოსწრების შესახებ. მოსწავლესთან დაკავშირებით შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სოციალური მუშაკის მიერ წარმოებული ფსიქოსოციალური შეფასების და დასკვნის ასლის ჩაკერება, თუ აღნიშნული დასკვნა შეიცავს ინფორმაციას მოსწავლის ოჯახის არაკეთილსაიმედოობაზე და შეიცავს გარკვეულ განმარტებას მოსწავლის ქცევის თავისებურების შესახებ. სხვა მოსწავლეების შემთხვევაში კი ამ ტიპის დასკვნა შესაძლოა არ იყოს აქტუალური და არც პირად საქმეში იძებნებოდეს.

თუ მოსწავლის სწავლის პროცესში შექმნილი სირთულეები გამოწვეულია გარკვეული სამედიცინო დიაგნოზით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული მოწმობა ინახებოდეს პირად საქმეში.

თუმცა, შესაძლოა, მოსწავლე ავლენდეს სწავლისა და ქცევის თავისებურებებს, მაგრამ არ ჰქონდეს სამედიცინო დიაგნოზი. ამ შემთხვევაში რაიმე ტიპის სამედიცინო დიაგნოზის შემცველი დოკუმენტი მოსწავლის პირად საქმეში ვერ აღმოჩნდება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი საქმე აუცილებლად უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოსწავლის ფსიქიკური ფუნქციების განვითარების თავისებურებების შესახებ. ამ სახის ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასების შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრი ან სკოლის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ფსიქოლოგი და/ან სპეცმასწავლებელი.

მოსწავლის მშობელმა, შესაძლოა, წარმოადგინოს ფსიქოლოგის დასკვნა სხვა დანესებულებიდან. რასაკვირველია, რეკომენდებულია აღნიშნული დასკვნის გათვალისწინება შეფასების მიმდინარე პროცესში და მისი ასლის მოთავსება მოსწავლის პირად საქმეში. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი მოსწავლის ფსიქიკური ფუნქციების განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ საჭირო ინფორმაციას ვერ ჩაანაცვლებს (შეიძლება მხოლოდ შეავსოს).

ნიმუშის სახით წარმოგიდგენთ მოსწავლის ფსიქიკური ფუნქციების განვითარებისა და ფუნქციონირების შეფასების შედეგების გრაფას:

თარიღი _____ შეფასების შედეგები

| სფერო | | ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|--|-----------|-----------------|----------------|
| აკადემიური უნარები | წერა | | |
| | კითხვა | | |
| | თხრობა | | |
| | ანგარიში | | |
| შემეცნებითი უნარები (ყურადღება, მეხსიერება, აღქმა) | | | |
| ემოციური სფერო | | | |
| კომუნიკაციის უნარი, მეტყველება | | | |
| მსხვილი მოტორული უნარი | | | |
| ნატიფმოტორული უნარები | | | |
| ქცევა/ყოფაქცევა | | | |
| ფუნქციური უნარ-ჩვევები | | | |
| საგანმანათლებლო გარემო | რესურსები | | ბარიერები |
| | | | |

დასკვნა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების თაობაზე:

რეკომენდაცია მოსწავლის სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით

სპეციალისტის/სპეციალისტების ხელმოწერა _____
 მიუთითეთ სპეციალობა, სახელი, გვარი

 მიუთითეთ სპეციალობა, სახელი, გვარი

დირექტორის ხელმოწერა _____

აღნიშნული გრაფა ივსება ერთი ან რამდენიმე სპეციალისტის მონაწილეობით (მულტიდისციპლინურად) და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. (მოსწავლის ფსიქიკური ფუნქციების განვითარებისა და ფუნქციური უნარების შეფასების პროცესი და მეთოდები დატალურად არის აღწერილი სახელმძღვანელოს IV თავში – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის იდენტიფიკაცია და შეფასება“). აღნიშნულ გრაფაში მოცემული ინფორმაცია შესაბამისი სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული შეფასების განხორციელების დროის გათვალისწინებით. სასურველია, აღნიშნული შეფასება ხორციელდებოდეს ყოველწლიურად (სასწავლო წლის დასაწყისში) და თარიღის მითითებით ეკერებოდეს პირად საქმეში.

II – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღწევის დონე საგნობრივ პროგრამებში

აღნიშნული ინფორმაცია პირად საქმეში ფიქსირდება პირველი სასწავლო წლის ბოლოს. ცნობები საგნობრივ პროგრამებში მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ ივსება ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, შესაბამისი კლასის მითითებით.

საგნობრივი პროგრამების ფარგლებში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შესახებ ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი არიან საგნობრივი პროგრამების შესაბამისი მასწავლებლები. პედაგოგები აღწერენ საგნობრივ პროგრამაში მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების გათვალისწინებით (დაძლია თუ არა მოსწავლემ კლასის შესაბამისი საგნობრივი პროგრამა, რა შედეგს მიაღწია, რომელი ინდიკატორის საფუძველზე ვარაუდობენ შედეგის მიღწევას; თუ მოსწავლემ სხვა კლასის შედეგებს მიაღწია, აზუსტებენ შესაბამის კლასს), აღწერენ მოსწავლის ქცევის თავისებურებებს გაკვეთილზე, საკლასო და საშინაო დავალებების შესრულებისას გამოვლენილი აქტიურობის დონეს. ამავდროულად, მასწავლებლები ადასტურებენ ან უარყოფენ ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დადგენის საჭიროებას.

აღნიშნული გრაფა შევსების შემდეგ მოწმდება შესაბამისი მასწავლებლის ხელმოწერით და თავსდება პირად საქმეში. აღნიშნულ გრაფას ავსებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყველა მასწავლებელი, იმის მიუხედავად, საჭიროებს თუ არა მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო მიზანს.

საგნობრივი და/ან დანყებითი კლასის მასწავლებლის მიერ წარმოებული შეფასების გრაფა შემდეგნაირად გამოიყურება:

მოსწავლის სახელი-გვარი: _____

კლასი: _____

საგანი: _____

მასწავლებლის სახელი-გვარი: _____

თარიღი: _____

მონაცემები მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ საგნობრივ პროგრამასთან მიმართებაში

| მოსწავლემ სასწავლო წლის დასასრულს გამოავლინა შემდეგი სასწავლო შედეგი/ები | შედეგის მიღწევას ადასტურებს შემდეგი ინდიკატორი/ები |
|--|--|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| დასკვნა: | |

მონაცემები გაკვეთილზე მოსწავლის ქცევის შესახებ

მასწავლებლის დასკვნა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების საჭიროების თაობაზე

მონიშნეთ შესაბამისი გრაფა

| | |
|---|-------|
| მოსწავლე საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს | _____ |
| მოსწავლე არ საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს | _____ |

მასწავლებლის ხელმოწერა _____

დირექტორის ხელმოწერა _____

III – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირადი საქმის განუყოფელი ნაწილია მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (თუ მოსწავლეს ინდივიდუალური გეგმა სჭირდება).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება სასწავლო წლის დასაწყისში ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგომის შემდეგ გონივრულ ვადაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საჭიროებს ყოველწლიურ განახლებას, სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლის განვითარების და მიღწევის დონის გათვალისწინებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამის გრაფებში მასწავლებლები აფიქსირებენ მოსწავლისთვის განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს. ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს აფიქსირებს ყველა იმ საგნის მასწავლებელი, რომელშიც მოსწავლე ინდივიდუალურ მიზანს საჭიროებს. მასწავლებლები ათარიღებენ და ხელმოწერით ადასტურებენ შევსებულ გრაფას. შესაბამისად, მოსწავლის პირადი საქმის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილში თავს იყრის იმდენი საგნის ფურცელი, რამდენ საგანშიც საჭიროებს მოსწავლე სპეციალური მიზნების განსაზღვრას. საგნის ფურცლების ორიგინალი თავსდება მოსწავლის პირად საქმეში, ხოლო ასლი ინახება შესაბამისი საგნის მასწავლებელთან.

(ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში შემდეგნაირად გამოიყურება).

IV – ოქმები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ახალი ინფორმაცია, გადაწყვეტილება და დასკვნა ოფიციალურად ფორმდება ოქმის სახით და ეკერება პირადი საქმის შესაბამის ნაწილში.

ოქმებში შეიძლება აისახოს შემდეგი საკითხები:

- მშობლის მომართვა;
- მშობლის თანხმობა მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისა და გადაფასების (განმეორებითი შეფასების) განხორციელების თაობაზე;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროების თაობაზე;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა მოსწავლისთვის შინ სწავლების საჭიროების თაობაზე;
- დირექტორის ბრძანება შინ სწავლების ფორმის, შესაბამისი საგნებისა და მასწავლებლების განსაზღვრის თაობაზე;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა რეკომენდებული სასწავლო განრიგის თაობაზე (მოსწავლის ორგანული თავისებურებების გათვალისწინებით);
- მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები;
- ჯანმრთელობის ცნობები;
- სხვა.

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
 მოსწავლის სახელი-გვარი _____
 კლასი _____
 საგანი _____
 მასწავლებლის სახელი-გვარი _____
 თარიღი _____

წლის ბოლოს მისაღწევი სასწავლო შედეგები

| | |
|--------------------------------|--|
| 1. გრძელვადიანი მიზანი | |
| | |
| 1. მოკლევადიანი მიზანი/მიზნები | |
| 1.1 | |
| 1.2 | |
| 1.3 | |
| 2. გრძელვადიანი მიზანი | |
| | |
| 2. მოკლევადიანი მიზანი/მიზნები | |
| 2.1 | |
| 2.2 | |
| 2.3 | |
| 3. გრძელვადიანი მიზანი | |
| | |
| 3. მოკლევადიანი მიზანი/მიზნები | |
| 3.1 | |
| 3.2 | |
| 3.3 | |

შენიშვნა: მასწავლებელმა უნდა შეავსოს იმდენი გრაფა, რამდენ მიზანზეც მუშაობს მოცემულ პერიოდში. შესაბამისად, დასაშვებია, გრაფის დამატება, ან შემცირება.